პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაღი

№267 (12 337)

15 ნოემბერი ხუთშაბათი 2007

გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგუა მხოლოდ ლიჭვისთვის

ყატარში გამგზავრების წინ, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ბოლო ვარჯიში ჩაატარა. კლაუს ტოპმიოლერმა რჩეული ფეხბურთელები გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ავარჯიშა. გუშინწინდელი წვრთნა გოგიტა გოგუამ, დავით სირაძემ, მალხაზ ასათიანმა და ლაშა სალუქვაძემ გამოტოვეს. "ლოკომოტივზე" ასათიანი და სალუქვაძე სხვებთან ერთად ბოლომდე დაიტვირთნენ, სამაგიეროდ, გოგუა და სირაძე მწვრთნელების განკარგულებაში კვლავ არ ყოფილან. პირველს ტრავმა აქვს, ყატარში არ გაემგზავრება და ლიტვასთან მატჩისთვის შეეცდება მწყობრში დაბრუნებას, მეორე კი თბილისში გუშინ გვიან ღამით უნდა დაბრუნებულიყო. საქმე ისაა, რომ სირაძის "პადერბორნმა" მეორებუნდესლიგური შეხვედრა სამშაბათს ჩაატარა. ცნობისთვის, დათო ძირითადში იყო და 69-ე წუთზე შეცვალეს, "პადერბორნმა" "კობლენცთან" სტუმრად 0:0 ითამაშა და ბოლოდან ბოლოსწინა ადგილზე გადაინაცვლა.

2

გუშინ ვაკეში. საქართველოს ნაკრების ბოლო ვარჯიში ყატარში გამგზავრების წინ. სალუქვაძე, ტოპმიოლერი, ასათიანი, კალაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჭოპის დიდი შემობრუნება

მოსაზრება 5

საქართველო რუსეთს თურქეთში სნავლობს



ახალგაზრდული ამგები 2

რჩეულთა შორის ერთი ქართველია 4

მუჯირმა კრილიას პრეზიდენტი გააკრიტიკა

დონადონის გასაჭირი



მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი ევროპის 1984 წლის პირველობაზე ვერ მოხვდა. ისტორია მეორდება? 7

მარკოიშვილი კიევშიც ლიდერია

ქართველები ევროთასეგზე 13

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

16 ნოემბერი. ყატარი-საქართველო

გოგუა მხოლოდ ლიჭვისთვის

სირაძე წუხელ ჩამოვიდა

პირველი გვერდიდან

გუშინდელ ვარჯიშს დავუბრუნდეთ. ნაკრების უცხოელ მწვრთნელთაგან მას კლაუს ტოპმიოლერი, **რალფ მინგე** და **ჰერბერტ ცანკერი** დაესწრნენ. თუმცა მოედანზე ბოლომდე მხოლოდ კლაუსი იყო, მინგემ და ცანკერმა მალე ტრიბუნაზე აინაცვლეს და საწვრთნელ პროცესში ნაკრების დამრიგებელთან ერთად, აქტიურად მისი ქართველი ასისტენტები მონაწილეობდნენ. წვრთნა 4 საათზე დაიწყო და დაახლოებით საათნახევარს გასტანა. მისი მიმდინარეობა კი სტანდარტული იყო – წრეზე სირბილით დაიწყო და "გახურებითა" და "კვადრატით" გაგრძელდა.

თვალშისაცემი ის გახლდათ, რომ სამწვრთნელო შტაბმა განსაკუთრებული ყურადღება სტანდარტული მდგომარეობების დახვეწას დაუთმო. აქცენტი სწრაფ, მრავალსვლიან კომბინაციებზე, ფლანგურ ჩაწოდებებსა და კუთხურებზე გაკეთდა. მეკარეებმა ამ პროცესებისას საკმაოდ იშრომეს, **მაკარიძესა** და **კვასხვაძეს** გამოუცდელობისა ბევრი არაფერი ეტყობოდათ.

სტანდარტებმა იმდენი დრო წაიღო, რომ ტოპმიოლერმა ორმხრივი თამაშის ჩატარება საჭიროდ აღარ მიიჩნია. საერთო ჯამში, გუშინდელი ვარჯიში საკმაოდ დინამიური და საინტერესო საცქერი გამოდგა.

ვარჯიშის ბოლოს **ზურაბ ხიზანიშვილი** მსუბუქად დაშავდა და მოედანი სხვებზე ადრე დატოვა, მაგრამ საშიში არაფერია, მოახლოებულ მატჩებს იგი სრულ მზადყოფნაში შეხვდება. ნაკრების წევრთა განწყობა ოპტიმისტურია. ჩვენი ფეხბურთელები ორივე მატჩში გამარჯვებას გეგმავენ.

მალხაზ ასათიანი: *"შესარჩევი ციკლის გადამწყვეტი ეტაპია, ყველას გვინდა, რომ წელიწადი გამარჯვებებით დავასრულოთ. მიუხედავად იმისა, რომ ყატარში ამხანაგურად ვთამაშობთ, ამ შეხვედრას ნაკლები პასუხისმგებლობით სულაც არ ვეკიდებით. მოკლედ, ყატართანაც და ლიტვასთანაც მხოლოდ მოგება დაგვაკმაყოფილებს".*

გიორგი შაშიაშვილი: *"გუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა, ყველა ერთ მუშტად ვართ შეკრულნი და მაქსიმუმს გავიღებთ გულშემატკივართა გასახარებლად. მჯერა, რომ ჩვენს რეალურ ძალას მეტოქეებს ამჯერადაც ვუჩვენებთ".*

საქართველოს ეროვნული ნაკრები ყატარში დღეს, დილის 11-ის ნახევარზე, ჩარტერული რეისით გაფრინდება. ყატარი-საქართველო დედაქალაქ დოჰაში 16 ნოემბერს, ჩვენი დროით საღამოს 8-ზე დაიწყება. საქართველოს ნაკრები თბილისში მატჩის დასრულებისთანავე დაბრუნდება. ჩვენი გუნდის სრულ შემადგენლობას კიდევ ერთხელ შეგახსენებთ.

მეკარეები: **გიორგი მაკარიძე** (დინამო), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი).

მცველები: **ზურაბ ხიზანიშვილი** (ბლექბერნი), **მალხაზ ასათიანი** (ლოკომოტივი მ.), **კახა კალაძე** (მილანი), **ლაშა სალუქვაძე** (რუბინი), **გიორგი შაშიაშვილი** (შტურმი), **ალექსანდრე კვახაძე** (ვიტ ჯორჯია), **ამირან სანაია** (ლე მანი).

ნახევარმცველები: **შოთა გრიგალაშვილი** (ბორჯომი), **ზურაბ მენთეშაშვილი** (ვენტსპილსი), **ჯაბა კანკავა** (დნეპრი), **ლევან ცქიტიშვილი** (უკლუბო), **დავით კვირკველია** (მეტალურგი ზ.), **გიორგი დეკანოსიძე** (ამერი), **ლევან ყენია** (შალკე), **გოგიტა გოგუა** (სატურნი).

თავდამსხმელები: **ლევან მჭედლიძე** (ემპოლი), **ოთარ მარცვალაძე** (ზაკარპატიე), **დავით სირაძე** (პადერბორნი), **ნიკოლოზ გელაშვილი** (ვიტ ჯორჯია), **ლაშა ჯაკობია** (მეტალისტი).

ლევან ჯანეზაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი ნაკრების გუშინდელი ვარჯიშიდან

ახალგაზრდული ნაკრები

საქართველო რუსეთს თურქეთში სწავლობს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები რუსეთთან 20 ნოემბრის თბილისური მატჩისთვის ტრაბზონში ემზადება. **პეტარ სეგრტის** გუნდი თურქეთის ნაკრების ბაზაზეა დაბინავებული და დღეში ორჯერ ვარჯიშობს. გუშინ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელ **ლევან რამიშვილს** დავუკავშირდით, რომელმაც ნაკრების მწვრთნელ **გელა შეყილაძესთან** დაგვაკავშირა.

"აქ ჩინებულ პირობებში ვართ და მზადება გეგმიურად მიდის. ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს. ფიზიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ვმუშაობთ და პარალელურად კომბინაციებსაც ვამუშავებთ. დღეს დილით წვიმამ შეგვიშალა ხელი და ვერ ვივარჯიშეთ. საღამოს კი ნაყოფიერი წვრთნა გვქონდა. ყველა ფეხბურთელი კარგადაა. გავიგეთ, რომ გიორგი მერებაშვილმა თბილისის "დინამოს" რიგებში ცხინვალის "სპარტაკთან" ამხანაგურ მატჩში ითამაშა. ესე იგი გამოჯანმრთელდა და იმედია, რუსეთთან შეხვედრაშიც მიიღებს მონაწილეობას. თეორიული მეცადინეობებიც გვაქვს. რუსეთის თამაშის ვიდეოფირები მოვიპოვეთ, ხვალ კიდევ მივიღებთ ბოლო ვიდეომასალას მეტოქეზე და შევეცდებით ის სრულყოფილად შევისწავლოთ", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა გელა შეყილაძემ.

დავით ცაბაძე



პეტარ სეგრტი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდოდ დინამოში დავბრუნდები

გრიგალაშვილის პრობლემები: შეზღუდვები და თავისუფლება

დინამოელი გრიგალაშვილი (მარცხნივ) ამჟამად ბორჯომშია

რაღაცით სკანდალური, რაღაცით საინტერესო, ნიჭიერი და თავისებური. მასაში არ ითქვიფება და მიუხედავად სკანდალურობისა, გუნდისთვის და ან უკვე ეროვნული ნაკრებისთვის საჭირო მოთამაშეა.

შოთა გრიგალაშვილი 17 წლისა გამოჩნდა თბილისის „დინამოში", გია გეგუჩაძე ენდო და თითქოს, კარიერაში დიდი წინსვლაც უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, თბილისის „დინამოსთან" ურთიერთობა ვერ აეწყო და „ბორჯომში" გაანათხოვრეს.

ასეთ დროს ფეხბურთელთა უმრავლესობა ცხოვრების ხალისს დაკარგავდა. შოთა გრიგალაშვილს კი "მეორე სუნთქვა" გაეხსნა, ხშირად ხვდებოდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში "ლელოს" ვერსიით და კლაუს ტოპმიოლერმაც, რომელიც ბოლო დროს ეროვნულ ჩემპიონატს მეტ ყურადღებას აქცევს, „ბორჯომიდან" ეროვნულ ნაკრებში პირველად მიიწვია მოთამაშე.

გერმანელი გრიგალაშვილს ადრეც წყალობდა, რამდენჯერმე ათამაშა კიდეც, მაგრამ ახლანდელი მიწვევა მისთვის განსაკუთრებული აღმოჩნდა...

- ტოპმიოლერის ნდობას ყოველთვის ვგრძნობდი. მან ახლა კიდევ ერთი შანსი მომცა, შეეცდები გამოვიყენო. გამიკვირდა და თან გამიხარდა კიდეც ახლანდელი მიწვევა. ნაკრებში ხომ ფეხბურთელებს უფრო პრესტიჟული გუნდებიდან იწვევენ.

- კიდევ ერთი შანსი მომცაო, თქვი. ძველი ვერ გამოიყენე?

- ეტყობა, ასეა. რომ გამომეყენებინა, აქამდეც მიმიწვევდა. ეს ჩემი ბრალიც არის. გუნდიდან გამიშვეს და მხოლოდ ახალგაზრდულში მიწვევდნენ. თუმცა ტოპმიოლერის ნდობას ამ პერიოდშიც ვგრძნობდი და ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო.

- შენი აზრით, ახლა უკეთესად ხარ მომზადებული, ვიდრე ადრინდელი მიწვევების დროს?

- ეს სტადიონზე გამოჩნდება. მე კი მგონია, რომ ადრეც მომზადებული ვიყავი და ახლაც.

- „ბორჯომში" შენი თამაში, როგორც შევიტყვეთ, დუშან უჭრინსაც მოეწონა და „დინამოში" სურს დაგაბრუნოს.

- რაც გუნდმა გამანათხოვრა, მას შემდეგ ჩემთან არავის უსაუბრია. ისე, უჭრინი ნორმალურად არც მიცნობდა, მოსვლისთანავე გამიშვა.

- თავად გსურს „დინამოში" დაბრუნება?

- საკმაოდ გაორებული გრძნობა მაქვს. სიმართლე გითხრათ, ჯერ თვითონაც არ ვიცი, რა მინდა. არანაირი სურვილი არ მაქვს, დავბრუნდე და სკამი ვხეხო.

- შენს თავში დარწმუნებული არ ხარ?

- მე კი ვარ დარწმუნებული, მაგრამ „დინამო" და „ბორჯომი" სხვადასხვა გუნდებია. ყოველთვის კარგად ვერ ითამაშებ, იქ ერთ ჩავარდნასაც არავინ გაპატიებს და შეიძლება, სკამზე დამსვან. აი, ეს მადარდებს.

თუმცა მგონია, რომ მაინც დავბრუნდები. „ბორჯომი" კარგი, მეგობრული გუნდია, მაგრამ ველარ ვძლებ. ორისამი თვე ოჯახს ვერ ვნახულობ, ვერც მეგობრებს და ნათესავებს. ფაქტობრივად ცხოვრება შევიცვალე და ამასთან შეგუება მიჭირს, თორემ ქალაქი, ხალხი და ბიჭები ძალიან მომწონს.

- „ბორჯომში" კარგად ათამაშდი. ეტყობა იქაური ჰაერი მოგიხდა. სერიოზულად რომ ვთქვათ, რამ შეგიწყო ხელი?

- იქ მწვრთნელი მენდობა და მეც ვიცი, ერთი ჩავარდნის გამო არ გამწირავენ. ასეთ ვითარებაში თავისუფლად ვთამაშობ. „დინამოში" ასე ნამდვილად არ მენდობოდნენ და ვიზღუდებოდი. ვცდილობდი შეცდომა არ დამეშვა და ჩემ თავზე ბევრს არც ვილებდი. ასეთი ფეხბურთი კი არ მიყვარს და მოედანზეც არ ვჩანდი. ფეხბურთელისთვის მთავარი ნდობაა. ახალს არაფერს ვამბობ, როცა იცი, რომ არ გენდობიან, არაფერი გამოგივა.

- წლეულს „აუეში" ისინჯებოდი და სამშობლოში დაგაბრუნეს. არა მგონია, ამის შემდეგ უცხოეთში წასვლაზე ხელი ჩაგექნია.

- რას ჰქვია ხელი ჩავიქნიო. ახლა რომ ვიცოდე კარიერას საქართველოში დავასრულებ, ფეხბურთელობას აღარ გავაგრძელებდი. თუმცა ჯერ უცხოეთიდან არანაირი მიწვევა არ მაქვს. „დინამოსთან" კონტრაქტი რომ დამიმთავრდება, მერე უფრო იმედიანად შეიძლება უცხოეთზე ფიქრი. თავისუფალ აგენტებს მეტი გასაქანი აქვთ.

- შენი და „დინამოს" ურთიერთობაში ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა. გეგუჩაძემ გამოგაჩინა, მაგრამ მერე რა მოხდა, ბევრი რამაა უცნობი.

- მერე ორი წელი თითქმის არ მითამაშია.

- მიზეზი რა იყო, არც ერთი მწვრთნელი არ გენდობოდა?

- ასე ვერ ვიტყვი. ცხადაძის დროს დავშავდი, როცა მოვმჯობინდი და თამაშის იმედი გამიჩნდა, ისევ ტრავმა მივიღე. დიდი დრო გამიცდა. მერე კი უჭრინმა გამიშვა.

- მოდი, ისიც ვთქვათ, რაც უჭრინმა განაცხადა - კარგი, მაგრამ უდისციპლინო ფეხბურთელიაო. იქნებ, შენც არ იყავი მართალი?

- სიმართლე რომ ვთქვათ, ამის გამო გამანათხოვრეს. უდისციპლინო და უხასიათოაო. ალბათ, ესეც დიდი გაუგებრობა იყო. მგონია, ყველაფერი გარკვევა და ჩემს რეალურ სახეს ვაჩვენებ. ემოციური ნამდვილად ვარ, მაგრამ ეს უხასიათობას არ ნიშნავს.

- ემოციური ადამიანი სხვაგვარია მწვრთნელთან ურთიერთობაში, მცირე წყინს და მცირეც უხარია. ეტყობა, უჭრინისგან შენც უფრო მეტ ნდობას ელოდი.

- დიახ, ასეა. სხვათა შორის, მაშინ ხმა არც ამომიღია და წამოვედი. თუმცა გავიდა დრო, უჭრინმა სხვა თვალით თუ შემომხედა და მართლა სურს ჩემი დაბრუნება, ერთად ვიმუშავებთ და ვაჩვენებ, რომ ცუდი ადამიანი არ ვარ.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ ერიკ რომეო ჩასემთან

საღ წავალ? ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის!

რატომ ვერ დადის კათოლიკე ზანგი ეკლესიაში

ერიკ რომეო ჩასემს ალბათ, არ უნდა დავამადლოთ იმის თქმა, რომ ის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. ბოლნისის „სიონის" კამერუნული ტრიოდან 22 წლის ჩასემი უდავოდ გამორჩეულია - ის ბოიომო ფრიდოლინისთან და გასტონ ევოჩესთან ერთად შარშან ზაფხულს მივიდა „სიონში" და მყის შესამჩნევ მოთამაშედ იქცა.

„სიონის" სამივე კამერუნელი თბილისში ცხოვრობს. ჩასემი ერთოთახიან „ხრუშჩოვკით" კმაყოფილდება და ყოფით პრობლემებს თითქმის არ უჩივის. ის ისეთი ლეგიონერია, რომელმაც მართლაც გაამართლა. ჩასემი მრავალმხრივი თავდამსხმელია და ნებისმიერ ტაქტიკურ მოდელს ესადაგება.

და როგორი ტიპია ეს ჩვენი ჩასემი? მასთან ინტერვიუსას ამის გარკვევას ვცდილობდით...

- შეგეძლო ბოლნისში გეცხოვრა და ვარჯიშებზე თბილისი-ბოლნისი-თბილისის მარშრუტს არიდებოდი. ბოლნისს თბილისი მხოლოდ იმიტომ ამჯობინე, რომ პერიფერიაში ცხოვრება არ გინდოდა?

- ბოლნისი საცხოვრებლად მყუდრო და წყნარი ადგილია, მაგრამ იქ ჩემს მეგობრებთან ერთად ვერ ვიქნებოდი. თბილისში კი ბევრი ახლობელი მყავს. ვმეგობრობ „დინამოს" და „ოლიმპის" აფრიკელ ფეხბურთელებთან. მყავს ქართველი მეგობრებიც, თუმც ისინი ფეხბურთელები არ არიან. არფიკელებთან მეგობრობას ისიც მიადვილებს, რომ ისინიც ფრანგულად ლაპარაკობენ.

- ზოგადად, მოგწონს საქართველოში ცხოვრება?

- კი, აქ ცხოვრება კარგად მიდის, თუ არ ჩავთვლით იმ ფაქტს, როცა ევოჩე გაძარცვეს.

- თუ აქაურობით კმაყოფილი ხარ, ეულად რატომ ცხოვრობ?

- მეუღლე და ერთი წლის ვაჟი მალე ჩამოვლენ ჩემთან.

- კამერუნულ და თბილისურ ცხოვრებას როგორ შეადარებდი?

- ბაფუსა კამერუნში სიდიდით მესამე ქალაქია, მაგრამ თბილისი მასზე უფრო ლამაზია.

- ფეხბურთის თამაშის გარდა კიდევ რა გეხერხება? კამერუნში ფეხბურთელობის გარდა რა პერსპექტივა გქონდა?

- უნივერსიტეტში ჩავირიცხე, მაგრამ იურისტის დიპლომი არ ამიღია - უნივერსიტეტიდან გამოვედი და ფეხბურთელობა ვამჯობინე.

- კამერუნში ფეხბურთელს ვექილზე დიდი ხელფასი აქვს?

- არა, ჩვენთან ადვოკატს და ფეხბურთელს, ფაქტობრივად, ერთნაირი ხელფასი აქვთ, მაგრამ თუ იურიდიულ ფირმას გახსნი, ეს სულ სხვა რამეა.

- კამურენლ ფეხბურთელაგან ყველაზე მეტად ვის აფასებ?

- პატრიკ მბომას. ბევრს ჰგონია, რომ ყველა კამერუნელის საყვარელი ფეხბურთელი როჟე მილაა, მაგრამ მე მისი თამაში ცოცხლად არ მინახავს. მილა ახლა ფიფას ელჩია სხვადასხვა ქვეყნებში.

- „სიონზეც" ვთქვათ. თქვენი გუნდის საქმეები ბოლო დროს კარგად ვეღარ მიდის - რას დააბრალებდი ამას?

- „სიონში" ახლა ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია. ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის კი ადვილი არაა უმაღლეს ლიგაში ეგრევე კარგ დონეზე თამაში. თანაც ახალგზარდა ფეხბურთელებს სტაბილურობაც უძნელდებათ.

- როდემდე აპირებ „სიონში" დარჩენას? საქართველო, უცხოეთი თუ კამერუნი - როგორი იქნება ჩასემის არჩევანი?

- საერთოდ, დიდ გუნდში თამაში მსურს და თუ ვინმე ასეთი შემოთავაზებით დამიკავშირდება, ბედნიერი ვიქნები. „სიონშიც" ბედნიერად ვგრძნობ თავს და ვალდებული ვარ, ამ გუნდისთვის ყველაფერი გავიღო. ბოლნისელებთან კონტრაქტი სეზონის დასრულების შემდეგ მეწურება.

- და მერე რას აპირებ?

- ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის.

- მორწმუნე ხარ და ეკლესიურად ცხოვრობ?

- ღმერთის მჯერა, კათოლიკე ვარ და კათოლიკურ ეკლესიაში თბილისშიც დავდივარ. სამწუხაროდ, ყოველ კვირას ვერ დავდივარ ეკლესიაში, რადგან კვირაობით ჩემპიონატის ტური იმართება. დღეში ორჯერ აუცილებლად ვლოცულობ - როცა ვიღვიძებ და საღამოს ძილის წინ.

- რაიმე ჰობი თუ გაქვს?

- კომპიუტერი და კითხვა, თუმცა რომანებს არ ვკითხულობ, გაზეთებს და სპეციფიკურ წიგნებს.

- ალკოჰოლს რა დოზით მიირთმევ?

- როცა მეგობრებთან ვარ, ცოტა შამპანურს თუ მოვწრუპავ და მორჩა. მაგრამ თუ ქართულ სუფრაზე მოვხვდები, ერთი ჭიქა ღვინის დალევა მიწევს. სიგარეტს არ ვეწევი და ნარკოტიკებსაც არ ვეტანები.

- საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეთაგან ვის გამოარჩევდი?

- ამერელ გოცირიძეს და „აბრეზას", ყველაზე მეტად კი დოლიძე და დიღმელაშვილი მომწონს.

დავით თავართქილაძე

თარგამაძემ შტუტგარტთან ითამაშა

ახალგაზრდა ქართველმა ნახევარმცველმა **დავით თარგამაძემ**, რომელიც "ფრაიბურგის" განაცხადში სულ ახლახანს შეიყვანეს, ჭაბუკთა ბუნდესლიგის გასულ ტურში ითამაშა. "ფრაიბურგი" სტუმრად "შტუტგარტს" დაუპირისპირდა და 0:5 განადგურდა.

თარგამაძე ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე გაამწესეს და მატჩის 32-ე წუთზე შეცვალეს. ამ დროისთვის ანგარიში 0:0 იყო. "ფრაიბურგის" ოფიციალური ვებგვერდი თარგამაძის ნაადრევი შეცვლის მიზეზზე არაფერს წერს. "ფრაიბურგის" 19-წლამდელები ბუნდესლიგის სამხრეთ ზონაში 14 გუნდს შორის მე-6 ადგილზე არიან.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ "შალკეს" ახალწვეულ **ლევან ყენიაზე** გელზენკირხენელი კლუბის ყოფილმა ვარსკვლავმა, **ებე სანდმა** გამოთქვა აზრი. დანიელის თქმით, ყენია თავისი ასაკის ფეხბურთელებს შორის უდავოდ გამორჩეულია და მისგან ძალიან ბევრს ელის.

ლევან ჯანეზაშვილი



დავით თარგამაძე

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩები

ამერი მერანს დაუზავდა

დინამომ კი სპარტაკს სძლია

საქართველოში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ ეროვნულ ჩემპიონატში გვარიანი პაუზა გამოიწვია. ეს სიტუაცია ამხანაგური მატჩების გამართვას ხელს არ უშლის და უმაღლესი ლიგის ზოგიერთი ბინადარი ამ შესაძლებლობას იყენებს.

გუშინ "ამერმა" საგურამოში, საკუთარ ბაზაზე "მერანს" უმასპინძლა. თამაში არცთუ სანახაობრივი გამოდგა და 0:0 დასრულდა. ორივე გუნდის მწვრთნელებმა თავის გამოჩენის საშუალება საკმაო რაოდენობის ფეხბურთელებს მისცეს. ბუნებრივია, გუშინ საკუთარი კლუბების შემადგენლობაში ნაკრებებში გამოძახებულმა მოთამაშეებმა ვერ დაიცვეს.

ამერი: **ნადირაშვილი (55. ქვაჩახია), კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე (46. კობაური), დოლიძე (62. შალამბერიძე), დობროვოლსკი (55. მესხი), დიდავა, ბოლქვაძე (62. ცხადაძე), ჯელაძე (35. ა. ალავიძე), რ. გოცირიძე, ტატანაშვილი (75. ვარდოსანიძე).**

მერანი: **მამარდაშვილი, ლოლაძე, გიგაური, თ. კობიაშვილი, ა. კალაძე, ჯანგიძე, ბურჯანაძე, ზ. ავალიანი, ტყეშელაშვილი, ფურთუხია, გოჩაშვილი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **სეფიაშვილი, ლომაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, შველიძე, კობერიძე, იაგო დეისაძე, ჯოშუა, ბაკურაძე, ხუჭუა, იაკობ დეისაძე, ქემაშვილი.**

თბილისის "დინამომ" "სპარტაკი" დაამარცხა დიღმის ბაზაე 4:0. გოლები აკირემიმ, ხუციშვილმა, მერებაშვილმა და ხმალაძემ გაიტანეს.

დინამო: **ოვონო, დობეში, კრშკო, ზელიჩი, შ.კაშია, ოდიკაძე, ხმალაძე, დიღმელაშვილი, მერებაშვილი, ხუციშვილი, აკირემი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **გრიშიკაშვილი, ფეიქრიშვილი, ვანაძე, ფირცხალავა, გველესიანი, გონჩაროვი.**

"დინამოს" რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა. მეკარე **გიორგი ლორია, ალექსანდრე კობახიძე** და **გულვერდ თომაშვილი** ახალგაზრდულ ნაკრებში არიან გამოძახებული და ტრაბზონში ემზადებიან. **გურამ კაშია** ტრავმირებულია. **ილია სპასოევიჩი** კი ჩერნოგორიის ახალგაზრდულ ნაკრებშია გამოძახებული.

გუშინდელ შეხვედრაში **გიორგი მერებაშვილმაც** მიიღო მონაწილეობა და გოლითაც გამოირჩა. ის რუსეთთან 20 ნოემბრის მატჩისთვისაა გამოძახებული, მაგრამ მსუბუქი ტრავმის გამო, ახალგაზრდულ ნაკრებს თურქულ შეკრებაზე ვერ გაყვა.

ლევან ჯანეზაშვილი
დავით ცაბაძე



კახა ლომაია

გუშინ ნაშუადღევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში პეპსის თასის შარშანდელი გამარჯვებული, ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლის გუნდი დააჯილდოვეს. ცერემონიალს მინისტრ **კახა ლომაიას** გარდა ესწრებოდნენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი**, ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე**, ეზოს ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელები

სკოლგურთი

ფინალისტები დაჯილდოვეს

იქნებ მათ შორის მომავალი ყიფიანიცაა...

დიმიტრი ბოკერია და **შოთა ბაქრაძე**, ასევე პროფლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი.**

"სკოლბურთი-პეპსის თასი მართლაც ორიგინალური პროექტია. წლეულს გათამაშებაში 11 ათასმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებული, ზუგდიდის პირველი საჯარო სკოლის გუნდი, როგორც ვიყავით შეპირებული, პრესტიჟულ ტურნირზე გავამგზავრეთ, სადაც ფინალში ითამაშეს.

ეს ტურნირი ჩინებული საშუალებაა ნიჭიერი ბავშვების გამოსავლენად. იქნებ ამ ბავშვებში მომავალი დათო ყიფიანია. მათ ასახელეს თავიანთი სკოლა, ქალაქი, სახელმწიფო", - განაცხადა კახა ლომაიამ.

"პროექტის განხორციელებაში განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს გარდა, მხარში გვიდგას ეზოს ფეხბურთის ასოციაცია,

დედაქალაქის მერია და კომპანია "პეპსი". ჩვენს შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად ეს პროექტი კიდევ 4 წელს გაგრძელდება და უფრო

მასშტაბური გახდება", - ეს უკვე ნოდარ ახალკაცის სიტყვეია.

დავით ცაბაძე

ცვლილებები რუსეთის ახალგაზრდულში

20 ნოემბერს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუსეთს უმასპინძლებს. შეხვედრა 19 საათზე დაიწყება. რუსეთის ახალგაზრდულის შემადგენლობა რამდენიმე დღის წინ გაგაცანით, გუშინ კი მეტოქის შემადგენლობაში მომხდარი რამდენიმე ცვლილების შესახებ გახდა ცნობილი.

ტრავმების გამო, რუსებს "მოსკვას" წევრები, **კირილ ნაბაბკინი** და **პაველ გოლიშევი** გამოაკლდათ. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბორის სტუკალოვმა** ცსკა-დან **დმიტრი ტიხონოვს** უხმო. რუსები ტრადიციულად, ბორის საწვრთნელ კომპლექსში ემზადებიან.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერები

რჩეულებში ერთი ქართველია

რუსეთის ჩემპიონატის დასრულებისთანავე "სპორტ-ექსპრესმა" სრული სტატისტიკა გამოაქვეყნა. პოპულარულმა გამოცემამ პოზიციათა მიხედვით საუკეთესო ფეხბურთელები გამოავლინა. ნომინანტთა შორის მოსახვედრად 30-დან მინიმუმ 20 მატჩის ჩატარება იყო აუცილებელი, ამიტომაც **მალხაზ ასათიანს**, რომელსაც მძიმე ტრავმის გამო თითქმის წელიწადი გაუცდა, საუკეთესოებში მოხვედრის შანსი არ ჰქონია. შეგახსენებთ, პრემიერლიგის საუკეთესო მცველის წოდება მან 2004 წელს მოიპოვა, წლეულს ეს პატივი ცსკა-ს უკანახაზელ **სერგეი იგნაშევიჩს** ხვდა წილად.

ერთადერთი ქართველი, რომელიც თავისი პოზიციის საუკეთესო ათეულში მოხვდა, **დავით მუჯირია.**

"კრილია სოვეტოვის" ვიცე-კაპიტანი შემტევ ნახევარმცველებს შორის მე-8 ადგილზეა. მისი საშუალო შეფასება 5,54-ია. მუჯირმა ამ სეზონში 26 მატჩი ჩაატარა. ამ ამპლუაში საუკეთესო მოსკოვის "სპარტაკის" კაპიტანი **ეგორ ტიტოვი** გახდა. *"ამ სეზონში ცხრა გოლი გავიტანე, რაც ნახევარმცველისთვის მშვენიერი შედეგია. თანაც, პრობლემები არ მაკლდა. გაიხსენეთ, რომ რუსეთის ვიზას არ მაძლევდნენ, ძირითადშიც ყოველთვის ვერ ვხვდებოდი, ასე რომ, ამდენი დაბრკოლების კვალობაზე, საკუთარი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. მომავალ სეზონსაც "კრილიაში" გავატარებ და კიდევ უკეთესად თამაშს შევეცდები"*, - უთხრა მუჯირმა სამარული კლუბის ვებგვერდს.

აქვე ამ სეზონის სიმბოლურ ნაკრებსაც გაგაცნობთ:

სტიპე პლეტიკოშა (სპარტაკი მ.), **ბრანისლავ ივანოვიჩი** (ლოკომოტივი), **სერგეი იგნაშევიჩი** (ცსკა), **ალექსეი ბერეზუცკი** (ცსკა), **ანატოლი ტიმოშჩუკი** (ზენიტი), **მილოშ კრასიჩი** (ცსკა), **იური ჟირკოვი** (ცსკა), **კონსტანტინ ზირიანოვი** (ზენიტი), **ეგორ ტიტოვი** (სპარტაკი მ.), **ვაგნერ ლავი** (ცსკა), **ანდრეი არშავინი** (ზენიტი).

წინა წლებში ქართველები რუსეთში გაცილებით წარმატებით გამოდიოდნენ. ამის მიზეზი გარდა იმისა, რომ მაშინ უფრო მაღალი დონის შემსრულებლები გვყავდა, რუსეთის ჩემპიონატის დონის საგრძნობი ამაღლებაცაა.

1992 წელი: კახა ცხადაძე (სპარტაკი მ.) - საუკეთესო მარცხენა მცველი.

1995: მურთაზ შელია (ალანია) - საუკეთესო მარცხენა მცველი; მიხეილ ყაველაშვილი (ალანია) - საუკეთესო უკანა ფორვარდი.

1996: მურთაზ შელია (ალანია) - საუკეთესო მარცხენა მცველი.

1997: ლევან კობიაშვილი (ალანია) - საუკეთესო ახალგაზრდა, საუკეთესო ახალწვეული, საუკეთესო უცხოელი; მიხეილ აშვეთია (ალანია) - საუკეთესო იუნიორი.

1998: ზაზა ჯანაშია (ლოკომოტივი) - საუკეთესო ცენტრფორვარდი, საუკეთესო უცხოელი.

1999: გიორგი დემეტრაძე (ალანია) - საუკეთესო უკანა ფორვარდი, ზაზა ჯანაშია (ლოკომოტივი) - საუკეთესო ცენტრფორვარდი.

2004: მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი) - საუკეთესო ცენტრალური მცველი.

2006: გოგიტა გოგუა (სპარტაკი ნ.) - საუკეთესო ახალწვეული.

ლევან ჯანეზაშვილი

დავით მუჯირი

მუჯირმა სამარის პრეზიდენტი გააკრიტიკა

რატომ ასახელებთ მცველებს, ჩვენ სად ვართ?

დავით მუჯირმა სეზონი არასტაბილურად ჩაატარა. ტრავმებისა და სავიზო პრობლემების გამო, მან საკმაოდ ბევრი შეხვედრა გამოტოვა. ამის მიუხედავად, ქართველი ლეგიონერი სამარის „კრილია სოვეტოვის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მან სეზონში ცხრა ბურთი გაიტანა. ეს შედეგი ნებისმიერი ფლეიმეიკერისთვის წარმატებად ჩაითვლებოდა, მით უფრო სეზონის განმავლობაში მატჩების მესამედის გამოტოვების შემთხვევაში.

დათო რუსეთის პრემიერლიგის ბომბარდირებში მეცამეტე პოზიციაზე გავიდა და ლიგაში მიწვეულ ბევრ ცნობილ მოთამაშეს გაუსწრო.

ამის მიუხედავად, „სამარსკი ფუტბოლმა" გუნდის საუკეთესო ფეხბურთელებად **ბუტი** და **ბრანკო** აღიარა.

ამას მუჯირი უსამართლობად მიიჩნევს და როგოც ჩვევია, უკმაყოფილება საჯაროდ, გაზეთ „სამარსკი ფუტბოლთან" დააფიქსირა:

„ბოლო ტურში მეცხრე ბურთი გავიტანე. თქვენ შეგიძლიათ დაუფიქრებლად პრემიერლიგის სამი ნახევარმცველი დამისახელოთ, რომლებმაც ამ სეზონში ჩემზე მეტი გაიტანეს? რატომღაც, ეს საკითხი მეორეხარისხოვნად ჩაითვალა, ჩვენი პრეზიდენტი კი საუკეთესოებად ბუტს და ბრანკოს ასახელებს. მაშინ, სადღაა გუნდის ნახევარდაცვა? პრეზიდენტი ჩვენ მცველებს გამოარჩევს, მაგრამ „კრილია სოვეტოვმა" წლეულს ბევრი ბურთი გაუშვა.

ბუტი და ბრანკო ძალიან კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ გუნდში მხოლოდ ისინი არ გამოირჩევიან! მე ვთვლი, რომ პერსონალურად არც ერთი ფეხბურთელის გამოყოფა არ ღირს. თვითკრიტიკულობაც არ გვანყენდა. მე გაცილებით უკეთ შემიძლია თამაში. წლეულს რთულ ვითარებაში ვიყავი, რუსეთის ვიზის მიღებასთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა, ძირითად შემადგენლობაშიც ყოველთვის არ მაყენებდნენ, მთავარ მწვრთნელებთანაც საერთო ენის გამონახვას ხშირად ვერ ვახერხებდი და მაინც მოვახერხე ცხრა ბურთის გატანა.

მომავალ სეზონში შევეცდები, გაცილებით უკეთესად ვითამაშო. იშედია, კლუბიც უფრო ამბიციური გახდება და „კრილიასთვის" ყველაფერი კარგად აეწყობა".

ჩანს მუჯირი მწვრთნელის და პრესის კრიტიკით გაღიზიანებულია, რადგან ამ თემას კიდევ ერთხელ და ძველზე მძაფრად შეეხო.

„რა თქმა უნდა, ეს არ იყო ჩემი საუკეთესო სეზონი, მაგრამ, ამის მიუხედავად არ მესმის ჩემი მიმართულებით გამოთქმული კრიტიკა. მე და ტოპიჩს განსაკუთრებით გვერჩიან და მითხარით, ცოტა გაგვაქვს? მე იმდენივე გავიტანე, რამდენიც „სატურნის" კარიაკამ და მეტი ვიდრე ჩემპიონის, პეტერბურგის „ზენიტის" ერთ-ერთმა ლიდერმა ზირიანოვმა. „კრილია" ბევრს თუ უშვებს, ეს ჩემი ბრალია? რა ვქნა, კარში ჩავდგე თუ ლიბეროდ თამაშს მირჩევთ?" - ასეთია მუჯირის რეაქცია.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გაახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

ტოპმიოლერის დიდი შემობრუნება



რამდენიმე დღეც და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დასრულდება. რა თქმა უნდა, დასკვნა-შეფასებებიც მერე უნდა გაკეთდეს, თუმცა ვერავინ იტყვის, რომ საქართველოს ნაკრებმა ეს შესარჩევი ციკლი ჩააგდო. ჩვენი ოპტიმიზმიდან გამომდინარე ყოველთვის ველით, რომ საქართველოს ნაკრებმა ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გააღწიოს; ეს მოლოდინი კი (13 წელინადი რომ გრძელდება) უკვე რეალობად წარმოვიდგინეთ, როცა საქართველოში **კლაუს ტოპმიოლერი** ჩამოვიდა. მაგრამ რად გინდა - ისეთ ქვეჯგუფში მოვხვდით, აღარც უნდა გვეოცნება! აქეთ - იტალია, იქით - საფრანგეთი, ამას ამბიციური უკრაინა დავუმატოთ, მერე კიდევ შოტლანდიელებმაც„გაიხსენეს“, რომ ათი წელინადი მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებიათ და დაგვრჩა ერთადერთი მიზანიც: ჯგუფში მეხუთე ადგილის დაკავება. გვინდა ვისურვოთ, რომ ეს ლოკალური წარმატება მიღწეული იქნება, ისევე როგორც „ტოპის“ საქართველოში დარჩენა - ნამდვილად არ არის იმის დრო, კვლავ ახალ მწვრთნელზე ვიფიქროთ. ეს რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, თორემ 17, 19 და 21-წლამდე ნაკრებებში უცხოელმა მწვრთნელებმა თავი რომ ვერაფრით გამოიჩინეს, ფაქტია. ყოველ შემთხვევაში, მათ ადგილზე ქართველი მწვრთნელები რომ ყოფილიყვნენ, არა გვგონია, უარესი შედეგი ჰქონოდათ. თანაც, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ჩვენ ყველა ასაკობრივ ნაკრებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებისგან ჩინებული პირობები ჰქონდათ შექმნილი. ეს სხვა თემაა და ამაზე შემდგომ ვისაუბროთ; მანამდე კი ეროვნული ნაკრებისა და... საქართველოს ჩემპიონატის „ურთიერთობაზე“ გვინდა ყურადღების გამახვილება. ჰო, ისევ ის ყბადაღებული თემა, მთელი წელინადი აქტუალური რომ იყო ქართულ სპორტულ პრესაში. შეგახსენებთ, თუ რამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია კლაუს ტოპმიოლერის ნათქვამმა - საქართველოს ჩემპიონატში საინტერესო ფეხბურთელები არ თამაშობენო! ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, როცა საქართველოს ნაკრებმა ფარერებთან სტუმრად „გასეირნების“ მერე ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო. მართალია, მეტოქეებად საფრანგეთი, უკრაინა და იტალია გვყავდა, მაგრამ ასეთი შედეგი მაინც მიუღებლად მივიჩნიეთ. სწორედ მაშინ მოუწოდა ქართულმა მედიამ მწვრთნელს, უფრო მეტი ყურადღება მიექცია ეროვნული ჩემპიონატისთვის. რა თქმა უნდა, არავინ ამბობდა უარს იტალიის, გერმანიის, ინგლისის, ჰოლანდიისა თუ რუსეთის ნამყვანი კლუბების ძირითადში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებზე, მაგრამ მათ გვერდით სასურველი იქნებოდა საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს ეთამაშათ. არადა, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზებით ტოპი და მისი შტაბი სრულ იგნორირებას უკეთებდა საქართველოს ჩემპიონატს - მხოლოდ სეზონის ბოლოს დაესწრო მწვრთნელი რამდენიმე ცენტრალურ მატჩს. ეგ კი არა, შარშან ზაფხულში ოთხმა ქართულმა გუნდმა ითამაშა ევროტურნირებზე და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი არც დაინტერესებულა ამით.

ჰო, ლამის მთელი წელი (უფრო ზუსტად, შემოდგომიდან გაზაფხულამდე) ქართული სპორტული მედია ტოპმიოლერს ურჩევდა ენახა **სანდრო იაშვილის, გიორგი სეთურიძის, თორნიკე აფციაურის, გრიგოლ დოლიძის, გოგი ფიფიას, გიორგი მერებაშვილის, დავით ბოლქვაძის, გიორგი ონიანის, დიმიტრი ტატანაშვილისა** და წინა ჩემპიონატს სხვა გამორჩეული ფეხბურთელების თამაში, მაგრამ ასეთი რამ არ ხდებოდა და მხოლოდ ერთეულები თუ ხვდებოდნენ ეროვნული ჩემპიონატიდან ნაკრებში. შესარჩევი ციკლის პირველ ოთხ შეხვედრაში ეს პატივი **გრიგოლ ჭანტურიას** („ზესტაფონი„) და **გიორგი შაშიაშვილს** („დინამო“) ერგოთ; ორჯერ **ზურაბ იონანიძე** („ზესტაფონი“) იჯდა სათადარიგოთა სკამზე, ერთხელ კი - **შოთა გრიგალაშვილი** („დინამო“). თანაც, ამ უკანასკნელს იმ დროს საკუთარ კლუბში სერიოზული პრობლემები ჰქონდა. იმ ოთხი ოფიციალური შეხვედრის მერე საქართველოს ნაკრებს ორი ამხანაგური მატჩიც ჰქონდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ტოპიმ მხოლოდ მატჩის მიწურულს გამოიყვანა აქ მოთამაშე ფეხბურთელები: ურუგვაისთან - **სანდრო კობახიძე, რატი ნინამძღვრიშვილი** და შოთა გრიგალაშვილი (**დავით გამეზარდაშვილი** სათადარიგოთა სკამზე დარჩა), ხოლო თურქეთთან - **ალექსი ბენაშვილი.**

ეს ყველაფერი გაგრძელდა შემდეგ ოფიციალურ თამაშებშიც: შინ - ფარერებთან და სტუმრად - შოტლანდიასთან, ლიტვასთან და საფრანგეთთან. ამ ოთხივე შეხვედრაში საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე არცერთ ფეხბურთელს არ უთამაშია!

და აი, ტოპმიოლერის „დიდი შემობრუნებაც“ დაიწყო!

ყველაფერი კი, ჩვენი აზრით, 22 აგვისტოს ჩატარებული უსახური მატჩის „დამსახურებაა“. იმ დღეს საქართველოს ნაკრებმა ამხანაგურ შეხვედრაში ლუქსემბურგთან სენსაციური ფრე ითამაშა. ასეთი შედეგით განრისხებულმა მწვრთნელმა თამაშის მერევე განაცხადა, რომ ნაკრებში სერიოზულ ცვლილებებს მოახდენდა და ასეც მოხდა. თანაც, არც ის დავივიწყოთ, რომ წინა სეზონისაგან განსხვავებით, ამ ჩემპიონატში ტოპმპიოლერს უკვე ყველგან ვხედავდით - თბილისშიც, მცხეთაშიც, ზესტაფონშიც, რუსთავშიც...

... და მაინც, ასეთ „საკადრო რევოლუციას“ არავინ ელოდა: უკრაინასთან მატჩის წინ საქართველოს ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელთა ლამის ნახევარი ეროვნული ჩემპიონატიდან იყო! ასე გამოჩნდნენ ნაკრებში გიორგი მერებაშვილი და სანდრო კობახიძე (ორივე - „დინამო“), **გიორგი დეკანოსიძე, დავით ბოლქვაძე,** გრიგოლ დოლიძე და დიმიტრი ტატანაშვილი (ყველა - „ამერი“), **ალექსანდრე კვახაძე** და **დავით ლომაია** (ორივე - „ვიტ ჯორჯია“); ამასთან, ტოპმიოლერმა, ყველასთვის გაკვირვებად, ნაკრებში უხმო 17 წლის **გიორგი მაკარიძეს**, თბილისის „დინამოს“... მეოთხე მეკარეს; რაც შეეხება „ლოკომოტივისა“ და, საერთოდ, ქართული ფეხბურთის „მარგალიტად“ მონათლულ 16 წლის **ლევან ყენიას**, მისი გამოძახება ნამდვილად არავის გაკვირვებია. თუმცა ერთია გამოძახება, სულ სხვა კი - ოფიციალურ მატჩში თამაში. ტოპმიოლერმა უკრაინასთან მატჩში ორ დებიუტანტს მისცა შანსი - ყენია და ტატანაშვილი შეცვლებზე შემოვიდნენ. სამაგიეროდ, სხვებმა აზერბაიჯანთან ამანაგურ მატჩში ითამაშეს. იგივე განმეორდა იტალიასთან სტუმრად მატჩშიც, სადაც გამოძახებულთა შორის „მერანის“ მეკარე **რევაზ თევდორაძეც** მოხვდა, ხოლო ლევან ყენიამ კვლავაც შეცვლაზე ითამაშა. და აი, კულმინაციაც - 17 ოქტომბერს შოტლანდიის ნაკრები თბილისში რომ პირწმინდად დავჩაგრეთ, სხვებთან ერთად 16 ლის ლევან ყენიას და 17 ლის გიორგი მაკარიძის დამსახურებაც იყო. არ დავივიწყოთ ის ფაქტიც, რომ მატჩის მიწურულს შეცვლაზე „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანი ალექსანდრე კვახაძე გამოვიდა, ხოლო სათადარიგოთა სკამზე ბოლნისის „სიონის“ მეკარე **ზვიად სტურუა** იჯდა. რა თქმა უნდა, ტოპი უდიდეს რისკზე წავიდა, როცა ასეთ პრინციპულ მატჩში სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელ ფეხბურთელებს ენდო (17 ლის **ლევან მჭედლიძეც** არ დაგვავიწყდეს, ქართველმა მაყურებელმა პირველად რომ იხილა). თუმცა ხშირად რისკი ამართლებს და ასეც მოხდა შოტლანდიასთან მტაჩში, როცა მეტოქე „შეხრამუნების“ რა მოგახსენოთ, მაგრამ ყველაფერში კი დავჯაბნეთ...

... კურსი გრძელდება - ხვალ ყატართან ამხანაგური და ოთხშაბათს ლიტვასთან შესარჩევი შეხვედრებისთვის საქართველოს ნაკრებში ექვსი ფეხბურთელია გამოძახებული ეროვნული ჩემპიონატიდან: გიორგი მაკარიძე, **რონინ კვასხვაძე,** ალექსანდრე კვახაძე, შოთა გრიგალაშვილი, გიორგი დეკანოსიძე და **ნიკა გელაშვილი.** აქედან ორი - „ზესტაფონის“ მეორე მეკარე კვასხვაძე და „ვიტ ჯორჯიას“ ცენტრფორვარდი გელაშვილი სულაც დებიუტანტები არიან. დარწმუნებული ვართ, რომ ტოპმიოლერი კიდევ ბევრ აქ მოთამაშეს მისცემს ნაკრებში დამკვიდრების შანსს. ამით კი საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს სულ სხვა მოტივაცია შეექმნებათ და, რაც მთავარია, ჩვენი პირველობის დონეც აიწევა...

გია ტუხაშვილი

ლეგიონერი

დაჩიას მწვრთნელი დარასელიას აღიარებს

ვიტალი დარასელია

ვიტალი დარასელია ძველებურად კარგად ათამაშდა. მოლდოვის ჩემპიონატში მოასპარეზე „დაჩია“ (რომელსაც რუმინულ-ფრანგული ავტოკომპანია „პეჟო-დაჩია“ აფინანსებს) დღეს ქართველი ლეგიონერის გარეშე წარმოუდგენელია.

ამის შესახებ მოლდოვის თასის მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ „დაჩიას“ მთავარმა მწვრთნელმა **ემილ კარასმა** ისაუბრა.

მას კითხვა დაუსვეს - „დაჩიის“ შეტევების უმრავლესობას დარასელია იწყებდა, ის თქვენი ჯოკერია“?

„ეს ის მოთამაშეა, რომელსაც ერთი გადაცემით შეუძლია მეტოქის დაცვის გარღვევა და სტანდარტულებს ჩინებულად ასრულებს. მართალია, „ტირასპოლთან“ თავისი საუკეთესო თამაში ვერ აჩვენა, მაგრამ მას ხელი მოედანმა შეუშალა. თუმცა დარასელია დღეს „დაჩიის“ ლიდერია“ - აღნიშნა კარასმა.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
ბოთბაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 755 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაადგილებადობა ადგილიდან გაუფლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვარეშმა სამეფო კლუბს დარჩა

რეალი

მიატოვიჩმა ატლეტიკოს კვარეშმა წაართვა?

რაულს გატანილი გოლები თავბრუს არ დაახვევს

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რიკარდო კვარეშმა კარიერას პრიმერა დივიზიონში გააგრძელებს. საკითხავი მხოლოდ ის არის, რომელი კლუბის ღირსებას დაიცავს პორტუგალიელი გარემარბი. ცნობილია, რომ მისმა მენეჯერმა "ატლეტიკოსთან" სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია. "როხიბლანკოს" მესვეურები იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნას სულმოუთქმელად იმ იმედით ელოდებიან, რომ კვარეშმას "ვისენტე კალდერონზე" გადაიბირებენ. ბუნებრივია, მენეჯერის თანხმობა სერიოზული უპირატესობაა, მაგრამ გუშინ გავრცელებული ინფორმაცია გვაფიქრებინებს, რომ "ატლეტიკოს" დიდი იმედგაცრუება ელის...

როგორც გაირკვა, თავად ფეხბურთელს "რეალის" გარდა სხვა არც ერთი გუნდის სახელის გაგონება არ სურს: "პორტუს" ალბათ მალე დავტოვებ. მინდა, ძალები სხვაგანაც მოვცადო. ჩემით დაინტერესებულ ყველა გუნდს უდიდეს მადლობას მოვახსენებ, მაგრამ ოფიციალურად უნდა განვაცხადო, რომ ერთადერთი მიზანი მამოძრავებს, მსურს კარიერა მადრიდის "რეალში" გავაგრძელო. კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ვიცი, რომ ოცნების ასრულების ძალიან სერიოზული შანსი მაქვს."

კურიოზულია, მაგრამ კვარეშმას ეს სიტყვები "ატლეტიკოს" პრეზიდენტის, **ენრიკე სერესოს** *ოპტიმიზმით აღსავსე განცხადების გავრცელების შემდეგ გამოქვეყნდა: "ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ რიკარდო კვარეშმა კარიერას "ატლეტიკოში" გააგრძელებს. კონტარქტი იანვრის პირველივე დღეებში გაფორმდება. ღრმად მწამს, რომ პორტუგალიელი ვარსკვლავი ჩვენს გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს. ვფიქრობ, ამ სიტყვებს ფაქტებით გამყარება არ სჭირდება, რადგან ისედაც ყველამ ყველაფერი შესანიშნავად იცის. კვარეშმას მთელი მსოფლიო იცნობს. ის უდიდესი ფეხბურთელია და 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ "როხიბლანკოში" წარმატებებს მოიტანს. პორტუგალიელის მენეჯერთან ინტენსიური მოლაპარაკებები გვქონდა. შევთანხმდით, რომ საშობაო არდადეგებზე რიკარდო ერთი დღით მადრიდში ჩამოვა და კონტრაქტს გააფორმებს. მანამდე ბოლო დეტალებსაც შევათანხმებთ და გუნდს მართლაც ფანტასტიკური მოთამაშით გავაძლიერებთ."*

ძნელია არ გაოცდე, თუ კვარეშმას მენეჯერმა "ატლეტიკოსთან" შეთანხმებას მიაღწია, მაშინ ფეხბურთელი "რეალში" გადაბარგების სურვილზე რატომ ლაპარაკობს? ამ კითხვაზე "დიარიო მარკას" ფრიად საინტერესო პასუხი აღმოაჩნდა. მადრიდულ გამოცემას თუ დავუჯერებთ, სერესოს განცხადების შემდეგ საქმეში **პრედრაგ მიატოვიჩი** ჩაერთო და რიკარდოს გაციცლებით უკეთესი პირობები შეთავაზა. ისიც ალბათ დაფიქრდა და დაასკვნა, რომ სამეფო კლუბი ბევრად პრესტიჟული გუნდია. ასეც რომ არ იყოს, მიატოვიჩი მას იმაზე მილიონი ევროთი მეტს დაპირდა, ვიდრე "ატლეტიკო" იმეტებს. მოკლედ, პორტუგალიელის პოზიცია გარკვეულია. ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, "როხიბლანკოს" მესვეურები როგორ კონტრ ღონისძიებებს გაატარებენ. ექსპერტების ვარაუდით, სერესოს სიტუაციის მისთვის სასარგებლოდ შემოტრიალება ძალიან გაუჭირდება.

ამასობაში, "რეალის" გულშემატკივრები კაპიტნის რენესანსით ტკბებიან. უკვე არავის ეთაკილება და ეშინია იმის თქმა, რომ **რაული** მსოფლიო ფეხბურთის ავანგარდში მთელი ბრწყინვალეებით დაბრუნდა. ამ გარემოებაზე სტატისტიკური მაჩვენებლები მეტყველებს. გონსალეს ბლანკოს 12 ტურის შემდეგ ექვსი გოლი აქვს გატანილი. ასეთი საუცხოო მონაგარით ის ბოლოს 2000-01 წლების სეზონის მე-12 ტურის შემდეგ ინონებდა თავს. მაშინ რაული პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ ფანტასტიკური კარიერის განმავლობაში სამეფო კლუბის ცოცხალ სიმბოლოს უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ 1998-99 წლების სეზონში ჰქონდა. 12 ტურში 7 გოლი. ბოლოს მას 25 გატანილი ბურთი დაუგროვდა და საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. გუშინდელ მატკივრებს იმედი აქვთ, რომ მათი სათაყვანებელი ფეხბურთელი წესლაც სერიოზულ წარმატებებს მიაღწევს და პიჩჩის ტიტულით ინჩასებს კიდევ ერთხელ გაახარებს. ოპტიმიზმი თავად გონსალეს ბლანკისაც არ აკლია, თუმცა საზოგადოებისგან განსხვავებით ის ოდნავ უფრო თავშეკავებულია: *"დღეს ძალიან ძნელი და ფაქტობრივად, შეუძლებელია იმის თქმა, თუ რამდენი გოლი დამიგროვდება სეზონის ბოლოს. იმედი მაქვს, გატანას მომავალშიც შევძლებ. ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ. ბედნიერი ვარ, რომ გულშემატკივრები რაულის გოლებს აღფრთოვანებით ელიან. სიხარულსა და მადლიერებას გამოხატავენ, თუმცა მისგან კიდევ უფრო მეტს მოითხოვენ. ვეცდები, ხალხს იმედი არ გავიცრუო... მაგრამ ამავდროულად ვიქნები ბანალური და ვიტყვი, რომ მთავარი არა ჩემს მიერ შეგდებული ბურთები, არამედ გუნდის საერთო ინტერესებია. ასე იყო ყოველთვის და რა თქმა უნდა ასე იქნება მომავალშიც, თუ დავინახავ, რომ თაბნაგუნდელი ჩემზე ოდნავ უკეთეს პოზიციაზე იმყოფება, ეგოიზმს არ გამოვიჩენ და მას აუცილებლად პასს მივაწვდი. სხვათა შორის, ჩემი თანაგუნდელები მეც ასევე მეპყრობიან. უამრავი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო, თუ როგორ დამხმარებიან რუუდ ვან ნისტელროი, რობინიო, სნაიდერი, გუტი და სხვები. საკმარისია, ვინმემ დაინახოს, უკეთეს პოზიციაზე ვიმყოფები და გოლის გატანის მეტ შანსს ვფლობ, უმალ ბურთს მანვდიან. ერთი შეხედვით, აქ გასაკვირი არაფერია, მაგრამ მერწმუნეთ, ძნელია უდიდესი ამბიციის მქონე ფეხბურთელმა საკუთარუ ეგო გვერდზე გადადოს და სხვას გაუმართოს ხელი. ამ ყოველივეს გათვალისწინებით მართლაც ძალიან გამიჭირდება იმის თქმა, თუ ვინ გახდება "რეალის" საუკეთესო ბომბარდირი. მტავარია, სეზონის ბოლოს ჩვენს აქტივში საელო ძალისხმევით, სხვადასხვა ფეხბურთელის მიერ გატანილი ყველაზე მეტი გოლი და რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი ქულა დავითვალოთ."*

ილია ნიკოლაიშვილი

ბარსელონა

ჭიაგო მენდეში კამპ ნოუზე?

დაანეგეთ რაიკაარდს თავი, მას სიმშვიდე სჭირდება

ისევ "ბარსელონა" და ისევ მისი პრობლემები. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოგახსენებდით, რომ კატალონიური გრანდის არასტაბილური თამაშისა და გასვლით შეხვედრებში ქულების უმონყალოდ ფლანგვის გამო **ფრანკ რაიკაარდს** ხელმძღვანელობამ ულტიმატუმი წაუყენა. თუ 22 დეკემბრამდე გუნდი პრობლემებს ვერ მოაგვარებს, ჰოლანდიელ სპეციალისტს კონტრაქტს გაუწყვეტენ. ბუნებრივია, *"პრესა" ამ მოვლენების მიმართ გულგრილი ვერ დარჩებოდა და მასმედიაში უდიდესი აჟიოტაჟი ატყდა. თითქმის ყველა გაზეთში დაიწერა, რომ რაიკაარდმა ნდობის მანდატი ამოწურა და მას ძალიან მალე კარისკენ მიუთითებენ.*

როგორც ჩანს, ასეთმა ხმაურმა "ბარსელონის" ფეხბურთელები უკიდურესად შეაწუხა. გუშინ **ლიონელ მესიმ** *საჭიროდ ჩათვალა საგანგებო პრესკონფერენცია გაემართა და იმ საკითხებზე ესაუბრა, რომლებიც "ბარსას" მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ აძლევს. არგენტინელს სურს, რომ რაიკაარდს თავი დაანებონ და უფლება მისცენ, პრობლემებს თავადვე გაუმკლავდეს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით უმჯობესია მესის განცხადება სტილის დაცვით შემოგთავაზოთ: "მე არ ვიცი, რას ფიქრობენ პრეზიდენტი და მისი გუნდის წევრები. ეს მათი საქმეა, თუმცა არ შემიძლია, წუხილი არ გამოვთქვა იმ აჟიოტაჟის გამო, რაც ბოლო დღეების განმავლობაში მასობრივ საინფორმაციო საშუალებებშია ატეხილი. ერთია უშუალოდ ხელმძღვანელობის პოზიცია, მათი პროფესიონალიზმი, დელიკატურობა, სამოქმედო გეგმა და მეორე პრესის მუშაობა. ჟურნალისტებმა დაძაბულობისა და სკანდალის სუნი იგრძენით და ახლა მზად ხართ რაიკაარდი ცოცხლად შეჭამოთ. ბუნებრივია, ყველას არ ვგულისხმობ, თუმცა, სამწუხაროდ, უმრავლესობა ძალიან თამამად წერს ისეთ რამეს, რის შესახებაც სრულ ინფორმაციას არ ფლობს. ძალიან გთხოვთ, მეტი დელიკატურობა გამოიჩინეთ. მოდით, რაიკაარდს საშუალება მივცეთ, გუნდში არსებულ პრობლემებს თავადვე გაუმკლავდეს. ამისათვის მას მშვიდი გარემო დასჭირდება. არ შეიძლება ადამიანი ყოველ წამს მის საწინააღმდეგო და დამამცირებელ სტატიებს აწყდებოდეს. რამდენად მშვიდი ნერვებიც არ უნდა ჰქონდეს, ქვეცნობიერად მაინც წნეხში მოექცევა. რაიკაარდი საკმარისად გონიერი და კვალიფიციური კაცია იმისთვის, რომ სწორი დასკვნები გამოიტანოს და "ბარსელონას" პრობლემების აღმოფხვრაში დაეხმაროს."*

მონოლოგისა და პრესისადმი თავდასხმის მოსმენის შემდეგ ჟურნალისტებმა მესის კლუბში არსებული სიტუაციის შეფასება სთხოვეს. არგენტინელმა არ უარყო, რომ "ბარსას" მძიმე დღეები უდგას. ლეომ აღიარა, სამარცხვინოდ ვთამაშობთო, მაგრამ იქვე განმარტა, რაიკაარდის მისამართით თავდასხმების შეწყვეტას სწორედ იმიტომ ვითხოვ, რომ პრობლემები უმოკლეს დროში გამოვასწოროთო.

ამასობაში, კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობა შემადგენლობის გაძლიერებაზე მთელი სერიოზულობით დაფიქრდა. "დიარიო ასის" მტკიცებით, **ჩიკი ბეგირისტაინი** ძლიერი ნახევარმცველის შეძენის აუცილებლობაში პრეზიდენტის დარწმუნებას ცდილობდა. გენერალურმა დირექტორმა წარმატებას უკვე მიაღწია. უმაღლესი ხელისუფალი თავდაპირველად ფეხს ითრევდა და ამბობდა, რომ წელს "ბარსამ" ახალწვეულებში 70 მილიონი ევრო გადაიხადა და დამატებითი ხარჯები გათვალისწინებული არ არის, თუმცა ბოლოს **ჟოან ლაპორტა** დარწმუნდა, რომ შუახაზის გასაძლიერებლად ახალი სისხლია საჭირო. ამით ბეგირისტაინს ხელ-ფეხი გაეხსნა რათა სატრანსფერო მოლაპარაკებები აწარმოოს. სენიორ ჩიკი აცნობიერებს, რომ **იაია ტურეს** აფრიკის თასზე სათამაშოდ წასვლის შემდეგ კლუბს ნახევარდაცვაში პრობლემა შეექმნება. საკმარისია, **ჩავიმ, ინიესტამ,** ან **დეკუმ** ტრავმა მიიღონ, "ბარსა" სულაც გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ამიტომ, გენერალური დირექტორი დაჩქარებულ ტემპში მუშაობას შეუდგა. მისი მიზანია იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნამდე სასურველი ფეხბურთელი მოიძიოს, "კამპ ნოუზე" გადაბარგებაზე დაითანხმოს და ახალი წლის პირველივე დღეს კონტრაქტი გაუფორმოს. ცნობილია, რომ "ბარსელონას" დაცვითი ყაიდის ნახევარმცველი სჭირდება. "დიარიო სპორტს" თუ დავუჯერებთ, ბეგირისტაინი იუვენტუსელი **ტიაგოს** მენეჯერთან აწარმოებს მოლაპარაკებას. დაუდასტურებელი ინფორმაციით "ბებერი ქალბატონის" მოთამაშე პირენეელთა წინადადებას სიახლით შეხვდა და ბატონ ჩიკის კონსტრუქციული თანამშრომლობის პირობა მისცა.

ტიაგო მენდეში, შეიძლება, ბარსელონაში აღმოჩნდეს

ერთი შეხედვით შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნვა იმდენად კეთილშობილური საქმეა, რომ მას სერიოზული მოწინააღმდეგეები არ უნდა ჰყავდეს... თუმცა ცხოვრება ამდენად ტკბილი არასოდესაა. კატალონიელი ჟურნალისტების ერთ ნაწილს მიჩნია, რომ ტიაგოს შეძენა ფულის ნყალში გადაყრის ტოლფასი იქნება. მათი აზრით, ხელმძღვანელობა **ედმილსონის** გამოჯანმრთელებას უნდა დაელოდოს. იმ შემთხვევაში, თუ ბრაზილიელი ტურეს კოტდიუარის ნაკრებში წასვლამდეც ვერ მომჯობინდება, იაიას ადგილი **რაფა მარკესმა** უნდა დაიკავოს. ბეგირისტაინს ეს არგუმენტი სასაცილოდაც არ ჰყოფნის და ირონიულად განმარტავს, მარკესი დაცვაშია საჭირო, ედმილსონის იმედად კი ვერ დავრჩებით, რადგან ბრაზილიელის ფიზიკური მდგომარეობა ძალიან სავალალოა. მოკლედ, საქმეს მართლაც ისეთი პირი უჩანს, რომ "ბარსელონა" იანვარში კიდევ ერთი ახალწვეულით გაძლიერდება.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



რობერტო დონადონი

1986 წლიდან დღემდე...

ლიპი პირველია, დონადონი ბოლო

1934 და 1938 წლის მსოფლიოს ჩემპიონობა იტალიელებმა ლეგენდარული **ვიტორიო პოცოს** ხელმძღვანელობით მოიპოვეს, რომელიც აძურის თავკაცად ჯერ 1924 წელს, მერე კი 1929-დან 1948 წლამდე მუშაობდა. მესამე ტიტული იტალიამ 1982 წელს, **ენცო ბეარძოტის** ერაში მოიგო, რომელიც იტალიის ნაკრებს 1977-დან 1986 წლამდე წვრთნიდა. აი, იმ მწვრთნელთა ჩამონათვალი და თითოეული მათგანის მონაგარი, რომლებიც იტალიას ბეარძოტის შემდეგ ედგნენ სათავეში. რეიტინგი მონაგარის მიხედვით დავალაგეთ და გამოჩნდა, რომ ბეარძოტის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელი **ლიპის** ჰქონდა, ყველაზე უარესი კი სწორედ **დონადონის** აქვს.

მწვრთნელი	პერიოდი	ქულა (საშ. მატჩში)
1. მარჩელო ლიპი	2004-2006	2.17
2. არიგო საჯი	1991-1996	2.13
3. აძელიო ვიჩინი	1986-1991	2.06
4. ჯოვანი ტრაპატონი	2000-2004	1.98
5. ჩეზარე მალდინი	1996-1998	1.90
6. დინო ძოფი	1998-2000	1.83
7. რობერტო დონადონი	2006-?	1.64

მსოფლიოს ჩემპიონთა ვარამი

დონადონის გასაჭირი

მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონმა იტალიამ, ევროპის 1984 წლის ჩემპიონატზე ვერ გააღწია. ისტორია მეორდება?

...ერთხელაც ვეღარ მოითმინა, სკამიდან ნახევრად წამოდგა, წინ გადაიწია, ჟურნალისტებს ბრაზიანი მზერა მიაპყრო და დაიძახა: *„ბარემ დაწერეთ, რომ ჰომოსექსუალი ვარ, დაწერეთ, რომ ცისფერი ვარ! ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ ექნება!"* მერე შეყოვნდა, ნაცრისფერ კულულებზე ხელი გადაისვა, აშკარად შეეტყო, რომ თავისმა სიტყვებმა თვითონვე გააკვირვა და იქვე, ყოველი შემთხვევისთვის დაამატა: *„მაგრამ ეს არ იქნება სიმართლე!"*. როგორც სჩანს, მას გაახსენდა, რომ იტალიელი ჟურნალისტები მისგან იუმორს მიჩვეულნი არ არიან და დიდი შანსი იყო, მართლაც დაეწერათ, **რობერტო დონადონი** პედერასტიაო.

იტალიის ნაკრების. მთავარი მწვრთნელი, რომელიც წარმოშობით ბერგამოს ჩუმი პროვინციიდანაა, ხშირად ფიქრობს, იქნებ დიდი შეცდომა იყო ის, რომ ამ თანამდებობაზე მუშაობას დავთანხმდი და იქნებ უმჯობესი იქნებოდა, უარი რომ მეთქვაო. ფეხბურთელები, პრესა, ტიფოზები – აგერ უკვე წელინადზე მეტია, რაც ყველა მის წინააღმდეგაა, ყველა მას აკრიტიკებს. დიახ, დონადონის ძალიან მძიმე მისია ხვდა წილად - მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის გაწვრთნა არასდროს არ არის იოლი და რაც ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარია, მან ამ პოსტზე **მარჩელო ლიპი** შეცვალა, კაცი, რომელმაც იტალია გააჩემპიონა და კაცი, რომელიც აპენინებზე ლამისაა, წმინდანად შერაცხონ. ჰო, ლიპი ელეგანტური, ინტელიგენტი სინიორია, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული და ამოუცნობი შარმი აქვს.

და დონადონი? ვინ არის დონადონი ლიპისთან შედარებით? „აძურიმდე" ის ხომ ისეთ გუნდებს წვრთნიდა, როგორიცაა მაგალითად „ლივორნო". და იმ დროს, როცა ლიპი მაქსიმალურად ეცდილობდა, რეალობას საამე ფაქტებით ეფარა, ბევრ ადამიანს ეგონა, *„ეს ბიჭი ალბათ ფაშისტია"*. ეს ეგონა ალბათ ბევრ ადამიანს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ვისენტე დელ ბოსკესთან

შუსტერი ასე არ უნდა მოქცეულიყო

ძალიან მომწონს რიიკაარდი, ასევე ლაუდრუპი, აგირე და პელეგრინიც...

ვისენტე დელ ბოსკე

"რეალის" ყოფილმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ პრიმერა დივიზიონის მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრა. ის კრიტიკულადაა განწყობილი ბერნდ შუსტერისადმი, უფრო მეტადაც კი, ვიდრე მოთამაშეების მიმართ. ასევე, თვლის, რომ რონალდ კუმანს "ვალენსიაში" ძალიან გაუჭირდება. დელ ბოსკეს აზრით, სწორედაც რომ ახალ მწვრთნელს მოუწევს ფეხბურთელებთან შეგუება და არა პირიქით. მოკლედ, საინტერესო ინტერვიუა და მივყვეთ ბოლომდე...

- ვინმეს შეუძლია ახსნას, რა გუნდია "სევილია"? ის აგებს ზედიზედ რამდენიმე თამაშს, მერე ოთხ გოლს უშვებს "ატლეტიკოსგან", ბოლოს კი დამაჯერებლად ამარცხებს "რეალს". რა თქმა უნდა, მთავარი აქ მოტივაციაც შეიძლება იყოს, რადგან გრანდების წინააღმდეგ ყოველთვის განსაკუთრებული მონდომებით იბრძვიან, მაგრამ ესოდენ მოკლე დროში ასეთი გარდაქმნა?

- "სევილია" არ არის ერთი მატჩის გუნდი და "რეალთან" შეხვედრაშიც, ის იმ ხაზსს მისდევდა, რაც ბოლო წლებში აირჩია. სწორედ "ატლეტიკოსთან" მატჩი იყო ამ გზიდან გადახვევის მაგალითი. ჩემი აზრით, ეს არ ყოფილა კანონზომიერება, ვიტყოდი, რომ უფრო გამონაკლისი იყო.

- "ვალენსიაში" რონალდ კუმანი დაინიშნა. ერთი შეხედვით, ჰოლანდიელსა და კიკე ფლორესს შორის დიდი განსხვავება არ ჩანს. თქვენი აზრით, რა მიმართულებით შეიძლება შეიცვალოს ეს გუნდი? რა სიახლეს მოიტანს კუმანი?

- უნდა გვახსოვდეს, რომ გარდა სამწვრთნელო იდეებისა, არიან ფეხბურთელები, რომელთაც აუცილებლად უნდა გაუწიო ანგარიში. ამიტომაც მგონია, რომ უფრო კუმანს მოუწევს მოთამაშეებთან შეგუება, ვიდრე პირიქით.

- რა ხდება "ატლეტიკოს" თავს? ახლახან იყო, რომ პაბლოსა და პერეას დაცვითი წყვილი მთელს ესპანეთში საუკეთესოდ ითვლებოდა. "ვილიარეალთან" მატჩში კი სიბრალულის გარეშე მათი ყურება შეუძლებელი იყო...

- მოდით, ასე ვთქვათ, რომ დაცვითი რგოლის ჩავარდნაში მარტო პაბლო და პერეა არ არიან დამნაშავენი. დანარჩენებიც ხომ მონაწილეობდნენ თავდაცვით ოპერაციებში? ან უფრო სწორად, უნდა მიეღო მონაწილეობა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ "ატლეტიკოს" ნახევარმცველები ძირითადად შეტევაზე არიან ორიენტირებულნი და ცხადია, გუნდს ეს სარგებელს ვერ მოუტანს.

- და რომელიმე მცველის შეძენას ხომ არ ურჩევდით "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობას?

- ჩემი მხრიდან ეს არაკორექტული იქნებოდა. ვფიქრობ, არ არის საჭირო ამ ფეხბურთელების დამნაშავეებად გამოცხადება. საერთო ჯამში, ხავიერ აგირეს ძალიან ძლიერი და საინტერესო ანსამბლი ჰყავს.

- პრიმერა დივიზიონში დღეს მომუშავე მწვრთნელებიდან რომელი ინვევს თქვენს სიმპათიას?

- ეს ერთი დიდი ჯგუფია. ძალიან მომწონს რიიკაარდი, ასევე ლაუდრუპი... პლუს ამათ, აგირე და პელეგრინიც.

- ამ სეზონში "ბეტისი" კიდევ უფრო სუსტია, ვიდრე გასულ წელს იყო. როგორ გგონიათ, ვინ არის ამაში ყველაზე მეტად დამნაშავე - მწვრთნელი თუ მოთამაშეები? და რა გზას შესთავაზებდით მათ კრიზისიდან გამოსასვლელად?

- სხვათა შორის, ამგვარი სიტუაცია ძალიან მაკვირვებს, რადგან გასულ ზაფხულს ამ გუნდმა სერიოზული შენაძენები გააკეთა. მაგრამ რა არის იცით? კლასის გარდა, ფეხბურთელს სჭირდება მოტივაცია, ემოცია... მოკლედ საბრძოლო განწყობა და სულისკვეთება. "ბეტისის" მოთამაშეებში სწორედ ამას ვერ ვხედავ და ეტყობა, ეს არის კიდეც წარუმატებლობის მიზეზი.

- თვლით თუ არა, რომ სერხიო რამოსი შეიძლება მეორე ფერნანდო იერო გახდეს?

- რამოსი და იერო? ისინი აბსოლუტურად განსხვავებული ფეხბურთელები არიან. განსხვავებით რამოსისგან, რომელიც ჯერ მხოლოდ კარიერის დასაწყისშია, იერო უფრო მრავალფეროვანი ფეხბურთელი იყო. გაიხსენეთ, ის იყო მცველიც, ნახევარმცველიც და, ასე განსაჯეთ, გოლეადორიც.

- თქვენი აზრით, რას შეიძლება მიაღწიოს ხუანდე რამოსმა "ტოტენჰემში"?



ნემანია ვიდიჩი

- მოდით, თავიდანვე შევთანხმდეთ: უბრალოდ ნემანია თუ მისტერ ვიდიჩი?

- არ გვინდა ასე. მოდით, პირდაპირ ასე მომმართეთ - "ვიდა".

- კეთილი. ვიდა, რა ამოცანებს ისახავთ ამ სეზონში?

- ყველაფერი უნდა მოვიგოთ. ეს არის სწორედ "მანჩესტერ იუნაიტედის" მენტალიტეტი. თითოეულ მატჩზე მოსაგებად გავდივართ და თავს არ ვზოგავთ. და არც გვაქვს უფლება, სხვანაირად მოვიქცეთ. მაშინ რაღა გვინდა "იუნაიტედში"? აქ ბევრი მაღალი კლასის მოთამაშეა. სერიოზული გუნდი გვყავს, არის უდიდესი კონკურენცია ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე... პრემიერლიგის კიდევ ერთხელ მოგება ძალიან ძნელი იქნება, რადგან თავად ჩემპიონატია მეტისმეტად რთული. მაგრამ ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც ჩემპიონობას სჭირდება და ვეცდებით, ეს სეზონიც ტრიუმფით დავასრულოთ.

- რამდენად ძნელი იყო თქვენთვის ინგლისურ ფეხბურთთან შეგუება?

- ძალიან ძნელი იყო... პირველ თვეებში საკუთარ თავს ვერ ვცნობდი. ზუსტი პასის გაკეთება და ელემენტარულად ბურთის დამუშავებაც კი მიჭირდა, დავკარგე საკუთარი ძალების რწმენაც და ერთიხანობა ვფიქრობდი კიდეც - ალბათ, შევცდი, ინგლისში რომ გადმოვედი-მეთქი... მაგრამ მთავარი იყო დრო, რომელიც აქაურობასთან შეგუებისთვის მჭირდებოდა. ინგლისი სხვებისგან განსხვავებულია - სწრაფი ფეხბურთი, ძალიან მაღალი დონე, ბევრი მატჩი... რამდენიმე თვის შემდეგ მივხვდი, თუ როგორ უნდა მეთამაშა და საკუთარი ძალების რწმენაც უმალ დამიბრუნდა. ახლა თქვენ ნამდვილ ნემანია ვიდიჩს ხედავთ...

- და რას გეუბნებოდათ ფერგიუსონი?

- ის ყოველთვის თბილად მეპყრობოდა, მაძლევდა შანსს, რომ საკუთარი თავი მეპოვნა. სერ ალექსი ხედავდა და ხვდებოდა, რომ გაცილებით მაღალ დონეზე შემეძლო თამაში. ამიტომაც მშვიდად იყო და მეც სიმშვიდისკენ მომინოდებდა. ერთხელ მითხრა - ნუ ნერვიულობ, მე ვიცი, რომ შენ პრემიერლიგისა და "მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ხარ დაბადებული, თავის დროზე ყველაფერი კარგად იქნებაო... და მართლაც, ახლა ყველაფერი კარგადაა. სხვა მწვრთნელებიც ძალიან მეხმარებოდნენ. როცა ფეხბურთელი საკუთარ თავში დარწმუნებული ხარ, კონცენტრირება აღარ გიჭირს და თამაშიც შედარებით ადვილი ხდება.

- მართალია, თითქოს რიო ფერდინანდმა აიღო შეფობა თქვენზე იმ დღიდან, როცა მანჩესტერში ჩახვედით?

- დიახ, ასე იყო. მატჩებს შორის დროს ერთად ვატარებით, დავდიოდით რესტორნებში... მოკლედ, რიო ძალიან დამეხმარა. ჩვენ მოედანზეც კარგად გვესმის ერთმანეთის და მოედნის მიღმაც. ამგვარი ურთიერთობები აუცილებელია. თამაშის დროსაც აბსოლუტურად ერთნაირად ვაზროვნებთ. რიომ იცის, რა უნდა გავაკეთო და მეც ვიცი, რა უნდა გააკეთოს მან. იდეალური დაცვისთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავს... და ფაქტობრივად, გადამწყვეტიცაა.

- აი, ახლა ჩვენ ვსაუბრობთ და აშკარად ჩანს, რომ წყნარი ადამიანი ხართ. რა გემართებათ ხოლმე, როცა მოედანზე გადიხართ?

- ის ვიდიჩი, რომელსაც მოედანზე ხედავთ, რადიკალურად განსხვავდება იმისგან, ვისაც ახლა ესაუბრებით. მწვანე მინდვრის მიღმა აბსოლუტურად სხვა ადამიანი ვარ. თამაშის დროს ძალიან აგრესიული ვხდები. ეს ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ მინდა, მოედანზე ბოლომდე დავიხარჯო. შეიძლება, ყოველთვის კარგ ფორმაში არ ვარ, მაგრამ იმას, რომ "მანჩესტერისთვის" ნებისმიერ მომენტში თავს დავდებ, წყალი არ გაუვა. ვატყობ, რომ გულშემატკივართა უმეტესობას მოსწონს ჩემი აგრესიულობა. დიახ, ხშირად ძალიან სასტიკიც ვარ, მაგრამ ბინძური თამაში არ მახასიათებს, და არც მკვლელი ვარ, როგორც ამას ცალკეული გულშემატკივრები მღერიან ხოლმე თამაშის დროს. უბრალოდ, ყოველთვის

ინტერვიუ ნემანია ვიდიჩთან

მე მკვლელი არ ვარ!

ორსახოვანი ნემანია, ან უბრალოდ: ვიდა

მოსკოვის "სპარტაკის" ყოფილი მცველი ნემანია ვიდიჩი მოკლე ხანში იქცა პრემიერლიგის ვარსკვლავად. ის პირველივე სეზონში დამკვიდრდა "მანჩესტერ იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში და მას მერე, "მანკუნიანელთა" ერთ-ერთ მთავარ ფიგურად გვევლინება. რა თქმა უნდა, ამაში უდიდესი როლი მიუძღვის გენიალურ სერ ალექს ფერგიუსონსაც, რომელმაც ამ ფეხბურთელში აღმოაჩინა ის, რასაც სხვა მწვრთნელები მანამდე ვერ ამჩნევდნენ. გთავაზობთ სერბი მცველის ინტერვიუს, რომელიც ამასწინათ "მანჩესტერ იუნაიტედის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა...

- ერთი მხრივ, ჩვენ მას პატივი უნდა მივაგოთ იმისთვის, რაც ბოლო წლებში გააკეთა, მაგრამ აქ მეორე მხარეცაა - ხუანდეს უნდა ესმოდეს, რომ "ტოტენჰემში" შედეგის მიღწევა ძალიან გაუჭირდება. ისე, მაინც ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, მოვლენათა განვითარებას უნდა დაველოდოთ. უცნაურია კია, რომ ასეთი კარგი ფეხბურთელებით "ტოტენჰემი" აუტსაიდერთა შორისაა.

- როგორ ფიქრობთ, რატომ წავიდა რამოსი "ტოტენჰემში"? ვინ ან რამ აიძულა?

- მე მგონია, რომ პირველ რიგში აქ მატერიალურ ფაქტორზე უნდა ვისაუბროთ. თუმცა ისიც ჩანდა, რომ რამოსსა და "სევილიის" ხელმძღვანელობას შორის გარკვეული უთანხმოებაც იყო.

- რა მეთოდებს იყენებდით იმისთვის, რომ "რეალის" შიგნით მეგობრული ატმოსფერო ყოფილიყო?

- პირველ რიგში, მწვრთნელი მოთამაშეებს ადამიანურად უნდა ეპყრობოდეს. თუმც ამასთანავე, უარი არ უნდა თქვას თავის პრინციპებზე და გაატაროს ის პოლიტიკა, რასაც საჭიროდ მიიჩნევს. მთავარი პრობლემა ისაა, რომ გუნდებში ახლა 25-30 ფეხბურთელი ჰყავთ. მწვრთნელისთვის ძალიან ძნელია, ამათგან საუკეთესო 11 ამოარჩიო და დანარჩენებს აუხსნა, რომ ისინი დღეს, ან მომდევნო ტურში, ან კიდევ უფრო შორეულ პერსპექტივაში სკამზე უნდა იჯდნენ, ანდაც საერთოდ ვერ ხვდებოდნენ განაცხადში. ამ ორი კატეგორიის ფეხბურთელებს შორის ეს დაძაბულობას იწვევს და მწვრთნელის მთავარი მოვალეობაც ისაა, რომ ამგვარი ფაქტორები გაანეიტრალოს, ან მინიმუმამდე დაიყვანოს. სხვა შემთხვევაში, ქაოსი და წარუმატებლობა გარანტირებულია.

- გახსოვთ ბერნდ შუსტერის ფრაზა - "არბიტრი კატალონიელია? მაშინ მე არაფერი მაქვს დასამატებელი"? თვლით, რომ შუსტერის ამგვარი მოქმედება მარცხის ნამდვილი მიზეზის შესანიღბვაა? თუ ეს მხოლოდ მისი ხასიათის ნიშნებია?

- არ ვიცი, რატომ თქვა ასე... იცით, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი იმისი, რომ არბიტრები საჯაროდ გამეკრიტიკებინა, ან შემექო, აღარაფერს ვამბობ ეთნიკური მომენტების წამოწევაზე. შუსტერის ამგვარი ქმედება მარტო "რეალისთვის" კი არა, ზოგადად ფეხბურთისთვისაა ცუდი...

**- ბოლოს, ერთი ფეხბურთელი ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ბუნდესლიგაში სამი ცისფერი თამაშობს

ყოფილი ფეხბურთელი მარკუს ურბანი აღიარებს, რომ ჰომოსექსუალია და გაზეთ ბილტს საინტერესო დეტალებზე ესაუბრება...

ჰომოსექსუალიზმი ფეხბურთში ტაბუდადებული თემაა და სხვათა შორის, სპორტის არცერთ სხვა სახეობაში არ დევნიან ისე ცისფრებს, როგორც ფეხბურთში. მარკუს ურბანი ექს-ფეხბურთელია და ის მეორე ბუნდესლიგაში თამაშობდა. კარიერა კი ნაადრევად დაასრულა და ამბობს, ზეწოლას ველარ გავუძელიო. მთელი კარიერის მანძილზე ის თავის ნამდვილ სახეს მალავდა და ისე იქცეოდა, თითქოს ჰეტეროსექსუალი იყო. ურბანი 90-იანი წლების დასაწყისში გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთ ტალანტად მიიჩნეოდა, მაშინ ის „ერფიურტში" თამაშობდა. მერე კი მოულოდნელად კარიერა დაასრულა და როგორც დღეს ამბობს, ამის მიზეზი სწორედ მისი ჰომოსექსუალობა იყო. დღეს 36 წლისაა და ჰამბურგის ერთ-ერთ გუნდში თამაშობს, სადაც მხოლოდ ცისფრები და ლესბოსელები ასპარეზობენ. გაზეთ „ველტისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან მრავალწლიანი დუმილი დაარღვია და პირველად აღიარა ის, რომ ჰომოსექსუალია. ამას გარდა, ურბანი ამბობს, რომ დღესდღეობით ბუნდესლიგაში 3 ცისფერი თამაშობს...



ფეხბურთელი, რომელმაც რეალური სახე გამოაჩინა

- ჰერ ურბან, აქტიური სპორტული კარიერა ისე დაამთავრეთ, რომ თქვენი ჰომოსექსუალობის შესახებ ვერავინ გაიგო. ახლა კი ყველაფერს აღიარებთ...

- უდიდესი სირთულეების გადატანა მომიხდა. მე უნდა დამემალა ის, რომ ცისფერი ვარ და მაქსიმალურად კაცური უნდა ვყოფილიყავი, რათა ჩემს თანაგუნდელებს არაფერი შეემჩნიათ. ამ დამალობანამ მთელი კარიერა ჩამიმწარა. სწორედ ამის ბრალი იყო ის, რომ მოედანზე ბულტერიერივით დავრბოდი, ხშირად ვუხეშობდი და საერთოდ, ცუდად ვიქცეოდი. ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ რაც შეიძლება კაცური ემჩნია. არა მგონია, ამ ფაქტს ჩემს ცისფერობასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს, მაგრამ ბურთის ყოველი დაკარგვის შემდეგ ლამის დეპრესიაში ვარდებოდი, თითოეულ შეცდომას ძალიან განვიცდიდი. სამაგიეროდ, მწვრთნელებს ძალიან უხაროდათ, გუნდში ასეთი მებრძოლი და მგრძნობიარე ფეხბურთელი რომ ჰყავდათ.

- ერთი სიტყვით, სანამ ფეხბურთს თამაშობდით ვერავინ ვერაფერი შეგამჩნიათ?

- ცისფერ ფეხბურთელს მე აუცილებლად შევატყობ, რომ ცისფერია, მაგრამ ეს ყველას არ შეუძლია. ვერცერთი ჰომოსექსუალი თავის ორიენტაციას ისე კარგად ვერ დამალავს, რომ ვერავინ ვერაფერი შეამჩნიოს. მაგალითად, როცა ერთ გუნდში დიდი ხნის მანძილზე თამაშობ, კოლეგები ერთხელაც შეგამჩნევენ, რომ კაცები მოგწონს და არა ქალები, მაგრამ სანამ ფაქტზე არ წაგასწრებენ ან თვითონ არ აღიარებ, ეს მაინც ჭორად დარჩება. ფეხბურთი კაცური და კაცების სპორტია. თანაგუნდელები ერთმანეთს ქალებთან გადამხდარ ისტორიებს უყვებიან ხოლმე. შესაბამისად, დიდი სირცხვილია ის, რომ ვინმე ამ საუბარში არ ჩაერთოს, რადგან ის მაშინვე პედარასტად მოინათლება. ჰომოსექსუალიზმს ფეხბურთში არაფერი ესაქმება და შესაბამისად, ტაბუდადებული თემაა.

- რამდენად რთულად გადასატანი იყო ეს ყველაფერი თქვენთვის?

- წარმოუდგენლად რთული იყო. ყოველთვის ფხიზლად უნდა იყო, რომ არავინ არაფერი შეგამჩნიოს, რადგან თუ შეგამჩნევენ, კარიერა დაგენგრევა და შესაბამისად, შენს საყვარელ საქმეს ველარ გააკეთებ. ამიტომაცაა, ყველა ცისფერ ფეხბურთელს რომ ეშინია თავისი ორიენტაციის აღიარების. ეს ყველაფერი კი დიდ ძალას და საკუთარი თავის კონტროლს მოითხოვს და ამადროულად, ძალიან მტკივნეული მომენტია.

- ალბათ ამიტომაცაა, რომ მაგალითად პირველი ბუნდესლიგის არცერთ ფეხბურთელს ან ექს-ფეხბურთელს არასდროს უთქვამს, რომ ცისფერია...

- დიახ. აბსოლუტურად ყველა ცისფერ მოთამაშეს ეშინია, რომ თანაგუნდელები ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებ, ფანები შეიძულებენ და ხელმძღვანელები კი გუნდიდან გააგდებენ. კარიერის ვადაზე ადრე შეწყვეტა არავის უნდა.

- სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, გერმანელ მამაკაცთა 10-15 პროცენტი ჰომოსექსუალია. თუ ამ სტატისტიკას გერმანულ ფეხბურთზე გადმოვიტანთ, მაშინ თითოეულ გერმანულ კლუბში 1 ცისფერი უნდა თამაშობდეს. ეს რეალურია?

- სტატისტიკასთან ყოველთვის ფრთხილად უნდა ვიყოთ. მაგალითად, დავუშვათ, რომ პირველ ბუნდესლიგაში 10 ცისფერი ფეხბურთელი თამაშობს. ცხადია, ისინი მუდმივად ზეწოლის ქვეშ არიან, ნერვიულობენ და ამის გამო შესაძლებლობების 100 პროცენტს ვერ ავლენენ. განა ამით გუნდი ბევრს არ კარგავს?

- თქვენ თუ იცნობთ ბუნდესლიგაში ცისფერ ფეხბურთელებს?

- მე ვიცი, რომ პირველი ბუნდესლიგის სამი ფეხბურთელი ჰომოსექსუალია.

- რომელიმე მათგანი გერმანიის ნაკრების წევრი ხომ არ არის?

- მოდით, დაკონკრეტებას ნუ მომთხოვთ. რაც ვთქვი, ისიც საკმარისია.

- ცისფერი ფეხბურთელები ერთმანეთს ხვდებით ხოლმე? გაქვთ კავშირი ერთმანეთთან?

- პირიქით, ერთმანეთს ვერიდებით, რადგან რეგულარულმა შეხვედრებმა შესაძლოა, გაგვთქვას. ისინი მეტწილად ანონიმურ დახმარებაზე თანხმდებიან.

- ვის მიმართავენ დასახმარებლად?

- გერმანიაში უკვე ორი ფსიქოლოგი არსებობს, რომლებიც სპეციალურად ცისფერი სპორტსმენებისთვის მუშაობენ. ერთი ქალია, მეორე კი მამაკაცი. მათ საქმიანობაში თერაპია არ შედის, მაგრამ ისინი სპორტსმენებს რჩევებს აძლევენ. ცისფერი ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მან თავისი ორიენტაცია პროფესიონალ ფსიქოლოგს გაუმხილოს და მასთან ამაზე ისაუბროს, თორემ როცა არავის არაფერს ეუბნები, მაშინ შენი პიროვნება კვდება.

- იქნებ ასეთ ფეხბურთელებს ორმაგი ცხოვრება აქვთ და მაგალითად, ალიბის სახით ცოლებიც ჰყავთ?

- განა სხვა გზა აქვთ? ცოლი ან მეგობარი გოგონა თუ არ გყავს, ე.ი. ცისფერი ხარ. შესაბამისად, ყველა ინილბება.

- მაშინ გვითხარით, სად იკმაყოფილებენ ცისფერი ფეხბურთელები თავიანთ სურვილებს?

- ბევრი მათგანი ცისფრების საუნებში დადის, ზოგიც სექს-კინოებში. ასეთ კინოებს ის უპირატესობა აქვს, რომ იქ ან საერთოდ ვერ გიცნობენ, ანაც ცნობა ძალიან გაუჭირდებათ. ზოგი კი უცხოეთში მიემგზავრება, იქ, საიდაც ვერავინ იცნობს.

- ჰომოსექსუალისთვის ალბათ პრობლემაა ის, რომ ვარჯიშის ან თამაშის შემდეგ საშხაპეში მამაკაცებთან ერთად უნდა იყოს...

- დიახ, ეს პრობლემაა, რადგან საშხაპეში თანაგუნდელთან ძალიან ახლოს დგახარ. მაგრამ მიჩვევის ამბავია, გამოცდილებს ამის გამო პრობლემა იშვიათად ექმნებათ.

- რომელი ფეხბურთელები მოსწონთ ყველაზე მეტად ცისფერ ფეხბურთელებს?

- პირველ რიგში ფრედი ლიუნგბერგი - მასზე აბსოლუტურად ყველა ცისფერი ფეხბურთელი ოცნებობს, მერე კი დევიდ ბეკჰემზე. ბუნდესლიგაში უმეტესობას „ვერდერის" თავდამსხმელი მარკუს როზენბერგი მოსწონს.

- თქვენ ვის ისურვებდით პარტნიორად?

- მე ყველას აილტონი მირჩევნია – დაბალია და კომპაქტური, ეს კი ძალიან მომწონს. როგორც ხედავთ, ცისფრებსაც გვაქვს განსხვავებული გემოვნება.

- როგორ გგონიათ, როდის დადგება ის დრო, როცა ბუნდესლიგის ფეხბურთელი იტყვის, რომ ციფსერია?

- ეს დრო კიდევ დიდხანს არ დადგება. წარმოიდგინეთ, ახლა რომელიმე ფეხბურთელმა ასეთი განცხადება რომ გააკეთოს, რა მოხდება გერმანულ მედიაში. ცისფერობის აღიარების შემთხვევაში ფეხბურთელმა უდიდეს ზეწოლას უნდა გაუძლოს და რაკი ისედაც წნეხის ქვეშ არიან, არა მგონია, ეს ვინმეს სურდეს.

- თქვენ შეგიძლიათ რომელიმე მათგანს ურჩიოთ...

- ძალიან დიდია იმის საშიშროება, რომ ფეხბურთში უკანასკნელი ტაბუს მოხსნის შემთხვევაში, ეს ადამიანი უბრალოდ ვერ გადარჩება. გაცილებით კარგი იქნება, თუ ამას რომელიმე ექს-ფეხბურთელი ან ექს-მწვრთნელი გააკეთებს, რადგან რაკი ის მოედანზე აღარაა, ზეწოლაც გაცილებით მსუბუქი იქნება. შესაბამისად, მერე ასეთი ნაბიჯის გადადგმა აქტუალურ ფეხბურთელებსაც გაუადვილდებათ.

- მოკლედ, ამ მხრივ კიდევ დიდხანს არაფერი შეიცვლება?

- ცხადია, ოდესმე ბუნდესლიგის რომელიმე ფეხბურთელი გაბედავს იტყვის, რომ ცისფერია, რადგან არ დაგავიწყდეთ, რომ ეს აღიარება მას ჰომოსექსუალთა კერპად აქცევს. ამას გარდა, ჩვენ უკვე მივიღეთ თანხმობა გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან, რომ თუ ბუნდესლიგის რომელიმე ფეხბურთელი ამას აღიარებს, მოედანზე გასვლის წინ მას განსაკუთრებულად დაიცავენ. ახლა DFB-ს მენეჯერ ჰოლგერ ჰოერონიმუსთან ვანარმოებთ მოლაპარაკებებს და გვინდა, რომ ჰომო და ჰეტეროსექსუალებს შორის ერთი მატჩი გავმართოთ.

გოტფრიდ ლენცი

ტრანსფერი

ჰამბურგმა 17 წლის ნიგერიელი იყიდა

მაკალეი ხრისანტუსი

„ჰამბურგმა" საკმაოდ საინტერესო ტრანსფერი სრულყო. HSV-ს სპორტულმა დირექტორმა **დიტმარ ბაიერსდორფერმა** ჩვენს გერმანელ კოლეგებს დაუდასტურა, რომ 17 წლის ნიგერიელი ტალანტი **მაკალეი ხრისანტუსი** ამიერიდან HSV-ში ითამაშებს. ეს უკანასკნელი თავდამსხმელი გახლავთ და სექტემბერში გამართულ 17 წლამდელთა მუნდიალის გამარჯვებულია, თანაც ის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (7 გოლი 7 თამაშში). ამასთან, ხრისანტუსი 17 წლამდელთა მუნდიალის მეორე საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და მას მხოლოდ გერმანელმა **ტონი კროოსმა** აჯობა.

ნიგერიელი ტალანტის გადაბირება ისეთ გრანდებს სურდათ, როგორებიც არიან „მანჩესტერ იუნაიტედი", „არსენალი", „მანჩესტერ სიტი", „რეალი", „ლიონი" და „აიაქსი", მაგრამ თვითონ ფეხბურთელმა, თავის მრჩეველთან და მშობლებთან კონსულტაციების შემდეგ, უპირატესობა „ჰამბურგს" მიანიჭა. ხრისანტუსი „ჰამბურგის" მოყვარულთა გუნდში ითამაშებს და სანამ 18 წლის გახდება, პროფესიულ კონტრაქტს ვერ გააფორმებს, თუმცა მას თავისუფლად შეეძლება პირველ გუნდში ასპარეზობაც. ხოლო, როცა 18 წლის გახდება, HSV-სთან კონტრაქტს 2012 წლამდე გააფორმებს.

პელეგრინის მარადონასთან ქიშპობა არ სურს

ორი დღის წინ **ხუან რომან რიკელმეს** უთამაშებლობით აღშფოთებულმა **დიეგო მარადონამ** მოთმინება დაკარგა და "ვილიარეალის" მთავარ მწვრთნელს გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენა. ლეგენდარულმა არგენტინელემა განაცხადა, არ მესმის როგორ შეიძლება, რომანი არ ათამაშო, **პელეგრინის** აღბათ მენსტრუაცია აქვს და თვითონაც არ იცის, როგორ გადაწყვეტილებებს იღებსო.

გუშინ მარადონას მანუელ პელეგრინიმ პასუხი გასცა. ბევრისთვის მოულოდნელად, ჩილელი სპეციალისტი მეტისმეტად კორექტული იყო: *"რა უნდა მოგახსენოთ? მარადონა ცოცხალი ლეგენდაა. ამასთან, ადამიანი ქებასა და კრიტიკას თანაბარი სიმშვიდით უნდა შეხვდეს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ მარადონას სიტყვებს კრიტიკაზე მეტად შეურაცხყოფა ეთქმის, მაგრამ რა გაენყობა. ამ ადამიანს შეუძლია ის განაცხადოს, რაც მოესურვება. პოლემიკის გამართვას არ ვაპირებ. წინ რთული სამუშაოები მელის და მთლიანად ჩემს საქმეზე ვარ კონცენტრირებული."*

სერესო პეიტინგასთვის იბრძოლებს

მიუხედავად იმისა, რომ **ხავიერ აგირე** საკუთარი გუნდის ფეხბურთელების თამაშით ძალიან კმაყოფილია, "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობა შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნვას აგრძელებს. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად მადრიდელები **ჯონ პეიტინგათი** დაინტერესდნენ. ესპანელები მიიჩნევენ, რომ 24 წლის ჰოლანდიელი დაცვას მნიშვნელოვნად გააძლიერებს. **ენრიკე სერესომ** "აიაქსის" მესვეურები უკვე გააფრთხილა და იმედი გამოთქვა, რომ მათთან კონსტრუქციულ რეჟიმში მოუნევს მუშაობა. მოარული ხმების თანახმად, ესპანელები 12 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნას გამოთქვამენ. ექს-პერტები კი ფიქრობენ, რომ მაღალი კლასის მქონე ჰოლანდიელის შესაძენად ეს თანხა საკმარისი არ იქნება. თავად ჰეიტინგამ "ატლეტიკოს" დაინტერესებით დიდად გაიხარა: *"პრიმერა დივიზიონში თამაში უდიდესი პატივი იქნება. მით უმეტეს, თუ ამას "ატლეტიკოს" მაისურით შევძლებ. პირადად მე სანინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირიქით, მადრიდში დიდი სიამოვნებით ნავიდოდი, მაგრამ თუ მხარეები ერთმანეთთან არ შეთანხმდებიან, ამ საქმიდან არაფერი გამოვა. რა თქმა უნდა, არ ვაპირებ ჩემი კლუბის ინტერესების საზიანოდ პირადი კეთილდღეობა მოვიწყო."*

გერმანიის ნაკრები

ბუნდესგუნდის ახალი ფორმა

ადიდასმა გერმანია ევროპის ჩემპიონატისთვის შემოსა...

ისევე, როგორც ძველზე, გერმანიის ნაკრების ახალ ფორმაზეც შავი, წითელი და ოქროს ფერები დომინირებს. გუშინ, ჰანოვერში გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ბუნდესგუნდის ახალი, ის ფორმა წარადგინა, რომლითაც **იოახიმ ლიოვის** გუნდი ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. მაისურის ნინა მხარეს დიდი შავი ზოლია, რომელიც წითელი და ოქროს ფერით ბოლოვდება. გულის მხარეს გერმანიის საფეხბურთო კავშირის ლოგოა განთავსებული, მარჯვენივ კი ფეხბურთელის ნომერი (თეთრად). ბუნდესნაკრების მეორე ფორმა კვლავინდებურად წითელია. ლიოვის გუნდი ახალი ფორმით პირველად შაბათს, კვიპროსთან ითამაშებს.

აღსანიშნავია, რომ „ადიდასმა" გასულ სეზონში გაყიდული საფეხბურთო ფორმებით 1.2 მილიარდი ევრო მოიხვეჭა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია და წინა სეზონის მაჩვენებელს 30 პროცენტით აღემატება. ცნობილი გახდა, რომ 2007 წელს „ადიდასმა" გერმანიის ნაკრების 1.5 მილიონი ფორმა გაყიდა.

პოდოლსკი ახალი ფორმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

ჰარგრივსი ისვენებს

რა მოხდება, თუ ინგლისი ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავა? საფეხბურთო ასოციაციამ სათადარიგო გეგმა მოხაზა...

ოუენ ჰარგრივსი

ოუენ ჰარგრივსი ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩს გამოტოვებს. შეხვედრა ხვალ ვენაში უნდა გაიმართოს. ეს იქნება ინგლისელთა გენერალური რეპეტიცია ხორვატიასთან გადამწყვეტ შეხვედრამდე. ხორვატები ინგლისს მომავალ ოთხშაბათს ესტუმრებიან. ექიმები იმედოვნებენ, რომ ჰარგრივსი გამოჯანმრთელებას მოასწრებს. გასულ უქმეებზე 26 წლის ნახევარმცველმა "ბლექბერნთან" ითამაშა. ის ძირითად შემადგენლობაში იყო. მატჩის დროს ოუენს მუხლის ტრავმამ შეახსენა თავი. ჰარგრივსის ტრავმაზე ისაუბრეს ინგლისის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელებმა. **სერ ალექს ფერგიუსონმა** ყოფილ ასისტენტს ურჩია, ოუენისათვის დასვენების საშუალება მიეცა. **სტივ მაკლარენმა** რჩევა მაშინვე გაიზიარა. ის ფეხბურთელის მნყობრში ჩადგომას დაელოდება. თანაც ჰარგრივსის არყოფნა ინგლისისათვის აუნაზღაურებელი დანაკლისი არ იქნება. "იუნაიტედის" ვარსკვლავს ნაკრებში მთელი სეზონი გაუცდა. მაკლარენს მის პოზიციაზე **სტივ ჯერარდი, ფრენკ ლემპარდი** და **გარეთ ბერი** ჰყავს. ინგლისელები ავსტრიასთან მატჩისათვის ლონდონის გარეუბან კოლნიში, "არსენალის" ბაზაზე ემზადებოდნენ. გუშინ ვერ ივარჯიშა **შონ რაიტ-ფილიპსმა**. მას კოჭის უმნიშვნელო ტრავმა აქვს. ჩელსის ნახევარმცველს ერთდღიანი შვებულება გამოუწერეს. თუ რაიტ-ფილიპსი ვერ გამოჯანმრთელდება, დარწმუნებით შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს **დევიდ ბექჰემი**. ეს მისი 98-ე სანაკრებო მატჩი იქნება.

ინგლისის ყურადღება ხორვატებთან ოთხშაბათის მატჩისკენაა მიპყრობილი. გულშემატკივარს მოეხსენება, რომ ინგლისის ნაკრების ბედი შაბათს, თელ ავივში, ისრაელისა და რუსეთის ნაკრებების მატჩში გადაწყდება. თუ რუსეთი გაიმარჯვებს, ოთხშაბათს უპრობლემოდ მოუგებს ანდორასაც, ორ თამაშში ექვს ქულას დააგროვებს და ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება. ინგლისი კი ტურნირის მიღმა აღმოჩნდება. ქვეყნის საფეხბურთო ასოციაცია მილიონობით გირვანქას დაკარგავს. ზარალის ასანაზღაურებლად ასოციაციამ საგანგებო გეგმა შეიმუშავა. "სანის" ცნობით, თუ ინგლისი ევრო 2008-ის საგზურს ვერ მოიპოვებს, სამხრეთამერიკულ და აზიურ ტურნეებში გაემგზავრება. ნაკრები ბრაზილიას, პერუს, იაპონიასა და ჩინეთს ენვეკა და საჩვენებელ მატჩებს გამართავს. ალტერნატიულ ვარიანტად ამერიკის შეერთებული შტატები განიხილება. ეს ტურნე ბრიტანელებს სოლიდურ შემოსავალს ჰპირდება.

ვარსკლავი

ბექჰემი არსენალში

...და მეასე მატჩის მოლოდინში

დევიდ ბექჰემი "არსენალის" ბაზაზე მოემზადება. ლონდონური გრანდი გალაქტიკოს თხოვნას დიდსულოვნად დათანხმდა. მოგეხსენებათ, "ლოს ანჯელეს გალაქსი" ამერიკის ჩემპიონატის ფლეი ოფში ვერ გავიდა. კლუბმა სეზონი ნაადრევად დაასრულა. მომავალი ჩემპიონატი ხუთ თვეში დაიწყება. ბექჰემმა აღიარა, ამხელა შვებულება არასოდეს მქონიაო. იმ დროს, როცა ბექზი ინგლისში იქნება, ყოველდღიურად მიაკითხავს "არსენალის" ბაზას და "მეთოფეების" მწვრთნელთა მეთვალყურეობით მოემზადება.

იქამდე დევიდს ორი სანაკრებო თამაში ელოდება - ერთი ხვალ ავსტრიასთან და მეორე ოთხშაბათს ხორვატიასთან. ბექჰემის სანაკრებო აქტივში 97 მატჩია. სამი თამაშიც და ის მხოლოდ მეხუთე ინგლისელი ფეხბურთელი გახდება, რომელმაც ეროვნულ გუნდში 100 შეხვედრა ჩაატარა. ასმატჩიანი ნიშნული გადალახული აქვთ **ბილი რაიტს** (105 მატჩი, 1946-59), **ბობი ჩარლტონს** (106 მატჩი, 1958-70), **ბობი მურსა** (108 მატჩი, 1962-73) და **პიტერ შილტონს** (125, 1970-90).

ბელგია და ჰოლანდია 2018 წელს უმიზნებენ

ბელგიამ და ჰოლანდიამ გადაწყვიტეს, 2018 წლის მუნდიალის მასპინძლობისათვის იბრძოლონ. ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები ფიფას პრეზიდენტს, **ზეპ ბლატერს** შეხვდნენ და საკუთარი გეგმა გაუმხილეს. ორიოდ კვირის წინ ფიფას აღმასკომმა გააუქმა ადრე მიღებული გადაწყვეტილება, რმლის თანახმად მუნდიალს კონტინენტიდან კონტინენტზე უნდა ემოგზაურა. როტაციის პრინციპით 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკას ერგო, 2014 წლის ჩემპიონატი - ბრაზილიას. 2018 წლის მუნდიალი წესით აზიაში უნდა წასულიყო, რადგან შარშან ტურნირს ევროპამ (გერმანიამ) უმასპინძლა, მაგრამ 2018 წელს ფეხბურთი ალბათ ბებერ კონტინენტზე დაბრუნდება. ბელგიისა და ჰოლანდიის ყველაზე სერიოზული მეტოქე კი ინგლისი იქნება. ბენილუქსის ქვეყნებმა საუცხოოდ ჩაატარეს 2000 წლის ევროპის პირველობა. ეჭვი არაა, მათ არც მუნდიალის ორგანიზება გაუჭირდებათ. თანაც, როგორ გაირკვა, ბელგია და ჰოლანდია პირველები არიან, რომელთაც 2018 წლის მუნდიალის მასპინძლობის სურვილი ოფიციალურად დააფიქსირეს.

არგენტინა აპერტურის ბომბარდირით

არგენტინის ნაკრების თავკაცმა **ალფიო ბასილემ** ბოლივიასა და კოლუმბიასთან შესარჩევი მატჩებისათვის შემადგენლობა დაასახელა. მან არგენტინაში მოასპარეზე ხუთ ფეხბურთელს უხმო, მათ შორის, დებიუტანტ მეკარე **მარიანო ანდუხარს**. ეს უკანასკნელი "ესტუდიანტესის" მოთამაშეა. გამოძახებულია კიდევ ერთი ახალგაზრდა გოლკიპერი, სანლორენსოელი **აგუსტინ ორიონი**. ის წლევანდელ კოპა ამერიკაზე იმყოფებოდა, მაგრამ არ უთამაშია. სიაშია არგენტინის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, "ინდეპენდიენტეს" თავდამსხმელი **ხერმან დენისი**, რომელმაც აპერტურის 16 მატჩში 17 გოლი გაიტანა.

მეკარეები - რობერტო აბონდანსიერი (ხეტაფე), აგუსტინ ორიონი (სან ლორენსო), მარიანო ანდუხარი (ესტუდიანტესი);

მცველები - ხავიერ ძანეტი (ინტერი), ნიკოლას ბურდისო (ინტერი), მარტინ დემიკელისი (ბაიერნი), გაბრიელ მილიტო (ბარსელონა), გაბრიელ ჰაინცე (რეალი), ფაბრისიო კოლოჩინი (დეპორტივო), უგო იბარა (ბოკა ხუნიორსი);

ნახევარმცველები - ესტებან კამბიასო (ინტერი), ფერნანდო გაგო (რეალი), მაქსიმილიანო როდრიგესი (ატლეტიკო), ზავიერ მასკერანო (ლივერპული), ხუან რომან რიკელმე (ვილირეალი), ფედერიკო ინსუა (ამერიკა), სებასტიან ბატალია (ბოკა ხუნიორსი);

თავდამსხმელები - ერნან კრესპო (ინტერი), ლიონელ მესი (ბარსელონა), სერხიო აგუერო (ატლეტიკო), კარლოს ტევესი (მანჩესტერ იუნაიტედი), ხერმან დენისი (ინდეპენდიენტე).

ჩაილანდელები მანჩესტერში

"მანჩესტერ სიტი" სამ ტაილანდელ ფეხბურთელს ყიდულობს. ხვალ **სვენ გორან ერიქსონი** ბანკოკში ჩავა და მომავალ შეგირდებს პირადად გაუფორმებს კონტრაქტს. "სიტის" მფლობელია ტაილანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ტაქსინ შინავატრა**, რომელიც ერთი წლის წინ კორუფციის ბრალდებით დაამხეს. შინავატრამ "სიტის" აქციებში 162.6 მილიონი დოლარი გადაიხადა. მან მაშინვე განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა, საუკეთესო ტაილანდელი ფეხბურთელების მანჩესტერში მიწვევა. "სიტის" ახალწვეულთა გვარებია **სურეე სუხა, კიეტპრავუტ საი-აეო** და **ტეერასილ დაენგდა**. პირველი ორი კლუბ "ჩონბურიში" თამაშობს, მესამე ბონკოკის "მუანგტონგ-ნონგჩოკის" წევრია. გარიგებათა ფინანსური დეტალები არ ხმაურდება.

თანამედროვე რეალობამ მოიტანა ახალი ცნება "პარტიზანული მარკეტინგი" (ambush marketing), ამაში იგულისხმება მცდელობა დიდი თუ მცირე ფირმებისა, რომლებიც, როგორც წესი, კონკრეტული დიდი ტურნირების სპონსორი ფირმების კონკურენტები არიან, დიდი ფულის დახარჯვის გარეშე მიაღწიონ სანადელს და ამით, კონკურენტისთვის გარკვეული ჩრდილის მიყენების ხარჯზე, საკუთარი მდგომარეობა გამოისწორონ. ამასთან, ყველა ცდილობს, რომ კანონის ჩარჩოებში დარჩეს. ამას ისინი შესანიშნავად ახერხებენ და ამისთვის მათ დიდი გამომგონებლური ნიჭი და ფანტაზია სჭირდებათ.



მიდი, შეუბურე! ამერიკული გიგანტი ნაიკი თანამედროვე პარტიზანული მარკეტინგის ლიდერია

ფული და ფეხბურთი

პარტიზანული მარკეტინგი

რას დაუპირისპირებენ თანამედროვე საფეხბურთო ბიზნესის პარტიზანებს?

როგორც უკვე გითხარით, "პარტიზანულ მარკეტინგს" მისდევენ როგორც დიდი და სახელოვანი ფირმები, ისე მათი უმცროსი და უსახელო ძმები. პირველები ამით ფულის დაზოგვას ახერხებენ, ხოლო მეორე კატეგორიას ამ კონკურენციაში ჩაბმის პრაქტიკული შესაძლებლობა არ გააჩნია და ამიტომ, სხვა გზა არც დარჩენია. რაც უფრო პოპულარულია ტურნირი, მით მეტი თანხა ჯდება სატიტულო სპონსორობის მოპოვება. ამ მხრივ, ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადები, ასევე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატები ყველაზე ძვირი ტურნირებია. ეს თანხები 21-ე საუკუნეში უკვე რამდენიმე ათეულ მილიონს აღწევს. 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის სპონსორობის მსურველს, სავარაუდოდ, 50 მილიონ გირვანქაზე მეტის გადახდა მოუწევს. აქ ლაპარაკია მხოლოდ მიახლოებით თანხაზე. დასაშვები ვარაუდია, რომ ის შეიძლება ბევრად უფრო დიდიც აღმოჩნდეს. ცნობილია, რომ ამ შეჯიბრებების ტელეაუდიტორიამ მილიარდს დიდი ხანია გადააჭარბა. კანონზომიერება ყველასთვის მუშაობს: რაც უფრო მეტია მაყურებელი, მით მეტ თანხას იხდის ოფიციალური სპონსორი და... შესაბამისად, "დაბალი ტარიფებით" მომხმარებელთა ყურაღების მიპყრობის მსურველთა რაოდენობაც მეტია.

ამ ბრძოლაში მთავარი "პარტიზანი" ამერიკული კომპანია "ნაიკია". თქვენ გაგიჩნდებათ კითხვა, კი მაგრამ ხომ არსებობს ისეთი ცნება, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრების უფლება. დიახ, რა თქმა უნდა, ეს უფლება ადამიანისთვის არავის ჩამოურთმევია, მაგრამ თანამედროვე მარკეტინგულ მანქანასთან საბრძოლველად ეს არასაკმარისია. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ყველა ფირმა ახერხებს კანონის ჩარჩოებში დარჩენას. ცივილიზებულმა მსოფლიომ კი დიდი ხანია უკვე შეისისხლხორცა, რომ თუკი კანონი არ ირღვევა, რაც არ უნდა არაეთიკურად მოგვეჩვენოს, ესე იგი ამის გამკეთებელი მხარე მართალია. შესაბამისად, სასამართლოში არავინ არავის უჩივის.

ეს არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და ფიფა-უეფა გულხელდაკრეფილნი სხედან და უყურებენ, თუ როგორ იგდებს მათ მასხრად "ნაიკი". ისინი ცდილობენ კონტრზომების გატარებას, რათა სპონსორების ინტერესები დაიცვან. ამერიკული გიგანტის მარკეტინგული პოლიტიკა ხომ პირველ რიგში სწორედ მათს ინტერესებს ურტყამს. ეს კომპანია 80-იან წლებში სპეციალურად გაურბოდა დიდი ტურნირების სპონსორობას, სამაგიეროდ, უხვად აფინანსებდა გუნდებსა და ტურნირებში მონაწილე კონკრეტულ სუპერვარსკვლავებს.

ეს ყველაფერი ცარიელ ლაყბობად რომ არ ჩაგვითვალოთ, მოგიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს "ნაიკის" "პარტიზანული მარკეტინგის" ისტორიიდან:

1) 1992 წელს, ბარსელონის ოლიმპიადაზე კომპანია ამერიკის საკალათბურთო ნაკრების პრესკონფერენციების სპონსორად იქცა, ეს მაშინ, როცა ტურნირის სატიტულო პარტნიორი "რიბოკი" იყო.

2) ამ ოლიმპიადაზე ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალი მაიკლ ჯორდანს დაუკავშირდა. ოქროს მედლის მიღების შემდეგ მან მედლით "რიბოკის" ლოგოტიპი გადაფარა.

3) 2002 და 2006 წლებში მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების ოფიციალური სპონსორი გერმანული გიგანტი "ადიდასი" იყო. სამაგიეროდ, ტურნირის მონაწილე გუნდების უმრავლესობას "ნაიკის" ფორმა მოსავდა.

4) 2002 წელს, სოლტ ლეიკ სიტიში, ზამთრის ოლიმპიადაზე, ფირმამ მხოლოდ ამერიკის ჰოკეის ნაკრების სპონსორობა ითავა. სამაგიეროდ, ამით გულშემატკივრების გული მოიგო.

5) 2002 წელს, კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ "ნაიკმა" დახარჯა 18 მილიონი დოლარი, რათა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები საკუთარ სარეკლამო კამპანიაში ჩაება.

6) ექსპერტების შეფასებებით, 1996 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მიმდინარეობისას "ნაიკმა" დაზოგა 50 მილიონი დოლარი (!) იმით, რომ არ წავიდა სოკოთან თანამშრომლობაზე, სამაგიეროდ, ქალაქი ნალეკილი იყო ფირმის ლოგოებით. შექმნილი იყო "ნაიკის" სპეციალური სპორტული ცენტრი.

ხაზს ვუსვამთ კიდევ ერთხელ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, ამერიკული ფირმა კანონის წინაშე სუფთაა. მაშასადამე მისი გასამართლების უფლება არავის აქვს. სხვა საქმეა, თუ რამდენადაა დაცული ეთიკის ნორმები. თუმცა ვაღიაროთ, რომ სხვისი ეთიკა ჩვენი საქმე არაა. "*ნაიკი" ყოველთვის წყვეტს საკუთარ ამოცანებს, მაგრამ ცოტა განსხვავებული გზებით*", - აცხადებენ მისი წარმომადგენლები.

საკუთარი სტრატეგია აქვთ იმ ფირმებსაც, რომლებსაც მაღალ დონეზე ჭიდაობის ფინანსური საშუალება არ აქვთ და სწორედ ასეთი გზებიღა რჩებათ, რომ დიდ კომპანიებს გამოწვევა ესროლონ. 2002 წლის ოლიმპიადის სპონსორი იყო მთელ მსოფლიოში ცნობილი ამერიკული კორპორაცია "ანჰოიზერ-ბუში" (Anheuser-Busch) ვისი ბრენდებიცაა Budweiser, Busch, Michelob და ასე შემდეგ, სულ ლუდის 60-მდე სახეობა. ფირმას ბიზნესინტერესები არამხოლოდ ლუდის წარმოებაში აქვს, ის ბეისბოლის კლუბ "სენტ ლუის კარდინალზის" მფლობელიცაა. ამ უფლების მოსაპოვებლად კომპანიამ 50 მილიონზე მეტი გაიღო და, შესაბამისად, მოიპოვა საკუთარ პროდუქციაზე სიტყვა "ოლიმპიურისა" და ოლიმპიადების სიმბოლოს, ხუთი რგოლის გამოყენების ექსკლუზიური უფლება. პარალელურად, ადგილობრივი მნიშვნელობის ლუდსახარშმა Schirf Brewery-მ იეშმაკა და სახეიროდ შესანიშნავი საშუალება გამონახა. საკუთარი სატვირთო მანქანები და პროდუქცია მან შემდეგი წარნერით ააჭრელა: The Unofficial Beer. 2002 Winter Games - "არაოფიციალური ლუდი. 2002 წლის თამაშები". მსგავსი რეკლამა აბსოლუტურად ლეგიტიმური იყო. სიტყვა ოლიმპიური არ გამოყენებულა, ისევე როგორც ოლიმპიადის ოფიციალური სიმბოლო.

მსგავსი "პარტიზანული მარკეტინგი" ამ სფეროს ევოლუციური განვითარების შორიგი ეტაპია, რაც საპასუხოდ გადამჭრელი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

ნუცუბიძე ოლიმპიური კატეგორიის მსაჯია

ამ დღეებში ქართულმა ძიუდომ მორიგ გამარჯვებას მიაღწია. ცოტა უჩვეულოს და იმისგან განსხვავებულს, როგორითაც აქამდე ჩვენი ფალავნები გვანებივრებენ. ამჯერად სამსაჯო ასპარეზზე - **ვლადიმერ ნუცუბიძემ** ოლიმპიური კატეგორიის მსაჯის წოდება მოიპოვა. ეს ავსტრალიურ პერთში, ოკეანიის ღია პირველობაზე მოხდა, სადაც საკვალიფიკაციო გამოცდებიც ჩატარდა. პირველი დღე თეორიულ გამოცდებს დაეთმო, მომდევნო ორი კი უშუალოდ ტურნირზე მსაჯობას ანუ პრაქტიკულ საქმიანობას ითვალისწინებდა.

სამწუხაროდ, პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრა უკვე გამორიცხულია - საამისოდ მსაჯებიც შერჩეულია, მაგრამ ნუცუბიძეს 2012 წლის ლონდონის თამაშებზე მოსახვედრად ბრძოლა შეუძლია. პერტში ოლიმპიური კატეგორიის მოსაპოვებლად 14 არბიტრი იბრძოდა. მათ შორის, 6 - ევროპიდან. აღსანიშნავია, რომ ევროპას აქამდე მუდამ 4 ადგილი ერგებოდა, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ნიჩაბზე დასმულმა ესპანელმა ბარკოსმა როგორღაც აფრიკელთა კვოტის წამოღება მოახერხა და ევროპას ასე გაუხდა 6 წარმომადგენელი. ამათგან ოლიმპიური კატეგორია 4-მა მიიღო - საქართველოს, გერმანიის, ნორვეგიის და იტალიის წარგზავნილებმა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ პეკინის ოლიმპიადამდე ბარკოსი თანამდებობაზე დატოვეს, თუმცა საეჭვოა, პოსტი მერეც შეინარჩუნოს. შეგახსენებთ, რომ მისი პოზიციები მას მერე შეირყა, რაც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე სამხრეთკორეელი **პარკი** ევროპის რეგიონალური ფედერაციის რუმინელმა თავკაცმა **მარიუს ვიზერმა** შეცვალა. ბოლო წლებში ევროპული და მსოფლიო ფედერაცია გამუდმებით ექიშპებოდნენ ერთმანეთს, ამ ბრძოლის ცენტრი კი ხშირად გახლდათ ბარკოსი. სამსაჯო კომიტეტის გავლენა ნებისმიერი ტურნირის შედეგებზე კარგად მოგეხსენებათ და იმასაც იოლად მიხვდებით, რატომ გადადიოდა იმ ბრძოლების სიმძიმე ბარკოსის მხრებზე. ევროპელები მას ხშირად აბრალებდნენ აზიელთა მიმხრობას, რასაც ღალატად უთვლიდნენ და ვერაფრით პატიობდნენ. მართალია, ბოლო ხანებში ბარკოსი თითქოს მობრუნდა ევროპელებისკენ, მაგრამ ამან ვითარება დიდად ვერ შეცვალა. ბარკოსისადმი მკვეთრად უარყოფითი განწყობაა ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობაშიც, თუმცა თავად ნუცუბიძე აცხადებს, რომ პირადად მასთან ესპანელ ჩინოვნიკს მშვენიერი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა და მისი დარჩენის წინაღმდეგი არაა, მაგრამ ლამის ყველა დარწმუნებულია, რომ ვიზერი ძველ წყენას (რაც ხშირად პირად დაპირისპირებაში გადადიოდა) არ აპატიებს და მომავალ ოლიმპიურ ციკლში მსაჯთა კომიტეტს ახალი თავკაცი ჩაიბარებს.

თავად ნუცუბიძის სამომავლო პერსპექტივას რაც შეეხება, ლონდონის ოლიმპიადაზე მოსახვედრად მთელ ოთხწლიან ციკლში მართებს წარმატებით გარჯა. სარეიტინგო ქულების გასაუმჯობესებლად წელიწადში, მინიმუმ, 3 ტურნირში მაინც უნდა იმსაჯოს. მისთვის ეს ნამდვილად არაა პრობლემა, რადგან აქამდეც 7-8 შეჯიბრებაში გამოდიოდა. თანაც, იმ 3-დან ერთი აუცილებლად თბილისის მსოფლიო თასი იქნება... ცხადია, მნიშვნელობა ტურნირების რანგსაც ენიჭება - უფრო მაღალი კატეგორიისა ქულებსაც მეტს იძლევა, მაგრამ ნუცუბიძე უკვე ევროპის პირველობებსაც მსაჯობს და არც ესაა დიდი პრობლემა. მის სასარგებლოდ ასაკიც მეტყველებს - იგი ჯერ 37 წლისაა, ოლიმპიური კატეგორიის მქონეთაგან კი მასზე უმცროსი მხოლოდ ერთია.

ირაკლი თავაძე

სუმო

დადებითი ბალანსი ისევ სათუოა



26 წლის ლევან ცაგურია (კოკაი) აშკარად ვერ არის საუკეთესო ფორმაში. გუშინ მეცამეტე მაგაშირას რანგში დაქვეითებულმა კოკაიმ მე-16 მაგაშირა **კასუგანიშიკისთან** იორიკით წაგო. კოკაიმ ზედიზედ სამი ტურნირი დაასრულა უარყოფითი ბალანსით (მაისის, ივლისის და სექტემბრის ბაშოები) და, როგორც ჩანს, კუნძულ კიუშუს ბაშოზეც ერთადერთი საზრუნავი ექნება - როგორმე მეოთხე უარყოფით ბალანსს გადაურჩეს. დღეს, ტურნირის მეხუთე ორთაბრძოლაში კოკაი მაკუუჩის (უმაღლესი) დივიზიონის დებიუტანტ **ვაკაკირინს** შეხვდება, რომელთანაც, რა თქმა უნდა, აქამდე არ უჭიდავია. ვაკაკირინი მე-15 მაგაშირაა, კიუშუს ბაშოზე მას კოკაის მსგავსად 2-2 ბალანსი აქვს.

გუშინ ერთდაერთი დაუმარცხებელი სეკიტორი (მაგაშირაზე მაღალი რანგის სუმოისტი) **ჩიოტაიკაი** გადაურჩა მარცხს, „ოკეანემ" ყოჩაღი მონღოლის, **ამას** შეტევა სულ ბოლო წამს მოიგერია კოტენაგეს ილეთით. დაუმარცხებელი დარჩა ყოფილი სეკივაკე **ვაკანოსატო** და ესტონელი **ბარუტო**. ამ სამეულს კვალში 9 რიკიში მიყვება, მათ შორის მონღოლი იოკოძუნა **ჰაკუჰო** და ორი ოძეკი (**კაიო** და **კოტომიცუკი**).

მესამედან (მაკუშიტა) მეოთხე (სანდანმე) დივიზიონში გავარდნილი **თეიმურაზ ჯუღელი** (**გაგამარუ**), როგორც ჩანს, უკან დაბრუნებას აპირებს. მან მეორე ბრძოლაც მოიგო, გაგამარუმ იორიკირის ილეთით დაამარცხა სანდანმეს მე-12 ნომერი **ენაცუკასა**. გაგამარუც სანდანმეს დივიზიონის მე-12 ნომერია. დღეს გაგამარუს მეტოქე მე-14 ნომერი **შიმადა** იქნება, რომელსაც ქართველის მსგავსად 2-0 ბალანსი აქვს. დღეს მაკუშიტას დივიზიონის პირველი ნომერი **ლევან გორგაძე** (**ტოჩინოშინი**) ჭიდაობს, მისი მეტოქე მაკუშიტას მეოთხე ნომერი **კირინოვაკა** იქნება, ორივე სუმოისტს 2-0 ბალანსი აქვს. გამარჯვების შემთხვევაში ტოჩინოშინს ძურიოს (მეორე) დივიუზიონამდე მხოლოდ ერთი მოგება დააშორებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კიუშუს ბაშო

ნოემბრის სუპერტურნირი

11-25 ნოემბერი, ფუკუოკა (იაპონია)

IV დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-კასუგანიშიკი 0:1 (იორიკირი), ჰაკუჰო-კისენოსატო 1:0, კაიო-ჰომაშო 1:0, კოტომიცუკი-მიაბიამა 1:0, ჩიოტაიკაი-ამა 1:0, დეჯიმა-კოტოოშუ 1:0, ასასეკირიუ-ტოკიტენკუ 1:0, ამინიშიკი-კოტოშოგიკუ 1:0, კაკურიუ-კიოკუტენჰო 1:0, ტოიონოშიმა-კასუგაო 1:0, გოეიდო-ტაკეკაძე 1:0, ტოჩინონადა-ტამანოშიმა 1:0, ვაკანოსატო-ჰოკუტორიკი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 4-0: ჩიოტაიკაი (ოძეკი), ვაკანოსატო (მაგაშირა 8), ბარუტო (მ 16); 3-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კაიო (ოძეკი), კოტომიცუკი (ოძეკი), ასასეკირიუ (სეკივაკე), დეჯიმა (მ 2), ტოიონოშიმა (მ 4), გოეიდო (მ 6), ტაკამისაკარი (მ 8), კაკიძოე (მ 14).

V დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ვაკაკირინი, ჰაკუჰო-დეჯიმა, კოტომიცუკი-კაკურიუ, ჩიოტაიკაი-მიაბიამა, კოტოოშუ-კისენოსატო, კაიო-ამა, ამინიშიკი-ჰომაშო, ასასეკირიუ-კოტოშოგიკუ, ტოკიტენკუ-კასუგაო, ტოიონოშიმა-ტოიოჰიბიკი, ტამანოშიმა-კიოკუტენჰო, ტაკეკაძე-ტამაკასუგა, გოეიდო-ფუტენო, ვაკანოსატო-ტოჩინონადა.

სპორტულ ფედერაციებში

ძიუდოისტებს ვიზის პრობლემა აქვთ

სპორტულ ფედერაციებში წლის მონაგარს ითვლიან და ახალი სპორტული სეზონის ღონისძიებებს გეგმავენ. პარალელურად, ცხადია, არ წყდება სპოტული ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი.

გუშინ, ჭიდაობის ორ ფედერაციას შეეხმიანეთ და მათი მიმდინარე ცხოვრებით დავინტერესდით.

ომზარ შოშიტაშვილი, ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი: - დღესაც და ამ დღეებში მთავარი საზრუნავია 2008 წლის სპორტული კალენდარი. უამრავი სპორტული ღონისძიებები იგეგმება ასაკების მიხედვით. რაც შეეხება 2007 წლის მონაგარს, ვიტყვი რომ შედეგების მაჩვენებელი სარეკორდოა. სულ მოპოვებულია სამივე ხარისხის 26 მედალი. ადრე 19-20, მაქსიმუმ 24 გვქონდა. სპორტსმენების მზადება გრძელდება, უკვე საგაისო შეჯიბრებებისთვის, რომელიც იანვრიდანვე დაიწყება.

რედაქციისაგან. ამ დღეებში განვაახლებთ „ლელოს" ტრადიციულ რუბრიკას „წლის მონაგარი" და ერთ-ერთ პირველს, მკითხველს ჭიდაობის ფედერაციას წარვუდგენთ, სადაც ვრცლად იქნება მოთხრობილი ფედერაციის და ქართველი ფალავნების ზემოხსენებულ წარმატებებზე.

ანზორ მარყოფლიშვილი, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი: - კარგია, რომ შეგვეხმიანეთ. ცაიტნოტში ვართ. 23 ნოემბერს ავსტრიაში უნდა ვიყოთ. იქ 23-წლამდელთა ევროპის პირადი პირველობა ტარდება. ვიზებს თბილისში ვერ ვაფორმებთ, თბილისში აკრედიტებული ევროპის ქვეყნების საელჩოები უარს გვეუბნებინა. უკრაინას ან თურქეთს მიაკითხეთო - გვეუბნება ავსტრია. კიევზე შევჩერდით. გუნდის გაფრენასაც იქიდან ვგეგმავთ, მაგრამ უკრაინაში ავსტრიის კონსული კატეგორიულად მოითხოვს გასასაუბრებლად მთელი გუნდი კიევში ვიზის გაცემამდე 7 სამუშაო დღით ადრე ჩავიყვანოთ. ეს კი შეუძლებელია. რჩება ერთადერთი იმედი, იქნებ ევროპის ფედერაციამ მოახდინოს ზეგავლენა ტურნირის მასპინძელ ქვეყანაზე და მის საკონსულოზე კიევში, რათა ვიზების მიღება შესაძლებელი გახდეს მინიმუმ სამ დღეში. უარის შემთხვევაში, ჩემპიონატზე ვერ ნავალთ, რაც არა მხოლოდ ჩვენ მოვგიტანს ზიანს, დარტყმას მიაყენებს ევროპის ფედერაციის ავტორიტეტს.

მაგიდის ჩოგბურთი

ავსტრიის ავიახაზებისა და პოლონეთის ელჩის წყალობით

„ეს ტურნირი ხელს შეუწყობს მაგიდის ჩოგბურთის პოპულარიზაციას საქართველოში. დაეხმარება ახალგაზრდა ჩოგბურთელებს სპორტული დონის ამაღლებაში, ისინი სათანადოდ მოემზადებიან ევროპის და მსოფლიოს პირველობებისათვის". - განაცხადა მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **თემურ რამაზაშვილმა**.

დღეიდან სპორტული ცენტრის დარბაზში (მეტრო „300 არაგველთან") მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია 18 ნოემბრის ჩათვლით საქართველოს ჩემპიონატს ჩაატარებს სამ ასაკობრივ ჯგუფში (მინი-კადეტები, კადეტები, მოზარდები). ჩემპიონატს ამჯერად სპონსორებიც გამოუჩნდნენ - „ავსტრიის ავიახაზები" და პოლონეთის ელჩი საქართველოში **იაცეკ მულტანოვსკი**. ჩემპიონატში მონაწილეობენ თბილისელი, ქუთაისელი, ბათუმელი, რუსთაველი, ბორჯომელი, თელაველი, აბაშელი და ზესტაფონელი ახალგაზრდა მაგიდის ჩოგბურთელები. ყველა ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდებიან პრიზიორები. დღეს 11 საათზე გაიმართება კენჭისყრა, ერთ საათში კი ასაპრეზობაც დაიწყება, დღესვე 14 საათზე ფედერაციის ხელმძღვანელობა გამართავს პრეს-კონფერენციას.

ანტიკური ჭიდაობა

5 ოქრო ბურსადან

ამ დღეებში ქართველმა ჭაბუკმა „ანტიკოსებმა" წარმატებით იჭიდავეს თურქულ ბურსაში დამთავრებულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ოქროს მედალი დაისაკუთრეს. ჩემპიონები **რამაზ ზოიძე** (32), **რაფი შაყულოღლი** (42), **ბექა გოგრიჭიანი** (53) და **ლევან გოგრიჭიანი** (73) გახდნენ. მეხუთე ოქრო 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოვიპოვეთ, სადაც ქართული ფინალი გაიმართა - **ალექსანდრე ამინაშვილმა ბექა ხერგიანი** დაამარცხა. მეორე ვერცხლი **დიმიტრი ბასილაშვილის** (59) მონაგარია, ბრინჯაო - **ლევან გოგრიჭიანის** (მძიმე).

ჩოგბურთი

ტატიშვილმა ერთი მოიგო

ანა ტატიშვილი

17 წლის **ანა ტატიშვილმა** გამარჯვებით დაიწყო ლა ქუინტას (აშშ) საერთაშორისო ტურნირში (50 ათასი დოლარი) მონაწილეობა. ანა, რომელიც მსოფლიოს 279-ე ჩოგანია, ბოლო მომენტში მოხვდა ტურნირს ძირითად ბადეში. პირველ წრეში ქართველს 18 წლის ამერიკელი **ალექსა გლაჩი** (269) ერგო, რომელთანაც შარშან სან-ფრანცისკოს ტურნირში დამარცხდა. გუშინ ტატიშვილმა იოლად სძლია მეტოქეს - 6:1, 6:3. მერვედფინალში ანას მეტოქე სავარაუდოდ ამერიკელი **ეშლი ჰარკლროუდი** იქნება, რომელიც მსოფლიოს 95-ე ჩოგანია და ლა ქუინტაში მე-3 ნომრად არის განთესილი. ანა ტატიშვილი წყვილთა თანრიგშიც მონაწილეობს რუს **ეკატერინა აფინოგენოვასთან** ერთად.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია და ვეტერანი მძლეოსნები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უფროსი თაობის მძლეოსანი, სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებში

გელა ბაგაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვილი: 15.16 ნოემბერი. დაკრძალვა 17 ნოემბერი, ბუაჩიძის 10.

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

მალხაზ სულაშვილი ადანას გამარჯვებულია

მალხაზ სულაშვილი (მარცხნივ) და დავით ზარქუა (მუაში)

ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ჭადრაკი სულ მალე ნამდვილად გახდება ანგარიშგასაწევი ძალა და ამის ნიშნები უკვე არის - შიგადაშიგ ევროპისა თუ მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატებში პრიზიორებიც გაუჩნდათ და ჩემპიონებიც. იქაური ჭადრაკის ფედერაცია და ქვეყანა დიდ თანხებს ხარჯავს და უამრავ ტურნირს ატარებს. ვინაიდან თურქეთთან ახლო მეზობლობა გვაქვს და არც სავიზო რეჟიმი გვაბრკოლებს, ჩვენებურები ხშირ-ხშირად და საკმაოდ დიდ ჯგუფებადაც მიემგზავრებიან და, როგორც წესი, წარმატებებსაც აღწევენ. ასე იყო ამჯერადაც.

რამდენიმე დღის წინ ქალაქ ადანაში საკმაოდ წარმომადგენლობითი ღია ტურნირი დასრულდა, რომელშიც 8 ქართველმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა.

სულ ტურნირში 128 მონაწილე მოგროვდა და, ცხადია, დიდი უმეტესობა თურქები იყვნენ თუმცა სხვა ქვეყნის წარმომადგენლებსაც შეეხვდებოდით, მათ შორს ისეთი საჭადრაკო ქვეყნიდან, როგორც აზერბაიჯანია...

ფავორიტებად მაინც ქართველები ითვლებოდნენ: რეიტინგით პირველი **კონსტანტინე შანავა** (2512) იყო; მეორე - **გიორგი ბაღათუროვი** (2474); მესამე **ვალერიან გაფრინდაშვილი** (2464). ამათგარდა ადანაში ითამაშეს: **მალხაზ სულაშვილმა** (2423), **ბაჩანა მორჩიაშვილმა** (2420), **დავით ზარქუამ** (2352), **არმენ გრიგორიევმა** (2331) და **თამაზ მგელაძემ** (2283).

ქართველებმა ფავორიტობა გაამართლეს და პირველ-მეორე ადგილები დაისაკუთრეს, თუმც იმათ იმარჯვეს, ვისგანაც ნაკლებად მოელოდნენ - შესანიშნავი შედეგით ცხრიდან 8 ქულით ფინიშთან პირველი საერთაშრისო ოსტატი მალხაზ სულაშვილი მივიდა; 7,5 ქულით მეორე ადგილზე დავით ზარქუა გავიდა, რომელსაც საერთაშორისო ოსტატის წოდებაც არა აქვს. მესამე ადგილში თურქი **თურმან ილმაზი** ჩაგვეზიარა, რომელმაც ზარქუას დარად 7,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ კოეფიციენტით ჩამორჩა. სულაშვილისთვის გამარჯვება ორმაგად სასიხარულო გახდა, რადგანაც ტურნირის ბოლო დღეს, 10 ოქტომბერს 21 წლის შესრულდა.

მართალია ფავორიტებმა ვერ იპირველეს, მაგრამ ათეულს არ გაცდნენ: გიორგი ბაღათუროვი მეოთხე იყო 7 ქულით, მერვე იყო ბაჩანა მორჩიაშვილი - 6,5 ქულით, შანავამ ამდენივეთი მეცხრე ადგილი დაიკავა. ერთადერთი, ვინც ფავორიტებიდან ათეულში ვერ მოხვდა, ტურნირის მესამე ნომერი ვალერიან გაფრინდაშვილია - 6 ქულა დააგროვა და მეთორმეტე ადგილზე გავიდა. თამაზ მგელაძემ 6 ქულით მეთოთხმეტეზე დაასრულა ტურნირი, არმენ გრიგორიევს კი ამდენისთვის მხოლოდ 27-ე ადგილი ერგო.

პრიზიორებმა საკმაოდ რიგიანი ფულადი ჯილდოც მიიღეს: 20 ათას ევროიანი საპრიზო ფონიდდან სულაშვილს 2 000 ერგო.

ძირითადი ტურნირის გარდა მოჭადრაკეებმა ბლიც ტურნირშიც მოსინჯეს ძალები და აქაც ქართველთა გამარჯვების მომსწრენი შევიქენით: კვლავ ბრწყინვალე იყო დავით ზარქუა, რომელმაც 11 შესაძლებლობიდან 9 ქულა დააგროვა პირველ ადგილზე გავიდა; მესორე ამჯერადაც ქართველი იყო - კონსტანტინე შანავამ 8,5 ქულა დააგროვა. მესამე აქაც არ დაგვანებეს - აზერბაიჯანელმა **ნიჯატ აგაევმა** 8,5 ქულა დააგროვა. მეოთხეზე 8 ქულით ბაჩანა მორჩიაშვილი გავიდა; მეხუთეზე ამდენივეთი არმენ გრიგორიევია; მალხაზ სულაშვილმა 7,5 ქულით მეექვსე ადგილი დაიკავა. დანარჩენი ქართველები: 11. გიორგი ბაღათუროვი - 7; 12. თამაზ მგელაძე - 7; 21. ვალერიან გაფრინდაშვილი - 6.

ზვიად შათირიშვილი

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ლეგიონერები

მაკედონიური პროგრესი და გერმანული რეგრესი



სერგო დათუკაშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების ორი ხელბურთელი ამ უქმეებზე მორიგი ტურის მატჩებში გაისარჯა. ნახევრად კარგი ამბავით დავიწყოთ, რომელიც **სერგო დათუკაშვილსა** და მის "ლიუბეკს" ეხება. მაჩანჩალა ლიუბეკელებმა კიდევ ერთი მატჩი წააგეს - ამჯერად მეათეადგილოსან "მაგდებურგთან" (22:32). არადა, პირველი ტაიმის შემდეგ, ჩვენებურის გუნდი მინიმალური სხვაობით იგებდა...

რაც შეეხება სერგოს მონაგარს, მან შვიდი გოლი შეაგდო და მხოლოდ ცხრა გოლის გამტანან მაგდებურგელ **შპრენგერს** ჩამორჩა. ამ წაგების შემდეგ, "ლიუბეკი" 16-17-ე ადგილებს იყოფს "მინდენთან" ერთად.

სამაგიეროდ, ბომბარდირთა დავაში, ქართველი ხელბურთელი კვლავაც მოწინავეთა რიგებშია. მას 12 მატჩში 80 გოლი აქვს გატანილი და მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს მელზუნგენელ **სავას კარპიდისთან** ერთად. ამასთან, საგრძნობლად შემცირდა სხვაობა სერგოსა და პირველადგილოსან **არნე ნიმაიერს** ("მინდენი") შორის. თუკი რამდენიმე ტურის წინ, ნეიმაიერი ათზე მეტი გოლით უსწრებდა დათუკაშვილს, ახლა სხვაობა ხუთ ბურთამდე დავიდა. როგორც ჩანს, ბომბარდირთა დავა ბოლომდე უშეღავათოდ და საინტერესოდ წარიმართება.

მაკედონიაში კი მორიგი "კლასიკო" გაიმართა **რეზო ჭანტურიას** სკოპიეს "მეტალურგსა" და მის დაუძინებელ მტერ "ვარდარს" შორის. ერთი თვის წინ, "მეტალურგი" საკუთარ მოედანზე უკანასკნელ წამებამდე ამარცხებდა "ვარდარს" ჭანტურიას გოლის წყალობით, მაგრამ მხოლოდ ფრეს დასჯერდა. ამჯერად, კი ქართველის გუნდი მეტოქის მოედანზე ბოლომდე კონცენტრირებული იყო და დაძაბულ ბრძოლაში, ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოიპოვა – 29:28. სასიხარულოა ისიც, რომ გამარჯვებაში დიდი როლი ითამაშა რეზო ჭანტურიამ, რომელმაც 5 გოლი გაიტანა.

ამრიგად, "მეტალურგებმა" 3 ქულით გადაასწრეს უშუალო კონკურენტს და სატურნირო ცხრილს ახლა უფრო დამაჯერებლად ლიდერობენ. ახლა მათ შეუძლიათ, მშვიდად მოემზადონ ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის მესამე რაუნდისთვის, სადაც 17 ნოემბერს შვედურ "სავეჰოფს" დაუპირისპირდებიან.

კობა ხატისაშვილი

ᲮᲔᲚᲗᲗᲑᲣᲠᲗᲘ



დიმიტრი ფაცაცია

ფაცაცია და ჯორდანი

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ქართველ კალათბურთელთაგან მხოლოდ **ზაზა ფაჩულია** არ თამაშობს, კოლეჯთა კალათბურთის სხვადასხვა დივიზიონებში კიდევ რამდენიმე ჩვენებურია. ამ დღეებში ამერიკაში საკოლეჯო კალათბურთის ახალი სეზონიც გაიხსნა.

NCAA (კოლეჯების ათლეტთა ეროვნული ასოციაცია) კალათბურთში საკმაოდ რთული აგებულების ტურნირთა ერთობლიობაა. ამ ზაფხულიდან ქართველმა კალათბურთელმა **დიმიტრი ფაცაციამ** ძალზე ცნობილი საუნივერსიტეტო გუნდის, „არკანზას როზერბეკსის" მაისური მოირგო. „არკანზასი" (მეტსახელი ჰოგსი - ტახები) პირველი დივიზიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ კონფერენციაში თამაშობს. ამ გუნდს ოთხთა ფინალში ექვსჯერ უთამაშია, ხოლო 1994 წელს NCAA-ს ჩემპიონი გახდა. NBA-ში ამჟამად ყოფილი „ტახები" **ჯო ჯონსონი** (ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელი), **ჯენარო პარგო, რონი ბრიუერი** და **კორლის უილიამსონი** თამაშობენ. აი, ასეთი გუნდის წევრი გახდა ქართველი მსროლელი, ცნობილი მომღერლის **თიკა ფაცაციას** ძმა. საგამოფენო მატჩებში ფაცაციამ საშუალოდ 5,5 ქულა, 4,5 მოხსნა და 2,5 ჩაჭრა აჩვენა. 1988 წელს დაბადებული ფაცაცია საქართველოში სოხუმის უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა, შემდეგ ესპანეთში გადავიდა. პირველ ოფიციალურ მატჩში არკანზასის უნივერსიტეტმა 67:45 დაამარცხა „უოფორდი". მწვრთნელმა **ჯონ პელფრეიმ** ამ მატჩში ცხრა კალათბურთელი ათამაშა, ქართველი ახალბედა კი ჯერ სათადარიგოთა სკამს დაჯერა. ფაცაცია **მაიკლ ჯორდანის** ნომრიანი მაისურით - 23 ნომრით თამაშობს.

ახალგაზრდულ NCAA-ს ლიგაში „პენსაკოლა პირატსის" ღირსებას ორი ჩვენებური დაიცავს. **დავით ერქვანია** და **ლაშა ფარღალავა**. საკოლეჯო ლიგის დაწყებამდე გუნდი მცირე ტურნირში ჩაება, რომელსაც „ტიპ-ოფ კლასიკი" ეწოდება. პირველ მატჩში „პენსაკოლამ" „გოლდენ სტეიტ კარდინალსთან" 69:72 წააგო. ლაშა ფარღალავა სასტარტო ხუთეულში იყო, მან საკმაოდ ცუდად ითამაშა, 3 ქულას, 6 მოხსნა და 4 პასი დაუმატა, მაგრამ თამაშიდან 12 სროლიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო, ასევე 9-ჯერ დაკარგა ბურთი. დავით ერქვანიამ 16 წუთში ორ-ორი ქულა და მოხსნა მიითვალა. მეორე მატჩში „პენსაკოლამ" „შელტონ სტეიტი" დაამარცხა - 79:57. ფარღალავამ ბრყინვალე დითამაშა - 17 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი, ერქვანიას არ უთამაშია. მესამე ტურში „პენსაკოლამ" „ფოლკნერს" ქულით აჯობა - 66:65. ლაშა ფარღალავას ანგარიშზე 8 ქულა და 7 პასია. დავით ერქვანიამ 13 წუთში გუნდს 2 ქულა და 1 მოხსნა მოუტანა. ტურნირის ბოლო მატჩში „პენსაკოლამ" 101:62 გაანადგურა „დელგადო დელფინსი". ლაშა ფარღალავას ანგარიშზე 15 ქულა, 4 პასი და 4 ჩაჭრაა. დავით ერქვანია 17 წუთით ათამაშეს, მან 6 ქულას ამდენივე მოხსნა და ერთი დაფარება დაუმატა. „პენსაკოლა პირატსი" 15 ნოემბრიდან მეორე ტურნირში ჩაებმება.

ახალ სეზონს კოლეჯთა ლიგაში გაატარებს **დავით საყვარელიძეც**. ის ნიუ იორკის „დომინიკან ჩარჯერსის" შემადგენლობაში ითამაშებს. გუნდში საყვარელიძის ეიმედებათ. „საყვარელიძე ძალიან სწრაფია, მას მთელ მოედანზე შუეძლია მოქმედება და შორი მანძილიდან სროლა. საყვარელიძე სასტარტო ხუთეულში ფორვარდის პოზიციას დაიკავებს". - წერს კოლეჯის ოფიციალური საიტი. მცირე ტურნირი 16 ნოემბერს იწყება, დავით საყვარელიძის გუნდი პირველ მატჩში „მოლოის" კოლეჯს შეხვება. „ჰემილტონის" კოლეჯის გუნდში აღარ ირიცხება **გიორგი ჩავლეიშვილი**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჰაღათბურთი

ქართველები ევროთასეგზე

მარკოიშვილი კიევშიც ლიდერია

ულეგბის თასის მეორე ტურში **მანუჩარ მარკოიშვილის** „კიევმა“ რიგის ასკ-ს უმასპინძლა, 79:67 დაამარცხა და H ჯგუფში ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

სათაურის შემდეგ სიტყვა ლიდერი მესამედ უნდა ვიხმაროთ, რადგან რიგის ასკ-სთან შეხვედრაში მანუმ კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა წამყვანი კალათბურთელისთვის საჭირო თვისებები. ამას „კიევის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მიმოხილვაც ადასტურებს:

„ულების თასის სასტარტო ტურში უკრაინელებმა გასვლაზე „ბენეტონი“ დაამარცხეს, ხოლო რიგელებმა - ბულგარული „აკადემიკი“. აქედან გამომდინარე, მეორე ტურის მატჩს ორივე გუნდი პასუხისმგებლობით მიუდგა და საინტერესო დაპირისპირებაც ვიხილეთ.

პირველ მეოთხედში მასპინძელთა უკანახაზელებმა კარგად ამოკეტეს მონინააღმდეგე თანაამპლუელები, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს ასკ-ს მეფარეებს. ამიტომ თავიდან „კიევი“ მდევრის როლით კმაყოფილდებოდა.

უკრაინელთა სლოვენიელმა მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა პირველ წუსვენებაზე სნორი ტაქტიკური გადაადგილებები გააკეთა და მეორე ათწუთიულში მანუჩარ მარკოიშვილმა სნაიპერ დენი ბროილსს გადაუკეტა ჟანგბადი, ხოლო მარკუს ფეიისონმა - ერიკ სანდერსს. ამან შედეგი უმალ გამოიღო და პირველი ტაიმი „კიევმა“ 41:40 მოიგო.

მესამე პერიოდში სტუმრებს ჯეტერის, დროზდოვისა და მარკოიშვილის შეჩერებისთვის ძალა არ აღმოაჩნდათ. სწორედ მანუჩარის ეფექტური ზემოდან გდების შემდეგ მასპინძლებმა ყველაზე დიდი, 12-ქულიანი სხვაობა დააფიქსირეს.

მესამე ათწუთეული უკრაინელებმა ანგარიშით 20:8 მოიგეს და ბოლო პერიოდს ფორმალური სახე მისცეს.

მატჩის შემდეგ „კიევის“ თავკაცმა ტომო მაჰორიჩმა აღნიშნა, რომ ფარქვეშ შექმნილი პრობლემები აქცენტის პერიმეტრზე გადატანის ბრალი იყო. ხოლო, როცა მისი შეგირდები დანყნარდნენ, არც რიგელი უკანახაზელების შეჩერება გასჭირვებიათ, არც - მაღლების.“

როგორც ხედავთ, მანუს უკრაინაშიც მეტოქე სნაიპერების შეჩერება უწევს და გადამწყვეტ მომენტში არც შეტევაში აქტიურობას ერიდება. მისი მონაგარიც დამაჯერებელია: 29 წუთში 12 ქულა(2-დან 2 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 3 მოხსნა და 2 პასი. ქართველი მარგი ქმედების კოეფიციენტით(13) მხოლოდ არტურ დროზდოვს(15) ჩამორჩა. მატჩის სნაიპერი კი 17 ქულით იუჯინ ჯეტერი გახდა.

ვიდრე ულების თასზე H ჯგუფის სატურნირო მდგომარეობას გაგაცნობდეთ, ერთ უკრაინულ ამბავსაც გეტყვით: რუსთავის „აზოტიდან“ ნასვლის შემდეგ სერბი **ბოიან მალუშევიჩი** (იგი ქვემოქართლელებთან ერთად გასულ სეზონში საქართველოს ჩემპიონი გახდა) „სუმიხიმპრომში“ ჩაირიცხა, მაგრამ ამ უკრაინულ კლუბში ფეხი ვერ მოიკიდა და გუშინწინ გუნდის დატოვება მოუწია, ვნახოთ ისევ საქართველოში დაბრუნდება, თუ...

ვაჟა სიმონიშვილი

მანუჩარ მარკოიშვილი

H ჯგუფი

II ტური

კიევი(უკრაინა)- ასკ (ლატვია) 79:67
აკადემიკი (ბულგარეთი)- არტლანდი (გერმანია) 109:65
პო ორტეზი (საფრანგეთი)- ბენეტონი (იტალია) 89:84

	თ	მ	ნ	ქ
1. კიევი	2	2	0	4
2. აკადემიკი	2	1	1	3
3. ასკ	2	1	1	3
4. პო ორტეზი	2	1	1	3
5. არტლანდი	2	1	1	3
6. ბენეტონი	2	0	2	2

ბალტიისპირეთი

როკერებს დიდი გული ესტონელებთან აქვთ

ლიტვა-ლატვია-ესტონეთის გუნდები ბალტიის ლიგის მატჩებს შაბათ-კვირას მართავენ, ხოლო შიდა ჩემპიონატის შეხვედრებისთვის შუა კვირაში იცლიან.

გიორგი ცინცაძის „ტარტუ როკი“ ბალტიის თასზე შინ ლატვიის „ბარონსთან“ განცდილი მარცხის შემდეგ ესტონეთის ჩემპიონატის მე-9 ტურის მატჩში „კოკუს“ დაუპირისპირდა და საკუთარი ქომაგის წინაშე რეაბილიტირებაც მოახერხა. „როკერებმა“ მეტოქეს 90:56 სძლიეს.

„ტარტუს“ გამარჯვებაში მთავარი „დამნაშავე“ ამერიკელი **ბაიან კუსვორსი** იყო, რომელმაც მეტოქეს 20 ქულა „უძღვნა“ (18 წუთში). შედარებით მოკრძალებულია გიორგი ცინცაძის მონაგარი, მაგრამ ურიგო მაინც არ ეთქმის: 18 წუთში 10 ქულა, 4-4 მოხსნა-პასი და 1 ჩაჭრა. ბუმ თვით კუსვორსისთვის შესაშური სიზუსტით ისროლა - 4-დან 3 ორქულიანი ტყორცნა გამოიყენა, ხოლო თითო საჯარიმო და სამქულიანი 100-პროცენტიანი სიზუსტით ესროლა.

9 ტურის შემდეგ ესტონეთის პირველობის სატურნირო ცხრილს სათავეში უდანაკარგო „კალევი“ უდგას. „ტარტუ როკი“ 8 მოგებითა და 1 წაგებით მეორეა.

ლიტვის ჩემპიონატში საშუალო დონის გუნდად ითვლება **სერგო ათუაშვილის** „ალიტუსი“. ბოლო ტურში სერგოს თანაგუნდელებმა „სუდოვას“ უმასპინძლეს და 15 ქულის სხვაობით დაამარცხეს - 96:81.

სერგო ათუაშვილი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე მხოლოდ 6 წუთი დაჰყო. დროის ამ მცირე მონაკვეთში 223 სმ. სიმაღლის ქართველმა ცენტრმა 2 ორქულიანი ააცილა და მოედანი უქულოდ დატოვა. ამის მიუხედავად მატჩი მაინც დადებითი ბალანსით დაასრულა - 3 მოხსნა ჩაიწერა.

6 ტურის შემდეგ ლიტვის ჩემპიონატს ორი დაუმარცხებელი ლიდერი ჰყავს - „რიტასი“ და „ჟალგირისი“. „ალიტუსს“ ერთითი ნაკლები, 5 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 2 მოგებით მეექვსე ადგილზეა. ლიტვის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 10 გუნდი თამაშობს.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

გიორგი ცინცაძის (8) შეტევა

დავით უგრეხელიძე

უგრე უკვე ვარჯიშობს

ქარმუულ კალათბურთში კარგად ჩახედულ მკითხველს ლეგიონერთა მონაგარის გადახედვისას შეიძლება უკვირს, რატომ არაფერს ვამბობთ **დავით უგრეხელიძეზე**. იგი ბოსნიურ „ბორაჩ ნექტარში“ სექტემბერში ჩაირიცხა, მას შემდეგ მხოლოდ ის დავწერეთ, რომ დათო გუნდს კარგად მოერგო და ხელმძღვანელობამ ბინაც გამოუყო.

ბოსნიის ჩემპიონატის დაწყებიდან დღემდე ხუთმა ტურმა ჩაიარა, მაგრამ არც ერთ მატჩში უგრეს მონაწილეობა არ მიუღია. ამის მიზეზი საპატიო, მაგრამ სამწუხაროა - დათომ ოქტომბერში ერთ-ერთი ამანაგური მატჩისას მუხლი დაიზიანა და იძულებითმა მკურნალობამ სამი კვირა გასტანა.

დღევანდელი ინფორმაციით, ქართველმა ცენტრმა ვარჯიში უკვე განაახლა და „ბორაჩ ნექტარის“ შემადგენლობაში მის გამოჩენას უახლოეს მატჩებში უნდა ველოდოთ.

ეს, რაც შეეხება დავით უგრეხელიძეს, ახლა მის კლუბზე. ნექტარელებმა საწყის სამ ტურში სამი გამარჯვება ჩაინერეს, თუმცა, ბოლო ორ შეხვედრაში შედარებით ძლიერი მეტოქეები ერგოთ და ორივე მატჩი წააგეს.

ასე რომ, 5 ტურის შემდეგ 3 მოგებით „ბორაჩ ნექტარი“ სატურნირო ცხრილში მესამე პოზიციაზეა. პირველია „ბოსნაა“, მეორე - „სლობოდა“.

თბილისი

ნოდარ ჯორჯიკია. დაიბადა 15.11.1921, ქუთაისი. კალათბურთი (188 სმ). თამაშობდა თბილისის უნივერსიტეტში (1941-მდე), თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდსა (1944-49) და თბილისის „დინამოში“ (1950-55), იყო სსრკ ნაკრების წევრი (1947-52). 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (1947), მსოფლიოს სტუდენტურ თამაშებში გამარჯვებული (1949), სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1944, 46, 50, 53, 54), მეორე (1945) და მესამე (1952) პრიზიორი, სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1950, 51) და ფინალისტი (1953), 1954 წლის სსრკ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავენ სახელოვან ვეტერან კალათბურთელს ნოდარ ჯორჯიკიას.

სეოკ-ში ემზადებიან

როგორც ცნობილია, ამას წინათ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე სეოკ-ის ყოველწლიური სესიის გამართვა 14 დეკემბრისთვის გადაწყდა. სესიისთვის მზადება კარგა ხანია დაიწყო და, როგორც ეს ტრადიციულად იყო, ყველაფერი კეთდება ყრილობებს შორის სეოკ-ის ამ უმაღლესი ორგანოს მაღალ დონეზე ჩასატარებლად. მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები ეროვნულ ფედერაციებთან, ზუსტდება საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის ამ სათაო ორგანიზაციაში ფედერაციების კვოტით განსაზღვრულ პერსონალურ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საკითხები.

განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო სესია გაიმართება 2007 წლის 14 დეკემბერს, 12 საათზე, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ (თავისუფლების მოედანი, 4). სესიის მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათზე.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ფორმულა 1

პემილტონი კიმის მისტირის

2007 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, ბრიტანელმა **ლუის ჰემილტონმა** გულახდილი ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას. კერძოდ, „მაკლარენის“ პილოტმა მისთვის იდეალურ პარტნიორად ამ სეზონის ტრიუმფატორი, „ფერარის“ ფინელი ავტომრბოლი **კიმი რაიკონენი** დაასახელა.

„კარგი იქნებოდა, ჩვენს გუნდში კიმი რომ ირიცხებოდეს, მაგრამ სამწუხაროდ მას „ფერარისთან“ კონტრაქტი აკავშირებს“, - განაცხადა ახალგაზრდა ბრიტანელმა და იქვე დაამატა, რომ ორი მთავარი თვისება, რაც მის პოტენციურ თანაგუნდელს უნდა გააჩნდეს, ეს არის ნიჭი და ძლიერი კონკურენციის განევის უნარი.

სხვათა შორის, ჰემილტონმა ამ ინტერვიუში ერთხელაც არ ახსენა თავისი აწ უკვე ყოფილი თანაგუნდელი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო**. თუ ნიჭსა და კონკურენტუნარიანობაზე მიდგა საქმე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ამ მხრივ პრობლემები ნამდვილად არ ჰქონია.

პოკერი

ვარსკვლავები ახალი ბოინგით იფრენენ

კარგი საჩუქარი გაუკეთა თავისი გუნდის წევრებს „დალას სტარზის“ მფლობელმა **ტომ ჰიქსმა**. NHL-ის კლუბის მეპატრონემ ჰოკეისტებს ახალი „ბოინგ-757“ უყიდა. „ვარსკვლავები“ სწორედ ამ თვითმფრინავით იფრენენ რეგულარული ჩემპიონატის გასვლით მატჩებზე.

„ბოინგში“ 71 მგზავრი ეტევა. იქ განთავსებულია 24 ისეთი სავარძელი, რომელიც ბოლომდე იშლება და მას საწოლის ფუნქციის შესრულება შეუძლია.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან „დალასი“ ის გუნდია, რომელიც ყველაზე მეტ დროს ატარებს ჰაერში. თვითმფრინავი ჩვენს გუნდს არამარტო კომფორტულობისა და სისწრაფის მხრივ აძლევს უპირატესობას, არამედ ეს თავისუფალი აგენტების მოზიდვის მხრივაც კარგი საშუალება იქნება“, - აცხადებს „სტარზის“ გენერალური **დუგ არმსტრონგი**.

კლუბის ხელმძღვანელობამ გამოთვალა, რომ რეგულარული სეზონის განმავლობაში, „დალასი“ ჰაერში 112 საათს ატარებს და 16-ჯერ ბრუნდება შინ გასვლითი მატჩის შემდეგ.

30 წლის შემდეგ ნაპოვნი პრიზი

მყვინთავებმა მექსიკის ყურეში საინტერესო ნივთი იპოვნეს. ეს გახლავთ ბეჭედი, რომელიც ტრადიციულად სტენლის თასის მფლობელ ჰოკეისტს გადაეცემა.

თავის დროზე, ეს პრიზი „ტორონტო მეიპლ ლიეზის“ ჰოკეისტს **ჯიმ პაპენს** ეკუთვნოდა და ის ჯერ კიდევ 1967-68 წლების სეზონში იყო მოპოვებული. მაშინ „ტორონტო“ სტენლის თასს დაეუფლა, ხოლო პაპენი პლეიოფში დაგროვებული 15 ქულით გუნდის ლიდერი იყო.

ამის შემდეგ, ჰოკეისტი „ჩიკაგოში“ გაუშვეს, რის გამოც ისე განაწყენდა, რომ თავისი საჩემპიონო ბეჭედი სიმამრს აჩუქა. ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ, ეს ჯილდო დაახლოებით 30 წლის წინ, ზღვაში ცურვის დროს დაკარგა.

ოლიმპიზმი

ჩინელმა პაკერმა პეკინი მოაგყუა

პეკინის ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ ვებ-გვერდს საკუთარი კლონი ჰყავს.

კომპიუტერის სპეციალისტმა, 20 წლის **ლიაო პეიგუიმ** ინტერნეტში პეკინი 2008-ის ოფიციალური საიტის კლონი შექმნა. ჰაკერი იმდენად გათავხედდა, რომ ამ ვებ-გვერდის სტუმრებისთვის ფულადი პრიზების გათამაშება მოაწყო და მათი მონაწილეები დაარწმუნა, რომ გათამაშებამდე მათ გარკვეული თანხა უნდა გადაერიცხათ მის ანგარიშზე.

ამ აქციით ნორჩმა ჰაკერმა 50 ათასი დოლარის შეგროვება მოასწრო, მაგრამ ამ ფულის გამოყენება არ დასცალდა. პეიგუის ტყუილი გამოაშკარავდა და ჰაკერი ჩინეთის პოლიციამ დააკავა.

ცურვა

10 წლის გოგო ლა მანშს გადაცურავს

ჩინელი **ჰუან ლი** მზად არის თავისი ოცნების ასასრულებლად ყველანაირ მსხვერპლზე წავიდეს. ეს ოცნებაა ცურვით ლა მანშის სრუტის გადალახვა.

10 წლის გოგონა ყოველდღიურად სამ საათს ატარებს ჩინეთის სამხრეთ პროვინცია იუნანში გამავალი მდინარე სიანის გაყინულ წყალში, თანაც ამას შეკრული ფეხებითა და ხელებით აკეთებს.

ლის ვარჯიშებს გულისყურით ადევნებს თვალს მისი მამა, **ჰუან დაოშენი**. ამ უკანასკნელს ყოველი მეცადინეობის შემდეგ, საკუთარი ხელებით ამოჰყავს წყლიდან არაქათგამოცლილი გოგონა.

გერმანული სპორტი

გერმანელი ვარსკვლავები კონსტიტუციის შეცვლას ითხოვენ

სახელმწიფომ სპორტს მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს. ცნობილი გერმანელი სპორტსმენების აზრით, ეს თეზისი გერმანიის კონსტიტუციაში უნდა იქნეს შეტანილი.

ამ წინადადებით გამოვიდნენ გერმანული სპორტის ვარსკვლავები - **ფრანც ბეკენბაუერი, ლოთარ მათეუსი, მატიას ზამერი, კლაუდია პეხშტაინი, კატი ვილჰელმი, როზი მიტერმაიერი** და სხვები. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სპორტის განვითარება არამარტო ადამიანების ჯანმრთელობის შენარჩუნებას უწყობს ხელს, არამედ დადებითად მოქმედებს მთელი საზოგადოების მდგომარეობაზე.

სპორტსმენებს მხარს უჭერენ გავლენიანი პოლიტიკური ძალები - სოციალ-დემოკრატები, თავისუფალი დემოკრატები, მწვანეები, მემარცხენე პარტიათა წარმომადგენლები. იმისთვის, რომ გერმანიის კონსტიტუციაში ცვლილებები შევიდეს, ბუნდესტაგის დეპუტატთა ორი მესამედის მხარდაჭერაა საჭირო. ჯერ-ჯერობით, ხმების საკმარისი რაოდენობა არ გროვდება, ვინაიდან ქვეყნის მმართველი ბლოკი (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი და ქრისტიანულ-სოციალური კავშირი) სკეპტიკურად უყურებს სპორტსმენთა ამ ინიციატივას.

გოლფი/ფორმულა 1

ბურთმა BMW-ს გაასწრო

შეუძლია თუ არა გოლფის ბურთმა სპორტულ მანქანას გაასწროს? ამის გარკვევა სცადეს ამერიკაში, გოლფის ერთ-ერთი პროფესიული ტურნირის ორგანიზატორებმა.

მათ ტრასაზე გამოიყვანეს ავტომობილი BMW M5, მოტოციკლი BMW K1200 და პროფესიონალი ამერიკელი გოლფისტი **სტიუარტ სინკი**. ამ უკანასკნელს გოლფის ყვანჯით ბურთისთვის მაქსიმალური აჩქარება უნდა მიენიჭებინა.

სამი ცდის ჯამში, შეჯიბრებაში ადამიანმა (უფრო სწორედ ბურთმა) გაიმარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები NBA-ში

დიდი ვაშლი შიგნიდან დალპა



სტეფონ მარბერი

“ედიზონ სკვერ გარდენის” მომსახურე პერსონალმა “ნიქსის” ერთ-ერთი ლიდერი, **სტეფონ მარბერი** დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ორ უცნობ სუბიექტთან ერთად იხილა. ჩვეულებრივი მოვლენაა და არც არავისი საქმეა, თუ სად და ვისთან ერთად ატარებს დროს რომელიმე მოთამაშე, მაგრამ ეს ამბავი იმ უბრალო მიზეზით გახდა აქტუალური, რომ ამ დროს ფინიქსში “ნიქსი” “სანზს” ხვდებოდა და წესით, მარბერი გუნდთან ერთად უნდა ყოფილიყო.

სტეფმა შეტყობინება გაუგზავნა “ნიუ იორკ პოუსტის”, რომ ნიუ იორკში გადაფრენის ნებართვა “ნიქსის” მთავარი მწვრთნელიოსგან, **აიზია ტომასისგან** მიიღო, რაზეც ამ უკანასკნელმა მხრები აიჩეჩა, ვერაფერს გეტყვით, რადგან ასეთი საკითხები გუნდშივე უნდა გაირკვესო.

მარბერი გუნდს არც მომდევნო შეხვედრაში (“კლიპერსთან” გასვლაზე) შეუერთდება. ამის შესახებ კი უკვე თავად ტომასმა განაცხადა.

აღნიშნულ ფაქტამდე რამდენიმე დღით ადრე, აიზიამ საჯაროდ შეაქო გუნდის უკანახაზელი **ნეიტ რობინსონი** და აღნიშნა - ამ ბიჭს უახლოეს მომავალში სათამაშო დრო უნდა გავუზარდოო. რობინსონი ფლეიმეიქერია, რაც თავისთავად, მარბერის დროის შეკვეცას ნიშნავს. სტეფონმა აიზიას კომენტარს მოკლედ უპასუხა, ორი წლის წინ აღვნიშნე, რომ მსოფლიოში საუკეთესო გამთამაშებელი ვარ და ახლაც ასე მგონიაო.

შეიძლება, ტომასის განცხადებას არც არაფერი გამოენვია, მაგრამ იმავე დღეს “პორტლენდის” ახალნვეულმა, წარსულში “ნიქსის” წევრმა, ფორვარდმა **ჩეინინგ ფრაიმ** აღნიშნა; “ნიქსს” მარბერი რომ მოეცილებინა, გუნდი ფლეი ოფში ულაპარაკოდ გავიდოდაო. მერე კი მარბერის უცნაური გაუჩინარება მოხდა.

“დიდი ვაშლის”, იგივე ნიუ იორკის სპორტულ მედიაში მომხდარმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა და ეგრევე ჩატარდა გამოკითხვა, რომლის აზრიც შემდეგი იყო – უნდა დარჩეს თუ არა სტეფონ მარბერი “ნიქსში”?

ჰოდა, გამოკითხულთა 62-მა პროცენტმა სტეფონი გასაშვებად გაიმეტა, ხოლო მის “ნიქსში” დარჩენას კი მხარი მხოლოდ 24-მა პროცენტმა დაუჭირა.

დანარჩენებმა ამ ფაქტს გუნდის მომავლისთვისა და პერსპექტივისთვის უმნიშვნელო უწოდეს.

აიზიამ “ფინიქსთან” წაგებული შეხვედრის მერე განაცხადა, მე და სტეფონს ჩემი “ნიქსის” პრეზიდენტობისას უფრო უშუალო, მშვიდი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ მთავარ მწვრთნელადაც რომ მე დამნიშნეს, ყველაფერი ავტომატურად უნდა შეცვლილიყო, რადგან მოთამაშისადმი მეტად მომთხოვნი გავხდიო.

“ვერ გეტყვით, შეიძლება იგი (სტეფონი) ჩვენი ურთიერთობითაა უკმაყოფილო და არც იმას გამოვრიცხავ, რომ მარბერის მართლა გადაუდებელი საქმე ჰქონდა. ფაქტია, რომ ყველაფერი მალევე უნდა გაირკვეს, რადგან გაურკვევლობა ისევ და ისევ გუნდს ავნებს”, - მიაჩნია აიზიას.

მისი გუნდი კი მზიან არიზონაში მარბერისთან თუ მის გარეშე, მაინც განწირული იყო წასაგებად. “ნიქსს” არც ამჯერად ჰყოლია **ზაკ რენდოლფი**, ბოლო წამს კი გუნდს **კვენტინ რიჩარდსონიც** გამოაკლდა და მასპინძლებმაც სულ თამაშ-თამაშით, დაუძაბავად მიიყვანეს საქმე დაგეგმილ მოგებამდე, **ამარე სტაუდმაიერმა** კი მიმდინარე რეგულარულში თავისი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა.

სტივ ნეშმა თამაშიდან ბედი მხოლოდ ექვსჯერ სცადა და **მაიკ დენტონიმ** თავისი ვარსკვლავურ ფლეიმეიქერი მოედანზე სულ რაღაც 33 წუთით გააჩერა. კანადელმა თამაშიდან პირველი სროლა ძირითადის დასრულებამდე 10 წუთით ადრე გამოიყენა.

“ლეიკერსისა” და “სან ანტონიოს” შეხვედრაში კი ბევრი უცნაური ამბავი მოხდა.

კობი ბრაიანტის პერსონალურმა მეურვემ **ბრიუს ბოუენმა** ექვსივე სამიანი გამოიყენა, კარიერაში მეოთხედ გააკეთა კობიზე მეტი ქულა და ვარსკვლავი ოპონენტი “მხოლოდ” 18 ქულას დააჯერა.

ტიმ დანკანმა კატასტროფულად შეასრულა სროლები და 13-დან მხოლოდ 2 გამოიყენა. “სპურსის” ვარსკვლავს ოთხჯერ (!) დაუფარეს და მის ანგარიშზე მხოლოდ 5 მოხსნა მოვიდა.

ტონი პარკერმა კი, რეგულარულის დაწყებიდან ზედიზედ მერვე მატჩში დააგროვა 15 ქულაზე მეტი და ამით გუნდური წინა მიღწევა გაიმეორა.

მაგრად მოუმატა **დარკო მილიჩიჩმა**, რომელსაც წელს კარიერაში საუკეთესო სეზონი უნდა ჰქონდეს.

“ჰიუსტონთან” და მის ჩინელ გიგანტ **იაო მინთან** ჯახში, დარკომ და **პაუ გასოლმა** ტეხასელთა ვარსკვლავს მაქსიმალურად შეუზღუდეს სივრცე და მილიჩიჩმა შეტევაშიც სარგებლიანად იბურთავა.

“როკეტსი” მარცხისგან ვერც ტრეისი მაკგრეიდის კიდევ ერთმა ბრწყინვალე მატჩმა იხსნა, ხოლო გასოლმა კი 17 საჯარიმოდან მხოლოდ სამის გამოყენება ვერ მოახერხა.

ისიც საგულისხმოა, რომ გუნდებმა ჯამში 30 სამიანიდან მხოლოდ 5 ჩააგდეს, ხოლო არგენტინელმა **ლუის სკოლამ** კი მორიგი უსახური შეხვედრა ჩაატარა – 22 წუთი, 6 ქულა და 4 ფოლი.

ზურაბ თალაკვაძე

შარლოტი-მაიამი 91:76

17:12, 23:23, 31:12, 20:29

შარლოტი: ჯ. უოლასი (19 ქ. 7 მ), ჯ. რიჩარდსონი (18 ქ. 8 მ), ოკაფორი (13 ქ. 10 მ. 2 ჩ), კეროლი (10 ქ).

მაიამი: შ. ონილი (17 ქ. 6 მ. 2 დ), ჰასლემი (10 ქ. 7 მ).

ინდიანა-ბოსტონი 86:101

24:26, 19:26, 22:24, 21:25

ინდიანა: გრეინჯერი (24 ქ. 7 მ), ტინსლი (14 ქ. 8 პ), ჯ. ონილი (10 ქ. 9 მ).

ბოსტონი: პირსი (31 ქ. 11 მ. 6 პ. 2 ჩ), გარნეტი (18 ქ. 11 მ. 3 ჩ. 2 დ), რ. ალენი (17 ქ).

ორლანდო-სიეტლი 103:76

28:14, 21:22, 36:20, 18:20

ორლანდო: რ. ლიუისი (22 ქ. 6 მ), თურქოღლუ (17 ქ), ბოგანსი (16 ქ. 7 მ), დ. ჰოვარდი (13 ქ. 12 მ. 3 დ), არიზა (11 ქ. 11 მ).

სიეტლი: კოლისონი (15 ქ. 6 მ), ჯ. გრინი (12 ქ. 7 მ), დიურანი (10 ქ).

მემფისი-პიუსტონი 105:99

25:28, 24:25, 31:26, 25:20

მემფისი: გასოლი (26 ქ. 6 მ), მილიჩიჩი (20 ქ. 6 მ. 2 ჩ. 2 დ), მ. მილერი (17 ქ. 7 მ. 6 პ), გეი (15 ქ).

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (41 ქ. 4 მ. 2 ჩ), მინი (22 ქ. 7 მ), მ. ჯეიმსი (10 ქ).

დალასი-ფილადელფია 99:84

21:22, 22:28, 33:18, 23:16

დალასი: ტერი (25 ქ), ნოვიცკი (21 ქ. 12 მ. 8 პ. 3 დ), ჯოშ ჰოვარდი (18 ქ), დიოპი (2 ქ. 10 მ. 3 დ).

ფილადელფია: დალემბერი (18 ქ. 7 მ), უ. გრინი (16 ქ), იგუოდალა (15 ქ. 12 მ. 8 პ), ა. მილერი (12 ქ. 5 პ. 2 ჩ), კორვერი (10 ქ).

სან ანტონიო-ლეიკერსი 107:92

21:15, 33:23, 25:24, 28:30

სან ანტონიო: ტ. პარკერი (26 ქ. 9 პ), ბ. ბოუენი (23 ქ), ჯინობილი (17 ქ. 5 პ. 2 ჩ), ბონერი (15 ქ. 4 პ), ფინლი (10 ქ).

ლეიკერსი: ბრაიანტი (18 ქ. 9 მ. 5 პ. 3 დ), ფარმარი (16 ქ), ოდომი (12 ქ. 6 მ. 4 პ), ბინუმი (11 ქ. 12 მ), უოლტონი (10 ქ).

ფინიქსი-ნიუ იორკი 113:102

34:29, 29:22, 24:21, 26:30

ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (26 ქ. 13 მ. 4 დ), მერიონი (23 ქ. 7 მ. 2 ჩ), ბარბოსა (23 ქ. 3 ჩ), გ. ჰილი (21 ქ), ნეში (5 ქ. 12 პ).

ნიუ იორკი: ჯ. კროუფორდი (21 ქ. 4 პ), ფ. ჯოუნსი (19 ქ. 9 მ. 3 ჩ), ნ. რობინსონი (18 ქ. 5 პ), კარი (17 ქ. 8 მ).

პორტლენდი-დეტროიტი 102:94

22:27, 28:26, 24:21, 28:20

პორტლენდი: ოლდრიჯი (22 ქ. 10 მ), როი (20 ქ), ჯეკი (20 ქ), ტ. აუთლო (13 ქ), პრაიბილა (8 ქ. 10 მ).

დეტროიტი: პრინსი (20 ქ. 6 მ), ბილაპსი (19 ქ. 9 პ. 2 ჩ), რ. უოლასი (15 ქ. 6 მ. 4 პ), რ. ჰამილტონი (14 ქ. 7 მ).

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

სენტ ლუისი-დეტროიტი 4:3

0:2, 4:0, 0:1

გოლები: 0:1 დაციუკი-3 (ფილპულა-4, კრონვალი-3), 0:2 კლირი-6 (ჰუდლერი-4, კრონვალი-4), 1:2 ტკაჩუკი-6 (სტემნიაკი-8, ე. ჯონსონი-2), 2:2 პერონი-3 (ვაგნერი-5, ბრიუერი-1), 3:2 პერონი-4 (ვაგნერი-6, ტკაჩუკი-9), 4:2 მაიერსი-3 (რუჩინსკი-7, ე. ჯონსონი-3), 4:3 ფილპულა-3 (ჰუდლერი-5, რაფალსკი-12).

ატლანტა-ფლორიდა 3:2 (ოვ)

0:1, 1:0, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 პეტერსონი-4 (უეისი-10, ბუტი-2), 1:1 ტ. უაიტი-4 (კოვალჩუკი-9, მარიან ჰოსა-5), 1:2 ბუტი-4 (ბოუმისტერი-4, მეზეი-1), 2:2 მარიან ჰოსა-7 (კოვალჩუკი-10, ენსტრიომი-6), 3:2 კოვალჩუკი-15 (ტ. უაიტი-7).

ტორონტო-მონრეალი 3:4 (ოვ)

0:1, 2:1, 1:1, 0:1

გოლები: 0:1 მარკოვი-6 (სმოლინსკი-5, კოვალიოვი-6), 1:1 უელუდი-1 (ტლუსტი-2, ი. უაიტი-4), 2:1 უელუდი-2 (სუნდინი-16, მაკეიბი-3), 2:2 კოსტსიცინი-2 (კოვალიოვი-7, პლეკანეცი-9), 3:2 დეგერო-3 (ი. უაიტი-5, ბელი-1), 3:3 კოვალიოვი-9 (პლეკანეცი-10, შტრაიტი-6), 3:4 კომისარეკი-2.

კალგარი-მინესოტა 3:2

1:0, 0:0, 2:2

გოლები: 1:0 ფანოფი-4 (ტანგეი-15, ჰუსელიუსი-8), 1:1 მ. კოივუ-4 (პერიში-2, კ. იონსონი-5), 1:2 მ. კოივუ-5 (ნუმელინი-4, ფოსტერი-4), 2:2 იგინლა-11 (კონროი-3, კიპრუსოფი-1), 3:2 ჰუსელიუსი-8 (ლენგკოუ-10, ერიქსონი-3).

ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი 4:3 (ბ)

2:1, 1:0, 0:2, 0:0

გოლები: 1:0 გეტცლაფი-6 (პრონგერი-13, შნაიდერი-6), 2:0 მარჩანტი-2 (დ. მილერი-2, ე. მაკდონალდი-7), 2:1 პრისინგი-1 (დ. არმსტრონგი-8, ფროლოვი-12), 3:1 ჰასკინსი-2 (ბოშემენი-6, გეტცლაფი-12), 3:2 მოულსონი-2 (ფროლოვი-13, მოდრი-3), 3:3 კამალერი-12 (ვიშნოვსკი-12, ფროლოვი-14).

ბულიტები გაიტანეს: პერი (ანაჰაიმი), ე. მაკდონალდი (ანაჰაიმი).

მასტერსის თასი

ფედერერმა დავიდენკო მეათედაც დაამარცხა

მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** ჯერაც არ დაუკარგავს მასტერსის თასის მეოთხედ მოპოვების შანსი. ტურნირის პირველ შეხვედრაში ჩილელ **ფერნანდო გონსალესთან** წაგების შემდეგ, ფედერერმა იოლად მოუგო რუს **ნიკოლაი დავიდენკოს** და წითელი ჯგუფის ცხრილში მეორე ადგილზე დამკვიდრდა, რაც მას ნახევარფინალში გასვლის შანსს აძლევს.

ფედერერმა თავისი მეორე შეხვედრაც მისთვის უჩვეულოდ დაბალ დონეზე ჩაატარა, თუმცა ესეც საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ ცუდ ფორმაში მყოფი დავიდენკო დაემარცხებინა. ამ უკანასკნელმა ფაქტობრივად დაკარგა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი.

"რაღაც განსახვავებულ სიტუაციაში აღმოვჩნდი – წაგების შემდეგ ადრე არცერთ ტურნირზე არ მითამაშია. ეს ტურნირი იმითაცაა საინტერესო, რომ წაგების შემდეგაც შეგიძლია თამაში და ინარჩუნებ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს. ნიკოლაი მონინავე ოთხეულის ჩოგბურთელია და ბუნებრივია, რომ მის წინააღმდეგ თამაში ძალიან ძნელი იყო. საერთოდ, კაცების ჩოგბურთში ნებისმიერ დროს უნდა ელოდე სიურპრიზებს. მთელი სეზონი უკან გაქვს, დაღლილობა-ზოგყვება და რაც მთავარია, ყველა მუტოქე ძლიერია. ვიმედოვნებ, რომ პირველი თამაშის წაგება ვერ შემაჩერებს", - განაცხადა ფედერერმა, ვისაც აქამდე მასტერსის თასზე ჯგუფური ეტაპის არცერთი შეხვედრა არ წაეგო.

შეგახსენებთ, რომ დავიდენკოსთან შეხვედრის წინა დღეს, ფედერერს ოფიციალურად გადაეცა ატპ-ს ჩემპიონთა რბოლის ჩემპიონის თასი. მან ჩემპიონთა რბოლაში გამარჯვება ჯერ კიდევ ორი კვირით ადრე, მაშინ გაინაღდა, რაც ბაზელის ტურნირის ჩემპიონი გახდა.

შეხვედრის დასაწყისში, ფედერერი ბევრ შეცდომას უშვებდა. თუმცა, ამ მხრივ, არც მისი მეტოქე აკლებდა ხელს. მოკლედ, პირველ შვიდ გეიმში ვერცერთმა ბრეიკის აღება ვერ შეძლო. მერვეში კი შვეიცარიელმა როგორც იქნა გატეხა მეტოქე და 5:3 დაწინაურდა. თუმცა, მომდევნო გეიმშივე, კვლავ შეცდომების წყალობით, რუსს ხურდის დაბრუნების საშუალება მისცა. და მაინც, მეათე გეიმში ფედერერმა კვლავ გაიბრძოლა, ზედიზედ მეორედ აიღო ბრეიკი და სეტიც გამარჯვებით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ პირველ სეტში შვეიცარიელმ მაესტრომ 22 შეცდომა დაუშვა.

მეორე სეტში კი მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ვისაც დავიდენკო წინა ათივე შეხვედრაში დამარცხებული ჰყავდა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი თამაშის ხარისხი. განსაკუთრებით შედეგიანად მუშაობდა მისი ფორჰენდი, რისი წყალობითაც, მეოთხე გეიმში 3:1 დაწინაურდა. აქედან მოყოლებული, დავიდენკოს თამაშის შემობრუნების არანაირი შანსი არ მისცემია.

აღსანიშნავია, რომ რუს მეჩოგნეს უკვე დაგეგმილი აქვს, თუ რას გააკეთებს მას შემდეგ, რაც შანხაის ტურნირს გამოეთიშება (უკვე გამოეთიშა, მაგრამ კიდევ ერთი თამაში აქვს ჩასატარებელი). პირველ რიგში, მალდივის კუნძულებზე გამგზავრებას აპირებს, სადაც ერთ კვირას დაისვენებს, შემდეგ კი დევისის თასის ფინალისთვის მზადებას შეუდგება.

უნდა ითქვას, რომ მასტერსის თასზე ასპარეზობის პარალელურად, დავიდენკოს სპორტის საქმეთა სააპელაციო სასამართლოში ჰქონდა საქმე. მან ის 2000-დოლარიანი ჯარიმა გაასაჩივრა, რომელიც ატპ-მ არასაკმარისი გარჯის გამო, სანკტ პეტერბურგის ტურნირზე, ხორვატ **მარინ ჩილიჩთან** წაგების შემდეგ მიუსაჯა. სხვათა შორის, დავიდენკოზე არსებობს ეჭვი, რომ ის (შუამავლის მეშვეობით) თავის თამაშებზე ტოტალიზატორებში ფსონებს შედის. ეს ეჭვი მას შემდეგ წარმოიშვა, რაც ბრიტანულმა ტოტალიზატორმა "ბეტფაირმა" გამოაცხადა, რომ დავიდენკოზე არარეალურად ბევრი ფსონია შესული.

"სეზონის განმავლობაში ძალიან ბევრ ტურნირზე ვითამაშე, რამაც გამომფიტა როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურადაც. ჰოდა, სულაც არ მიკვირს, რომ შანხაიშიც და წინა ტურნირებზეც უხეიროდ ვითამაშე", - ფედერერთან წაგების შემდეგ, თავი იმართლა დავიდენკომ.



როჯერ ფედერერი

მეორე მტჩში კი ამერიკელმა **ენდი როდიკმა** გონსალესი დაამარცხა და პრაქტიკულად გაინაღდა ნახევარფინალში გასვლა. ფედერერის მძლეველი ჩილელი მეჩოგნის დასამარცხებლად ამერიკელმა სულ 65 წუთი იმყოფინა და მასტერსის თასის ნახევარფინალში მესამედ (ტურნირზე სულ მეოთხედ გამოდის) გავიდა.

დღეს ოქროს ჯგუფის ბოლო შეხვედრებია, რომლებშიც ერთმანეთის პირისპირ დადგებიან ესპანელი **დავიდა ფერერი** და ფრანგი **რიშარ გასკე**, ასევე ესპანელი **რაფაელ ნადალი** და სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**.

მერაბ ლორთქიფანიძე

ATP

მასტერსის თასი

შანხაი (ჩინეთი).
ქერქვეშა ტარაფლექსი
საპრიზო ფონდი: 4 450 000 დოლარი

წითელი ჯგუფი

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 6:4, 6:3
ენდი როდიკი (აშშ, 5)-ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 7) 6:1, 6:4

	თ	მ	ნ	ს-ბალ
1. ენდი როდიკი	2	1	1	3-2
2. როჯ. ფედერერი	2	2	0	4-1
3. ფერნ. გონსალესი	2	1	1	2-3
4. ნიკ. დავიდენკო	2	0	2	1-4

ოქროს ჯგუფი

	თ	მ	ნ	ს-ბალ.
1. დავიდ ფერერი	2	2	0	4-1
2. რიშარ გასკე	2	1	1	3-2
3. რაფაელ ნადალი	2	1	1	3-3
4. ნოვაკ ჯოკოვიჩი	2	0	2	0-4

ახალი სკანდალი

მაკლარენი ბრალს სდებს

სეზონის დასრულების შემდეგ, ფორმულა 1-ში ახალი სკანდალი გორდება - ინგლისური "მაკლარენი" თავისი ინტელექტუალური საკუთრების უნებართვო ფლობასა და გამოყენებაში ფრანგულ "რენოს" ადანაშაულებს, რომლის ბოლიდებითაც ზედიზედ ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ესპანელი **ფერნანდო ალონსო**.

"მაკლარენმა" კონკურენტი გუნდის წინააღმდეგ, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციაში (FIA) საჩივარი ჯერ კიდევ გასული სეზონის დასრულებამდე შეიტანა. ფედერაციის მსოფლიო მოტორსპორტის საბჭო ამ საჩივარს შეისწავლის და 6 დეკემბერს განიხილავს. რა თქმა უნდა, საქმის განხილვაზე მომჩივანი და მოპასუხე გუნდების ხელმძღვანელები არიან მიწვეულნი.

FIA-ს მონაცემებით, "რენოს" ხელში მოხვდა "მაკლარენის" ბოლიდის პროექტი, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი ავტომობილის ზომები, სხვადასხვა საკვანძო პარამეტრები და მისი დამზადებისათვის გამოყენებული ტექნოლოგია. ფრანგული გუნდი ასევე ფლობდა დაწვრილებით ინფორმაციას "მაკლარენის" ბოლიდის სანვავის მინდების სისტემაზე, გადაცემათა კოლოფის კონსტრუქციაზე, ზეთის გაგრილების სისტემასა და ჰიდრავლიკის პარამეტრების საკონტროლო სისტემაზე.

"მაკლარენის" ინიციატივით ჩატარებული გამოძიების მიხედვით, აღნიშნულ ინფორმაციაზე "რენოს" ხელი შარშან სექტემბრიდან მიუწვდება. უფრო მეტიც, ინგლისური გუნდი ირწმუნება, რომ გასულ სეზონში "რენო" მის საკიდარში გამოყენებულ ნოვაციებსაც ფლობდა.

შეგახსენებთ, რომ გასული სეზონი დაჩრდილა ანალოგიურმა სკანდალმა, რომელშიც "მაკლარენი" დამნაშავედ სცნეს "ფერარის" ტექნიკური ინფორმაციის არალეგალურ გამოყენებაში. ამ სკანდალის შედეგად, **რონ დენისის** გუნდი კონსტრუქტორთა პირველობიდან მოიხსნა და 100 მილიონი დოლარით დაჯარიმდა.

რაც შეეხება "რენოს", ამ გუნდმა შარშან კონსტრუქტორთა თასიც მოიგო და პილოტთა მსოფლიო ჩემპიონატიც. სამაგიეროდ, გასულ სეზონში მისმა პილოტებმა ერთი რბოლის მოგებაც ვერ შეძლეს. ფრანგულ გუნდს საერთაშორისო სპორტული კოდექსის ზუსტად იმ, მუხლით ედება ბრალი, რომლითაც "მაკლარენი" დაისაჯა.

ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ "რენო" "მაკლარენის" ტექნიკურ ინფორმაციას ფლობდა, ჯერ კიდევ მანამდე გაჟღერდა, სანამ ინგლისურ გუნდს სოლიდურ ჯარიმას დააკისრებდნენ. მაშინ ფია-ს პრეზიდენტი **მაქს მოსლი** აცხადებდა, რომ საქმის აღძვრამდე "მაკლარენისგან" შესაბამისი პროცედურის დაწყების მოთხოვნას დაელოდებოდა.

ორივე გუნდის შეთანხმებით, "მაკლარენის" ექსპერტებს "რენოს" კომპიუტერების რევიზიის უფლება მიეცათ. უნდა ითქვას, რომ "მაკლარენში" ყოველივეს შესახებ "რენოს" ყოფილი ინჟინრისგან გაიგეს, რომელიც ინგლისურ გუნდში სამუშაოდ გადავიდა.

კარგა ხანს, "რენოს" შეეფი **ფლავიო ბრიატორე** არ იჯერებდა, რომ ახალი საქმე "მაკლარენის" სკანდალის ანალოგიური იქნებოდა. თუ ვინმე მეტყვის, რომ ამ შემხთვევაშიც ანალოგიური რამ ხდება, მე მას ვუჩივლებო, - ამბობდა იტალიელი მენეჯერი.

ფრანგულ საჯინიბოში კონკურენტი გუნდის ინტელექტუალური საკუთრება "მაკლარენის" ყოფილმა ინჟინერმა მიიტანა, რომელიც იქ სამუშაოდ შარშან სექტემბერში გადავიდა. ბრიატორე აცხადებს, რომ როგორც კი მომხდარის თაობაზე ეჭვი წარმოიშვა, მან მაშინვე დაითხოვა ეს ინჟინერი, ვისი სახელიცაა **ფილ მაკერეტი**. ეს კი იტალიის დიდი პრიზის წინ მომხდარა.

"რენოში" აღიარებენ, რომ მაკერეტს მათთან მართლაც მიუტანია ინფორმაცია, რომელიც ფლოპი-დისკებზე ჰქონდა ჩაწერილი. მაგრამ ამ დისკებზე "მხოლოდ" ესკიზები და გარკვეული ტექნიკური ინფორმაცია ეწერა. გუნდის განმარტებით, აღნიშნული ინფორმაცია მაკერეტის პირად დირექტორიაში ჩაუწერიათ ისე, რომ ის არავის გადაუმოწმებია. ამასთან, როგორც კი ყოველივე ცნობილი შეიქნა, ფაილი მაშინვე წაშალეს.

ფრანგული გუნდი ირწმუნება, რომ მაკერეტის მიერ მიტანილი ინფორმაცია არავის გამოუყენებია. მითუმეტეს, რომ "მაკლარენის" კონკრეტული მონაცემები სრულიად არ შეესაბამება "რენოს" ბოლიდის საბაზისო მონაცემებს. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ "მასის დამცლელ" სისტემის (მას დამპერი) ნახაზებს, რომელიც მაკერეტმა "რენოში" მოიტანა, ეს სისტემა უფრო ადრე აიკრძალა, ვიდრე ინჟინერი ფრანგულ გუნდში გადავიდოდა.

"რენომ" ანალოგიური მოსაზრებით არ გამოიყენა საკიდრისი ნოვაციური კონსტრუქცია. არსებობდა ეჭვი, რომ ამ ტიპის სისტემაც არ შეესაბამებოდა ტექნიკურ რეგლამენტს. თუმცა, როცა ეს არგუმენტი მოჰყავს, "რენო" ირიბად ადასტურებს, რომ მაკერეტის მიერ გუნდში მიტანილი ინფორმაცია საფუძვლიანად იქნა განხილული.

მერაბ ლორთქიფანიძე

115 ნოემბერი. ხუთშაბათი

I არხი

22:45 არენა - სპორტული ტოქ-შოუ.

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:15 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-აღლუმი.
20:10 ზუსტი გათვლა.
20:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:50 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:00 ტოქ-შოუ - 2:1.
21:45 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
23:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:50 პირდაპირი ხაზი.
00:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:50 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 (უკრაინა)

08:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:12 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სტ. ლუისი-დეტროიტი.
12:02 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო.
13:47 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
14:14 ცურვა. მსოფლიო თასი. ფინალები. სტოკჰოლმი. შვედეთი.
16:19 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალიორკა.
18:02 ფეხბურთი. Barca TV.
18:10 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ცსკა-ოლიმპიაკოსი.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:45 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/2 ფინალი. რივერ პლეიტი-არსენალი.
22:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
23:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. პანათინაიკოსი-ბარსელონა (LIVE).
01:17 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:50 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. 1/2 ფინალი. ამერიკა-მილიონარიოსი.
03:35 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-რეინჯერსი (LIVE).
06:37 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
07:02 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.

EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
12:00 ავტოსპორტი. ტელეუნივერსალი.
12:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-ინგლისი.
14:00 სპიდვეი. ლატვიის გრან-პრი.
15:00 სპიდვეი. პოლონეთის გრან-პრი.
16:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.
16:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ფარერები-საფრანგეთი.
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შოტლანდია-უკრაინა.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ირლანდია-გერმანია.
19:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. დანია-ესპანეთი.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-ჰოლანდია.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. პორტუგალია-პოლონეთი.
22:00 სნუკერი. ჩრდილოეთ ირლანდიის ტროფი. ფინალი. ბელფასტი.
00:00 პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. ა. პოვეტკინი (რუსეთი)-კ. ბერდი (აშშ). ერფურტი. გერმანია.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სიუდადი (ესპანეთი)-ფლენსბურგი (გერმანია).
14:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ბოულინგი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ფინალი. რუსეთი.
18:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სიუდადი (ესპანეთი)-ფლენსბურგი (გერმანია).
19:00 მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
20:00 სუპერკროსი. მილანი. იტალია.
21:00 ექსტრემალური სპორტი.
22:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ირლანდია (LIVE).
23:00 ახალი ამბები.
23:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-სლოვენია.
00:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. კილი (გერმანია)-მონპელიე (საფრანგეთი).
02:15 ახალი ამბები.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-სლოვენია.
03:00 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

League Trophy

ბრაიტონი-ჩელსი ენეინი	4:1

ესპანეთის თასი

ვალიადოლიდი-მურსია	1:1
პონტევედრა-სარაგოსა	1:0
მალაგა-რასინგი	0:0
ხერესი-რეკრეატივო	0:1
ლევანტე-ალმერია	2:1
ლას პალმასი-ვილარეალი	2:2

შოტლანდია

I დივიზიონი

ლივინგსტონი-პარტიკი	0:4

სლოვაკეთის თასი

ბაბრანი-ბრნავა	0:1

პოლონეთი

ლიგის თასი

ვიკეი-ოაგლონია	0:2

კალათბურთი

ევროლიგა

ციმონა-მილანი	100:91
ცსკა-ოლიმპიაკოსი	88:79
ლეგეზეს რიგასი-პარისი	77:70
ვირტუსი-პროკომი	75:87
რეალი-პარტიზანი	75:64
რუანი-ულეერი	90:97

პოკერი

რუსეთი

ამური-ტრაქტორი	4:4 დ.დ (5:4)
მეგალურგი (ნ)-ლოდა	4:2
ავანგარდი-ხიმიკი	2:0
სიბირი-ს.-იულიაევი	2:7
დინამო-აკ ბარსი	3:1
ლოკომოტივი-ბორეფლო	4:3
მედ-ნეფტიხიმიკი	2:1
სევერსტალი-ცსკა	1:3
სპარტაკი-სკა	1:4
ვიტიაზი-მეგალურგი (მ)	1:5

ფინეთი

პიფა-იუვასკილა	2:2 დ.დ (3:2)
იოკერიტი-კაპა	4:3
ტპს-პელიკანსი	4:1

ჩეხეთი

ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე	2:0
ლიტვინოვი-პლზენი	2:2 დ.დ (3:2)
ზლინიმო-სლოვანი	4:0
კარლოვი ვარი-ელინი	3:2
სპარტა-ლიბერეცი	3:3 ბულ. (3:4)
ლიბერეცი-ბრნიანეცი	5:2

შვეიცარია

ფრიბურგი-ბერნი	2:5

ჩოგბურთი

ATP. შანხაი

ფედერერი-დავიდენკო 6:4, 6:3
როდიკი-გონსალესი 6:1, 6:4

მსოფლიო ჩემპიონი

ინკოგნიტო კიმი

გაიცანით მსოფლიოს ახალი ჩემპიონი კიმი რაიკონენი. **თქვენს სამსჯავროზეა რამდენიმე ფაქტი ფინელი პილოტის ცხოვრებიდან, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეს ფორმულა 1-ის გულშემატკივარმა. დასასრულს კი, გერმანულ გაზეთ "ბილდში" გამოქვეყნებული ინტერვიუს ფრაგმენტებსაც შემოგთავაზებთ.**

1. მსოფლიო ჩემპიონის სრული სახელი და გვარია - **კიმი მატიას რაიკონენი**. თუმცა, თუ ფინური ენის ყველა მოთხოვნას დავაკმაყოფილებთ, მისი გვარის ყველაზე სწორი ტრანსკრიპცია იქნება - რეიკიონენი. პილოტი ჰელსინკის დასავლეთით, პატარა ქალაქ ესპოში 1979 წლის 17 ოქტომბერს დაიბადა.

2. კიმიმ ძალიან გვიან დაიწყო ლაპარაკი. პირველი სიტყვა მან სამი წლის ასაკში წარმოთქვა. მანამდე, მისი პირადი თარჯიმანი უფროსი ძმა **რამი** იყო. თუ ოჯახურ მოგონებებს დავუჯერებთ, კიმის პირველი სიტყვები ყოფილა: *„მომეცი მოპედი!"* მანამდე ცოტა ხნით ადრე, მშობლებმა რამის ეს პატარა აგრეგატი უყიდეს, რამაც უმცროსი რაიკონენის დაინტერესება გამოიწვია.

3. სისწრაფისადმი კიმის ინტერესი ადრეული ასაკიდან გამოიხატა. ის და მისი ძმა ბაღში მოპედებით უმოწყალოდ ანადგურებდნენ ბალახსა და ყვავილებს, რითაც ძალიან ახარებდნენ ავტოსპორტის მოყვარულ ბაბუა **პაავოს**. *„ბაღი გადახნულ პოლიგონს ემსგავსებოდა. მოგვინია კიმისთვის შეძენა კარტის. გადავწყვიტეთ, რომ ჯობდა ასფალტი და ზარალებულიყო და არა დეკორატიული მცენარეები"*, - იხსენებს მომავალი მსოფლიო ჩემპიონის მამა **მატი**. სხვათა შორის, ასეთი შენაძენისთვის ოჯახის უფროსს ბევრი მუშაობა უნევდა: ის ერთდროულად გზის მუშად (ასფალტს აგებდა), მძღოლ-მტვირთავად და ერთ-ერთ ბარში მცველად მუშაობდა.

4. ფინეთის საზღვრებს გარეთ კარტინგით პირველი სტარტი მონაკოში ჰქონდა და რბოლის დროს, კიმის საჭეს უმტყუნა. ფინელმა ამ დაზიანების შესახებ მეტად ორიგინალურად შეატყობინა თავის ინჟინრებს: როდესაც ბოქსებს ჩაუარა, რაიკონენმა საჭე ხელში დაიჭირა და თავს ზემოთ აღმართა.

5. მონაკოში შემდეგი რბოლა იმით იყო დასამახსოვრებელი, რომ ფინელი პირველივე წრეზე გრანდიოზულ ავარიაში მოყვა. მექანიკოსები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კიმიმ შეწყვიტა რბოლა, მაგრამ პილოტმა მიწოლით გაათრია კარტი ტრასაზე და საბოლოოდ, ფინიშზე მესამე მივიდა.

6. „ფორმულა-რენოში" გამოსვლის დროს, ჩვენმა გმირმა 23-დან 13 სტარტი მოიგო და გამარჯვებათა შესანიშნავი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირა - 56.

7. როცა 2001 წელს, **პეტერ ზაუბერმა** ფინელთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა, კიმი ლიცენზის მიღებისას საერთაშორისო ავტოფედერაციის წინააღმდეგობას წააწყდა. პრეზიდენტი **მაქს მოსლი** უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ელიტარულ კლასში შესვლაზე პრეტენზიას აცხადებდა ისეთი მრბოლელი, რომელსაც ფორმულა 3-ში ან ფორმულა 3000-ში გამოსვლის გამოცდილება არ გააჩნდა. მაგრამ ზაუბერმა მაინც გაიტანა თავისი და რაიკონენმაც არ დააღალატა ახალი პატრონი: სადებიუტო რბოლაში, ავსტრალიის გრან-პრიზე ფინელი მეშვიდე ადგილზე გავიდა, ხოლო, როცა **ოლივიე პანისი** დისკვალიფიკაციით დასაჯეს, მეექვსე პოზიციაზე გადაინაცვლა და შესაბამისად, კარიერაში პირველი ქულა მოიპოვა. არადა, კიმიმ კინაღამ გამოტოვა ის რბოლა. ფინელს ძალიან უყვარს ძილი და ყოველი რბოლის წინ, აუცილებლად მიდის დასასვენებლად. მელბურნში ის საინსტალაციო წრემდე 20 წუთით (!) ადრე ნავიდა დასაძინებლად და ძლივს მიუსწრო სტარტის პროცედურას.

8. 2001 წელს, უნგრეთის გრან-პრიზე კიმიმ ოჯახზე და ნათესაობაზე ზრუნვის მაგალითი აჩვენა. მან ბუდაპეშტის ავტოდრომზე მიიყვანა თავისი 12 (!) ნათესავი: შვიდი კუზენი, ოთხი დეიდა და საყვარელი ბებია.

9. 2004 წელს, თავის მეგობარ **სტივ რობერტსონთან** ერთად, რაიკონენმა სარბოლო გუნდი Raikkonen Robertson Racing (უფრო ცნობილი, როგორც Double R) შექმნა, რომელიც 2005 წელს ფორმულა 3-ის ჩემპიონატში მონაწილეობდა. ამ პროექტის ყველაზე დიდი წარმატება **მაიკ კონვეის** სახელს უკავშირდება, რომელმაც 2006 წელს, British F3 International Series-ის საჩემპიონო ტიტული მოიპოვა და აგრეთვე, ძალიან პრესტიჟული მაკაოს გრან-პრის მოიგო.

10. ფორმულა 1-ში მოღვაწეობისას, კიმის უამრავი მეტსახელი მოუგონეს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია - **აისმენი** (ყინულის კაცი). მექანიკოსები ფინელს ტრადიციულად ასე მიმართავენ - **კიმსტერი** ან **კიმპა**. ხოლო კიმის არაკეთილისმსურველებმა ჯერ კიდევ „მაკლარენში" ასპარეზობისას, ახალ მსოფლიო ჩემპიონს რეკე შეარქვეს - ეს არის გვარის ფინური შემოკლება, რომელიც „ცხირმოუხოცავს" ნიშნავს.

11. 2004 წლის 31 ივლისს, სამწლიანი თანაცხოვრების შემდეგ, კიმიმ **ჯენი დალმანზე** იქორწინა. ეს გოგონა იმით არის გამორჩეული, რომ 1998 წელს „მის ტურკუს" სილამაზის კონკურსზე მთავარი პრიზი მოიპოვა, ხოლო ორი წლის შემდეგ, „მის ფინეთზე" მეორე ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, გაიმარჯვა „მის სკანდინავია-2000"-ის ქალსტნგზე. ჯენი თავისუფლად ფლობს შვედურ, ფინურ და ინგლისურ ენებს. იტაცებს ცხენოსნობა. ქორწილის შემდეგ, წყვილი შვეიცარიაში გადავიდა საცხოვრებლად.

12. 2005 წელს, ავტორიტეტულმა ჟურნალმა F1 Racing-მა, რაიკონენი წლის პილოტად გამოაცხადა, ხოლო გამოცემა Autosport-მა - სეზონის საუკეთესო ავტომრბოლად დაასახელა.

13. 2005 წლის სეზონში ნაჩვენები შედეგით, კიმიმ გაიმეორა **ალენ პროსტის** (1984, 1988) „რეკორდი" - ჩემპიონატში 7 რბოლა მოიგო, მაგრამ მაინც ვერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. იმავე წელს, რაიკონენი **მიხაელ შუმახერსაც** გაუტოლდა - ისევე როგორც ერთი წლის გერმანელმა, ფინელმაც სეზონში სარეკორდო რაოდენობის - 10 უსწრაფესი წრე დააფიქსირა. სულ კიმსტერის აქტივში 21 სწრაფი წრეა (მე-10 მაჩვენებელი ფორმულა 1-ის ისტორიაში).

14. „ფერარიში" გადასვლის შემდეგ, რაიკონენი ფორმულას ყველაზე მაღალანაზღაურებადი პილოტი გახდა. მისი ყოველწლიური ხელფასი 51 მილიონ დოლარს უდრის.

15. რაიკონენი „ფერარის" ისტორიაში იმითაც შევიდა, რომ მან იტალიურ გუნდს თავისი არსებობის ისტორიაში მე-200 გამარჯვება და მე-600 პოდიუმი მოუტანა.

16. ფინელი **ემინემის** თაყვანისმცემელია და ამ რეპერის მუსიკის გარდა, მისი სვირინგებიც მოსწონს. ამა წლის მარტში, კიმიმ თავისი კუმირის მსგავსად ტატუირება გაიკეთა, თუმცა არ დაუკონკრეტებია - ეს დროებითი სვირინგი იყო თუ სამუდამო.

17. აისმენის საყვარელი ტრასაა - „სპა". ფინელმა კარიერაში სამჯერ მოიგო ბელგიის გრან-პრი.

18. რაიკონენი მაინც და მაინც არ სწყალობს პრესასა და გულშემატკივრებს. ავსტრალიის გრან-პრის დროს, პარასკევის ავტოგრაფ-სესიაზე 60 გულშემატკივარი შეიკრიბა. მაგრამ თავისი კოლეგებისგან განსხვავებით, პილოტმა ფანებს აუდიენციაზე უარი უთხრა. იმისთვის, რომ განრისხებული ქომაგები დაეშოშმინებინა, კიმი ერთი-ორი ხელის ჩამორთმევით შემოიფარგლა, მაგრამ მაინც ვერ გადაურჩა მისი მისამართით სტვენასა და შეძახილებს: *„კიმი იდიოტი ხარ!"*

19. რაიკონენი „ფერარის" მესამე პილოტია, ვინც ჩემპიონის ტიტული იტალიურ გუნდში სადებიუტო სეზონის შემდეგ მოიპოვა. მანამდე იგივეს გაკეთება **ხუან-მანუელ ფანხიომ** და **ჯოდი შეკტერმა** შეძლეს. გარდა ამისა, ის გახდა მესამე ფინელი მსოფლიო ჩემპიონი **კეკე როსბერგისა** (1982) და **მიკა ჰაკინენის** (1998, 1999) შემდეგ.

კიმი რაიკონენი: იქნებ ეს არის ბედნიერება!

- სეზონის წინ წარმოიდგენდით, რომ ტიტულის მოპოვებას შეძლებდით?

- ძალიან კარგი სტარტი ავიღეთ. ავსტრალიაში პირველივე რბოლაში გავიმარჯვეთ და ამან დიდი იმედი ჩაგვისახა. მაგრამ შემდეგ დაიწყო პრობლემები. მეტოქეებს ძალიან ბევრი ქულა ვაჩუქეთ, ჩემპიონატში ისეთი მომენტიც დადგა, რომ ჩვენი უკვე აღარავის სჯეროდა. კარგია, რომ თავად არ დავეკარგეთ იმედი და დავამტკიცეთ, რომ სკეპტიკოსები ცდებოდნენ.

- ამბობთ იმედი არ დაგვიკარგავსო. არადა, სეზონის შუაში თავად განაცხადეთ - „ფერარისთვის" პრაქტიკულად ყველაფერი დაკარგულიაო...

- ვერ ვიხსენებ, რომ ასეთი რამ მეთქვას. იქნებ, ვინმე სხვა თქვა? მე თავად ვხედავდი, რომ შედეგების გასაუმჯობესებლად რეზერვები გაგვაჩნდა, ჩემი გუნდისა ყოველთვის მჯეროდა. „ფერარის" უფრო რთულ სიტუაციებშიც შეუნარჩუნებია ერთიანობა და ბოლომდე გაუგრძელებია ბრძოლა. ამგვარმა თავდადებამ შედეგი მოიტანა.

- არსებობს თუ არა თქვენი სენსაციური წარმატების სხვა რეცეპტიც?

- ეს რეცეპტია - გუნდის უწვრილმანეს დეტალებამდე აწყობილი მუშაობა.

- ყველა იმ აზრამდე მიდის, რომ ეს სეზონი სხვებისგან ძალიან განსხვავდება. რამდენი რამ მოხდა ამ წლის განმავლობაში...

- ჩემთვის ის თითქოს ძალიან მალე დასრულდა. რაც შეეხება დანარჩენს, სერიოზული ცვლილებები არ შემიმჩნევია.

- რაიკონენს რკინის ნერვების ადამიანად თვლიან. აგვიღწერეთ თქვენი განცდები მაშინ, როცა გაიგეთ, რომ მსოფლიო ჩემპიონი გახდით. რა გაიფიქრეთ იმ მომენტში?

- გულახდილად გეუბნებით, რომ განსაკუთრებული შეგრძნება არ მქონია. საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ყველაფერი შესანიშნავად აეწყო.

- თანაუგრძნობთ თუ არა ჰემილტონს, რომელმაც ბოლო მომენტში დაკარგა თითქმის მოგებული ტიტული? თქვენ ხომ სულ რაღაც ერთი ქულის სხვაობით დაასრულეთ ჩემპიონატი...

- ორი წლის წინ, ორი ქულა არ მეყო ჩემპიონობის მოსაპოვებლად, ამჯერად კი, ბედმა მე გამიღიმა. კარგად ვიცი, რა განცდები ექნებოდა რბოლის შემდეგ ჰემილტონს. ისიც გამოცდილი მაქვს, რა სამწუხაროა ერთი დასანანი შეცდომის გამო დაკარგული ტიტული. მთელი წელი შეუსვენებლივ მუშაობ და რაღაც წვრილმანის გამო, ყველაფერი წყალში გეყრება. ამის შემდეგ დრო გჭირდება იმისთვის, რომ ყველაფრის თავიდან დასაწყებად ძალები გამონახო.

- არ გეჩვენებათ, რომ „მაკლარენთან" დაკავშირებული ჯაშუშური სკანდალის შემდეგ, თქვენი გამარჯვება ერთგვარად სამართლიანობის აღდგენას ჰგავს?

- ძნელი სათქმელია, თუმცა ამაში მართლაც არის სიმართლის გარკვეული დოზა. მით უმეტეს, რომ მთელი ეს სკანდალი სპორტისგან ძალიან შორს დგას.

- აქამდე ნარუმატებელი პილოტის სტატუსი გქონდათ. ახლა კი, როცა მსოფლიო ჩემპიონი გახდით, ალბათ, საპირისპირო მოსაზრება უნდა ვამტკიცოთ...

- ამ თემაზე არასოდეს მიფიქრია, არ დავინტერესებულვარ - ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული თუ პირიქით. მართალი გითხრათ, ამის მაინც და მაინც არ მჯერა. ჩემი ფილოსოფია ასეთია - მხოლოდ ამ შემთხვევაში გეწვევა წარმატება, თუ ბევრს და ჯიუტად შრომობ. თუმცა, ბოლო ეტაპზე მე სხვა პილოტების დახმარებაც მჭირდებოდა და მადლობა ღმერთს, მე ის მივიღე. იქნებ ეს არის ბედნიერება? ნებისმიერ შემთხვევაში, ბედმა კარგი საჩუქარი გამიკეთა.

- უხერხულობის გრძნობამ არ შეგაწუხათ, როცა „მაკლარენი" დაამარცხეთ, გუნდი, რომელშიც მრავალი წელი ასპარეზობდით?

- მე უბრალოდ ჩემი ახალი ოჯახის გამო გავიხარე. მიზეზებს არ დავასახელებ, მაგრამ „ფერარიში" მუშაობა უფრო მიადვილდება, ვიდრე ჩემს წინა გუნდებში. მზად ვარ, იტალიური გუნდისთვის მომავალშიც ბევრი გავაკეთო.

- არ გეშინიათ, რომ ვარსკვლავური ავადმყოფობით დაავადდებით?

- მომიწევს უფრო მეტი დრო გავატარო ხალხმრავალ საზოგადოებაში. მაგრამ არ შევიცვლები. ისეთივე დავრჩები, როგორსაც აქამდე მიცნობდით.

- სხვა მსოფლიო ჩემპიონებს რომ შეგადაროთ?

- ამის შესახებ უმჯობესია ფერნანდო ალონსოს შეეკითხოთ. მან ჩემზე ადრე მოიგო ტიტული და იქნებ მან გითხრათ, შეცვალა თუ არა ის დიდებამ. მე კი, ჩემი ცხოვრებით ვცხოვრობ და რაიმეს შეცვლას არ ვაპირებ.

ეროვნული პირველობა
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგაიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოტა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები
დავით ქოხრაიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი ფარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუთარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოტა გელაშვილი

კორექტორი
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე)
გივი ვეშაპაიძე
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელნოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 19 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ სპორტთან

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში

ლელოს მთავარი რედაქტორები
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76)
ირემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-84)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

მისამართი:
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(ფილიალი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა